

სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2024, №1-3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2024, №1-3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2024, №1-3

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2024, №1-3

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ) ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად საჭიროა დამატებით მიეთითოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 11¹ მუხლი 5

2. სასჯელის დანიშვნა

კონკრეტულ შემთხვევაში, არაერთგზისი დანაშაულისა და რეციდივის ცნებების არსებითი მსგავსებების გათვალისწინებით, არაერთგზისობის მხედველობაში მიღებასთან ერთად, რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესის დამატებითი გამოყენება გაუმართლებლად ამძიმებს მსჯავრდებულის მდგომარეობას 14

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, დამატებით დამამძიმებელ გარემოებად ვერ მიიჩნევა და ამავე კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასჯელის განსაზღვრის წესი, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება 25

პირმო ნაწილი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან იმავე კოდექსის 126¹ მუხლის 1-ლ ნაწილზე და დანაშაულის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე მითითების ამორიცხვა 34

2. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება იყო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების შემადგენელი ნაწილი 52

გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება (სსკ-ის 126 ¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და სიცოცხლის მოსპობის მუქარა (სსკ-ის 11 ¹ , 151-ე მუხლი)	70
მუქარა ჩადენილი არაერთგზის	82

3. ეკონომიკური დანაშაული

მსჯავრდებულების უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მათი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 ¹ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით	90
მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან ძარცვაზე	105
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სავალდებულო დამატებით სასჯელად განსაზღვრავს	125

4. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენაში დახმარება	130
---	-----

5. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ; პოლიციელზე თავდასხმა	144
--	-----

სისხლის სამართლის პროცესი

პირმო ნაწილი

1. საგამოძიებო მოქმედებები

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში იძულების პროპორციული ზომის გამოყენების შესახებ	164
--	-----

2. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები

დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა	176
---	-----

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ) ქმედების კვალიფიკაცია სთავაზობს საჭიროა დამატებით მიეთითოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 11¹ მუხლი

განაჩენი

საქართველოს სახელით

№ 1145აბ-23

26 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),

მ. გაბინაშვილი,

შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურორის პროკურორ ნიკა მენთეშაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ა. ს-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში საქართველოს სსკ-ის) 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახში ძალადობა, ესე იგი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ, სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2022 წლის 6 ნოემბერს, დაახლოებით 06:00 საათზე, ქ. ქ-ში, ა. ს-მ იძალადა თავისი ოჯახის წევრის – ე. კ-ს მიმართ, რომელთან

ერთადაც ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწევა, კერძოდ, ძლიერად გადაუგრიხა ხელები ე. კ-ს, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.3. 2022 წლის 6 ნოემბერს, დაახლოებით 08:00 საათზე, ქ. ქ-ში, ა. ს-ი სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა თავის ოჯახის წევრს – ე. კ-ს, რომელთან ერთადაც ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას, კერძოდ, უთხრა, რომ მოკლავდა. ე. კ-მ ა. ს-ის მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 თებერვლის განაჩენით ა. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით – 150 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, ა. ს-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ა. ს-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 4 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – დაემატა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ს-ს, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

ა. ს-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 6 ნოემბრიდან.

2.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 თებერვლის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა

ნიკა მენტეშაშვილმა და მოითხოვა მსჯავრდებულისთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რაც დაკავშირებული იქნებოდა სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდასთან.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 თებერვლის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ: ა. ს-ს მუქარის ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 11¹ მუხლზე მითითება.

3.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განაჩენით ა. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით – 150 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, ა. ს-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ა. ს-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 4 წლით თავისუფლების აღკვეთიდან, 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ს-ს, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით.

ა. ს-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 06 ნოემბრიდან.

3.3. 2023 წლის 9 ივნისს, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, ნიკა მენტეშაშვილმა, საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა, მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს სსკ-ის 11' მუხლზე მითითებით და ა. ს-თვის საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11', 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რაც დაკავშირებული იქნება სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდასთან.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება, იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 11' მუხლზე მითითებას დამატებით არ საჭიროებს სამართლებრივად არამართებულია. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2022 წლის 23 მაისის №268აპ-22 გადაწყვეტილებაში გაიზიარა მოცემულ საკითხზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განაჩენი ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, რის გამოც, უნდა შეიცვალოს. ამასთან, კასატორის აზრით ა. ს-ისათვის დანიშნული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ჩადენილი ქმედებების არაპროპორციულია. სასჯელის ეს სახე შეუსაბამოა მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული ქმედებების ხასიათთან და მის პიროვნებასთან, კერძოდ, მან ჩაიდინა ოჯახში ძალადობის ორი ეპიზოდი, პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, შესაბამისად, დანიშნული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო პალატა, თავდაპირველად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ გამ-

ხდარა სადავო.

5.3. საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიღებული უდავო მტკიცებულებებით: დაზარალებულ ე. კ-ს, მონმეების – ი.... გამოკითხვის ოქმებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შესული შეტყობინებით, 2022 წლის 6 ნოემბრის №0... – შემაკავებელი ორდერითა და ლევან სამხარაულის სახელობის სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 11 ნოემბრის ექსპერტის №.... დასკვნით, ა. ს-ის დაკავების ოქმითა და მსჯავრდებულის აღიარებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ა. ს-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ.

5.4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილ საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით ასევე გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ა. ს-მ გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ, კერძოდ: იმ პირის მიმართ ვისთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას.

5.5. საკასაციო პალატა იზიარებს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. ს-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებიდან არასწორად იქნა ამორიცხებული საქართველოს სსკ-ის 11¹ მუხლზე მითითება.

5.6. საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ მართალია, 2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, ხსენებული კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი, სადაც მაკვალიფიცირებლად მითითებულია ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ, თუმცა აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ზოგად ნორმას – საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლს, მაშინ, როდესაც სწორედ ამ უკანასკნელი ნორმის შენიშვნით განისაზღვრება პირთა წრე, რომლებიც საქართველოს სსკ-ის მიზნებისთვის ითვლება ოჯახის წევრად.

5.7. საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლის თანახმად, „ოჯახური

დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.“ ზემოაღნიშნული მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

5.8. პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლში მოცემულია იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლებიც მიიჩნევა ოჯახურ დანაშაულად, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნით კი, განისაზღვრება პირთა წრე, რომლებიც ამ კოდექსის მიზნებისათვის ითვლებიან ოჯახის წევრებად. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ა. ს-მ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, იმ პირის მიმართ, ვისთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას. საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, წარმოადგენს ოჯახურ დანაშაულს. ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად კი, ოჯახის წევრად, ასევე მიიჩნევიან პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი ამავე კოდექსის მე-11¹ მუხლის შესაბამისად, საჭიროებს ამ მუხლზე მითითებას.

5.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ს-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, სასამართლო კი შებოჭილია ვალდებულებით: მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტიანი და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს, ასევე განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.3. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

6.4. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაცქევა ქმედების შემდეგ.

6.5. სასჯელის თანაზომიერება მიზნად ისახავს მიღწეული იქნეს ბალანსი პირის დასჯის ხარისხსა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ ინტერესებს შორის, რაც განსახილველ შემთხვევაში მიღწევადია სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარ-

გებლო შრომის გამოყენების პირობებში. დანაშაულის ხასიათი და ქმედებაში გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება ასახულია შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებში და არ არსებობს სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შერჩეული სასჯელის სახე და ზომა შეესაბამება სასჯელის გენერალური და კერძო პრევენციის მიზნებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს მოცემული დანაშაულების მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რის გამოც არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასჯელის დამძიმების წინაპირობა.

6.6. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს. მთავარია, არა დამნაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს დამნაშავის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების ადეკვატური. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. ს-ის მიმართ განსაზღვრული სასჯელი თითოეული ეპიზოდისათვის სამართლიანია და უზრუნველყოფს სასჯელის ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

6.7. სააპელაციო სასამართლომ, ა. ს-ს საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე, 58-ე, 59-ე და 67-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით კანონიერი და სამართლიანი სასჯელები განუსაზღვრა, რაც სავესებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას და სრულად შეესაბამება, როგორც საქართველოს სსკ-ის 59-ე და 67-ე მუხლების მოთხოვნებს, ისე – საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანაშაულების ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნიკა მენტეშაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ა. ს-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით – 150 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ა. ს-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ა. ს-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნულ სასჯელს – 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ნაწილობრივ დაემატოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ს-ს, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

7. მსჯავრდებულ ა. ს-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს – 2022 წლის 6 ნოემბრიდან.

8. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, კონტროლი მსჯავრდებულის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდაზე დაევალოს პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასჯელის დანიშვნა

**კონკრეტულ შემთხვევაში, არაერთგზისი
დანაშაულისა და რეციდივის ცნაების არსებითი
მსგავსებების გათვალისწინებით, არაერთგზისობის
მხედველობაში მიღებასთან ერთად, რეციდივის დროს
სასჯელის დანიშვნის წესის დამატებითი გამოყენება
გაუმართლებლად ამიძეავს მსჯავრდებულის
მდგომარეობას**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 1259აპ-23

29 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე)

შ. თადუმაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივა-
რი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2023 წლის 4 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 1 ნოემბრის
განაჩენით:

გ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვე-
პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის
(2022 წლის 17 ივლისის ლ. წ-ის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის
სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

გ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვე-
პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის
(2022 წლის 18 ივლისის ლ. წ-ის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის
სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 თვით;

გ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვე-
პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის

(2022 წლის 17 ივლისის ნ. კ-ის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 თვით;

გ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 18 ივლისის ნ. კ-ის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 თვით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, გ. კ-ეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გ. კ-ის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვლილი ჰქონდა პირობითად – 2 წლის გამოსაცდელი ვადით და გ. კ-ეს, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რომლის მოხდა დაეწყო: 2022 წლის 18 ივლისის 17:55 საათიდან.

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

2.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით ოჯახის წევრის მიმართ მუქარისათვის ნასამართლევი გ. კ-ე, 2022 წლის 17 ივლისს, ბ-ი, თ. მ-ს დასახლების 14-ში, ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, არაერთგზის, სიცოცხლის მოსპობითა და ქონების განადგურებით დაემუქრა მისი ოჯახის წევრს, მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ლ. ნ-ს, რომელთან ერთადაც მუდმივად ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას, რა დროსაც ლ. ნ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძველიანი შიში.

2.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით ოჯახის წევრის მიმართ მუქარისათვის ნასამართლევი გ. კ-ე, 2022 წლის 18 ივლისს, ბ-ი, თ. მ-ს დასახლების 14-ში, ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან, მობილური ტელეფო-

ნით, არაერთგზის, სიცოცხლის მოსპობითა და ქონების განადგურებით დაემუქრა მისი ოჯახის წევრს, მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ლ. წ-ს, რომელთან ერთადაც მუდმივად ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას, რა დროსაც ლ. წ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით ოჯახის წევრის მიმართ მუქარისათვის ნასამართლევი გ. კ-ე, 2022 წლის 17 ივლისს, ბ-ი, თ. მ-ს დასახლების 14-ში, ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, არაერთგზის სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მისი ოჯახის წევრს, დედას, ნ. კ-ეს, რა დროსაც ნ. კ-ეს, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 ივლისის განაჩენით ოჯახის წევრის მიმართ მუქარისათვის ნასამართლევი გ. კ-ე, 2022 წლის 18 ივლისს, ბ-ი, თ. მ-ს დასახლება 14-ში, ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, არაერთგზის სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მისი ოჯახის წევრს, დედას, ნ. კ-ეს, რა დროსაც ნ. კ-ეს, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 4 მაისის განაჩენით:

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა როყვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 1 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა, პროკურორმა ოლღა მერებაშვილმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის საუარესოდ; გ. კ-ის დამნაშავედ ცნობა ბრალად წარდგენილი თითოეული დანაშაულისათვის და რეციდივის წესის გათვალისწინებით, განაჩენთა, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელთა სრულად შეკრების პრინციპის საფუძველზე, უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა.

4.1. საკასაციო საჩივრის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელი არ დაუნიშნა რეციდივის წესის გათვალისწინებით. მოსამართლემ მიუთითა, რომ არაერთგზისობა შექმნა წარსულში საქართველოს სსკ-ის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლით ნასამართლობამ და შესაბამისად, ვინაიდან, ნასამართლობა უკვე დამამძიმებელი გარემოება იყო, რეციდივის წესით სასჯელი ველარ დაინიშნებოდა. მოცემულ მსჯელობას ბრალდების მხარე არ ეთანხმება, რადგან განსახილველ შემთხვევაში, არაერთგზისობა შექმნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021

წლის 7 ივლისის განაჩენით მისჯილმა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტმა, ხოლო გ. კ-ე ამავე განაჩენით ნასამართლევი იყო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლითაც. შესაბამისად, მას სასჯელი რეციდივის წესის საფუძველზე უნდა დანიშვნოდა.

5. პროკურორის საკასაციო საჩივარზე დაცვის მხარეს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა – გ. კ-ის მიმართ სასჯელის გამკაცრების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 4 მაისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარე ასაჩივრებს მხოლოდ გ. კ-ისათვის დანიშნულ სასჯელს და ითხოვს მის გამკაცრებას (რეციდივის წესის გათვალისწინებით). თავის მხრივ, დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი ან/და შესაგებელი საქმეში წარმოდგენილი არ არის; შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ბრალდების მხარის კონკრეტული მოთხოვნის მართებულობაზე და დეტალურად შეაფასებს საჩივარში მითითებული არგუმენტების საფუძვლიანობას, კერძოდ:

3. პროკურორი აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში გამოკვეთილია დანაშაულის რეციდივი, რაც სააპელაციო სასამართლომ გ. კ-ის სასჯელის დანიშვნის ეტაპზე არ გაითვალისწინა. მოცემული პოზიციის დასადასტურებლად, კასატორი იშველიებს არგუმენტს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არაერთგზისობა შექმნა წინა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით მისჯილმა მხოლოდ – საქართველოს სსკ-ის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტმა, ხოლო გ. კ-ე ამავე განაჩენით ვინაიდან ნასამართლევი იყო სხვა, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლითაც, შესაბამისად, მას, რეციდივის წესის საფუძველზე, სასჯელი მაინც უნდა დანიშვნოდა.

4. აღსანიშნავია, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს აქვს მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც პალატა განმარტავს, რომ:

„არაერთგზისი დანაშაულისა და რეციდივის ცნებების არსებითი მსგავსებების გათვალისწინებით, არაერთგზისობის მხედველობაში მიღებასთან ერთად, რეციდივის დროს სასჯელის დანიშ-

ვნის წესის დამატებით გამოყენება გაუმართლებლად ამძიმებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობას“;

ამასთან, „რამდენიმე განაჩენით დადგენილი ნასამართლობის ვადების მიმდინარეობის პერიოდში ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ბოლო განაჩენით სასჯელის დანიშვნისას მხოლოდ ერთი მათგანი – რეციდივისა და არაერთგზისობის კონკურენციისას კი არაერთგზისობა – მიიღება მხედველობაში“ (იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის №659აპ-21 გადაწყვეტილება).

5. ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა გააანალიზებს, თუ კონკრეტულად რა გარემოებები იწვევს არაერთგზისობისა და რეციდივის არსებითად მსგავსებას, კონკრეტული საქმის მასალებიდან გამომდინარე, შეაფასებს გ. კ-ის მიერ როგორც წინათ, ისე ბოლოს (განსახილველ) ჩადენილ დანაშაულთა მუხლებს, მათ კატეგორიას და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ, განიხილავს სააპელაციო სასამართლოს მიერ რეციდივის წესის გამოყენებაზე უარის თქმის მართებულობას.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და მე-17 მუხლების თანახმად, ის, რაც რეციდივისა და არაერთგზისობის არსებით მსგავსებას იწვევს, არის – პირის მიერ წარსულში არსებული ნასამართლობა და აღნიშნულის შემდეგ, ახალი დანაშაულის ჩადენა (რეციდივის შემთხვევაში, დაკონკრეტებულია, რომ წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლობა, კვლავ განზრახ ქმედებას ჩადის). ამდენად, სამართლებრივი მოცემულობა, რომ ნასამართლეთი პირი, კვლავ სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების ფარგლებში ექცევა, არის იდენტური, თუმცა, იმ სხვაობით, რომ არაერთგზისობა მოიცავს შედარებით ვიწრო არეალს (იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ან ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში), ხოლო რეციდივი კი, როგორც აღინიშნა, ზოგადად, ყველა განზრახ დანაშაულს შეეხება. ორივე მათგანის შემთხვევაში, პირისათვის ახალი დანაშაულის ჩადენამდე, შემაკავებელი ბერკეტი არ აღმოჩნდა წინათ არსებული ნასამართლობის ფაქტი, რის გამოც, კანონმდებელი მოითხოვს, რომ ამგვარი ვითარება (ესე იგი, ხელახლა დანაშაულის ჩადენა) შეფასდეს უფრო მკაცრად, კერძოდ, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ან მაკვალიფიცირებელ გარემოებად, თუმცა, მოცემული არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ერთი დანაშაულის კვლავ ჩადენის შემთხვევაში, რეციდივის და არაერთგზისობის ერთობლივად არსებობისას, საბოლოო სასჯელის დანიშვნის დროს, პირის მდგომარეობა იმაზე მეტად დამძიმდეს, ვიდრე ამას მატერიალუ-

რი კანონმდებლობა ითვალისწინებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს რეციდივისა და არაერთგზისობის კონკურენციისას, როდის არის და – პირიქით, როდის არ არის შესაძლებელი კუმულაციურად ორივე მათგანის ასახვა სასჯელში. ამდენად, პალატა, პირველ რიგში, შეეხება გ. კ-ის საქმის გარემოებებს, ხოლო შემდგომ, მოცემული სამართლებრივი საკითხის სრულფასოვნად შეფასების მიზნით, მიმოხილავს სხვა შემთხვევებსაც, რომლებზეც მოცემული საქმით დადგენილი წესი, შესაძლოა, არ გავრცელდეს; კერძოდ:

7. წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. კ-ე დამნაშავედ არის ცნობილი – ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ:

საქართველოს სსკ-ის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ოჯახის წევრის მიმართ მუქარა და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ოჯახში ძალადობა არაერთგზის (წინა განაჩენი).

8. სწორედ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, ნასამართლობამ გამოიწვია განსახილველ საქმეში, 2022 წლის 17 ივლისსა და 18 ივლისს ჩადენილი ქმედებების – ოჯახის წევრის მიმართ, არაერთგზის მუქარად დაკვალიფიცირება, რაც ასახულია კიდევაც ბრალდების შესახებ დადგენილებაში (ოთხი ეპიზოდი, დანაშაული გათვალისწინებული – საქართველოს სსკ-ის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით). მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, გ. კ-ის მიერ კვლავ ანალოგიური მუხლით, განზრახი დანაშაულის ჩადენამ (მუქარამ, ოჯახის წევრის მიმართ), გამოკვეთა როგორც რეციდივი, ისე არაერთგზისობა.

9. სააპელაციო სასამართლომ გ. კ-ეს განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად დაუნიშნა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. საქართველოს სსკ-ის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტების ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომა სამი წელია, შესაბამისად, რეციდივის წესი (რომლის მიხედვითაც, მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას), გ. კ-ის სასჯელში ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ასახული არ არის. სააპელაციო პალატა მოცემული განაჩენის გამოტანის დროს, მართებულად დაეყრდნო, საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებულ, №659აპ-21 გადაწყვეტილებას, სადაც მოცემულ საკითხთან მიმართებით, მითითებულია არგუმენტზე, რომ:

„ერთი მხრივ, პირები, რომლებმაც რამდენიმე ნასამართლობის პერიოდში ერთი ახალი დანაშაული ჩაიდინეს და ამ უკანასკნელთან მიმართებით თითოეულმა ნასამართლობამ შექმნა რეციდივი, ხოლო, მეორე მხრივ, პირები, რომლებმაც რამდენიმე ნასამართლობის პერიოდში ასევე ერთი ახალი დანაშაული ჩაიდინეს და ამ უკანასკნელთან მიმართებით თითოეულმა ნასამართლობამ შექმნა რეციდივიც და არაერთგზისობაც, მოცემულ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით, წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთა მიმართ სასჯელის დანიშვნის არსებული პრაქტიკა არათანაბარ, დიფერენცირებულ მიდგომას ემყარება.“ შესაბამისად, მოცემულ საქმეში საკასაციო სასამართლომ ცვლილება შეიტანა სასჯელის ნაწილში და რეციდივის წესის გარეშე, მსჯავრდებულს შესაბამისი მუხლისათვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ზომის მინიმუმი შეუფარდა.

10. მოცემული საქმის გარემოებები ესადაგება ზემოხსენებულ განმარტებას, ვინაიდან, გ. კ-ე წარსულში რამდენიმე მუხლით არის ნასამართლევი და მან ამჟამად ჩაიდინა ახალი დანაშაული, რომელმაც შექმნა როგორც რეციდივი, ისე – არაერთგზისობა (ამ შემთხვევაში, გ. კ-ეს ბრალად აქვს წარდგენილი ოთხი ეპიზოდი, თუმცა, ოთხივე მათგანი არის იდენტურად, არაერთგზისი). რადგან, წინათ, მუქარისათვის ნასამართლევმა გ. კ-ემ, კვლავ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მუქარა ჩაიდინა, აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია მისი დასჯა კონკრეტული მაკვალიფიცირებელი გარემოებით, კერძოდ – „არაერთგზისობით“, რამაც თავისთავად, საბოლოოდ დასანიშნ სასჯელის სფეროზეც მოახდინა გავლენა (ქმედება უკვე მოექცა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მეორე ნაწილით დაცულ სფეროში). შესაბამისად, ვინაიდან, ცალკე აღებული არაერთგზისობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება, ისედაც ახდენს გავლენას საბოლოოდ დასანიშნ სასჯელზე, ამ კონკრეტული საქმის პირობებში, რეციდივის წესის დამატებით გამოყენება უკვე გაუმართლებლად ამძიმებს პირის მდგომარეობას. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე რეციდივის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი გამოიყენება მხოლოდ ერთხელ, ხოლო როცა საქმეში რეციდივი და არაერთგზისობა კუმულაციურად არსებობს, ორივე მათგანის ერთობლივად მხედველობაში მიღება, მათი არსებითი მსგავსების გათვალისწინებით, არ ემყარება გონივრულ, ობიექტურ საფუძველს და ამასთანავე, არ ემსახურება რაიმე სახის ლეგიტიმურ მიზანს.

11. ამდენად, გ. კ-ის სისხლის სამართლის საქმის და მის მსგავს შემთხვევებში (მათ შორის უკვე ხსენებულ, №659აპ-21 საქმეში), რეციდივისა და არაერთგზისობის კონკურენციის დროს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ არაერთგზისობა, რის გამოც, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ამ ნაწილში არ იკვეთება.

12. თუმცა, ზემოაღნიშნული არ გულისხმობს, რომ რეციდივისა და არაერთგზისობის კუმულაციურად არსებობა უპირობოდ, ყველა შემთხვევაში, გამორიცხავს ორივე მათგანის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობას. როგორც საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე აღნიშნა, საკითხის სრულყოფილად შეფასების მიზნით, იგი მიმოიხილავს იმ საგამონაკლისო შემთხვევებსაც, როდესაც არაერთგზისობის არსებობის მიუხედავად, სასჯელის დანიშვნის სტადიაზე რეციდივის წესი მაინც უნდა გავრცელდეს, კერძოდ:

13. იმ შემთხვევაში, თუკი პირმა გარდა უშუალოდ მაკვალიფიცირებელი გარემოებისა (მაგალითად, ოჯახის წევრის მიმართ მუქარისა, რასაც გ. კ-ის შემთხვევაში, ზუსტად მოიცავდა წინა ნასამართლობა და რამაც შექმნა კიდევ არაერთგზისობა, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით), ქმედება ჩაიდინა სხვა დამამძიმებელ გარემოებაშიც (მაგალითად, ოჯახის წევრის მიმართ მუქარა, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართაც), ამ შემთხვევაში, სასჯელის დანიშვნის დროს, სხვა დამამძიმებელი გარემოების არსებობის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება რეციდივის წესი.

14. აგრეთვე, თუ ნასამართლევი პირი, გარდა იმ ქმედებისა, რომელიც იწვევს არაერთგზისობას, ჩაიდენს სხვა დანაშაულს/დანაშაულებს, ხსენებულ, სხვა დანაშაულთან მიმართებით, უკვე გაითვალისწინება რეციდივის წესი. მაგალითად, თუკი პირი წარსულში ნასამართლევი – მუქარისა და ძალადობისათვის და მან ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე, ჩაიდინა, არამხოლოდ მუქარა, არამედ სხვა განზრახი დანაშაულიც, პირობითად, გამოძალვა, ამ შემთხვევაშიც გამოძალვისათვის სასჯელის დანიშვნისას, უკვე მხედველობაში მიიღება რეციდივის წესი და შესაბამისად, წინათ დადგენილი ნასამართლობაც.

15. მაშასადამე, სასამართლომ რეციდივის წესის გამოყენებამდე დეტალურად უნდა შეაფასოს როგორც წინათ არსებული კონკრეტული ნასამართლობა/ნასამართლობები, ისე მას შემდეგ, ბოლო განაჩენით დანაშაულთა ერთობლიობით, მუხლებისა თუ მუხლის რამდენიმე ნაწილით დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

16. ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით უთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, დანაშაულის რეციდივის დადგენისას, არ გაითვალისწინება – ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის და აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია ან გაქარწყებულია ამავე კოდექსის 79-ე მუხლით დადგენილი წესით.

მსჯავრდებულ გ. კ-ის მიმართ შერჩეული სასჯელის სახისა და ზომის სამართლიანობა:

17. საკასაციო საჩივრის თანახმად, პროკურორი გ. კ-ისათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას ითხოვს.

18. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს.

19. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს:

ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ან სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

20. საკასაციო სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნათა მითითების პარალელურად, მხედველობაში იღებს საერთაშორისო ხელშეკრულებასაც, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას („სტამბოლის კონვენციას“), რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის ოჯახში ძალადობას ეხება; კონვენციის 45-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკერელმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, პროპორციული და დამაფიქრებელი სანქციით; ამასთან, ამ სტადიაზე სახელმწიფოს მიერ დანაშაულის სერიოზულობის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა (იხ. აგრეთვე: **Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence**, §232).

21. ზემოაღნიშნულის პარალელურად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადწყვეტილებაზეც, რომლის მიხედვითაც, „აუცილებელია,

სასჯელი ადეკვატურად შეესატყვისებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს. იმ პირობებში, როდესაც სასჯელის სიმკაცრე აშკარად აჭარბებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ეჭვქვეშ დგება დაწესებული სასჯელისა და მისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული დამოკიდებულება. აშკარად მკაცრი და არაგონივრული სასჯელი ზედმეტად შორდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

22. საკასაციო სასამართლო დამატებით აგრეთვე აღნიშნავს, რომ ოჯახური ძალადობის საქმეებზე უმნიშვნელოვანესია, ზედმინევნიტ შეფასდეს ძალადობის ხარისხი, კერძოდ:

1) რა ფორმით ჩაიდინა პირმა ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური), 2) რამდენ ეპიზოდად და დროის რა შუალედით, 3) რა ხერხის გამოყენებით (მაგალითად, ემუქრებოდა არამხოლოდ სიტყვიერად, არამედ დანის დემონსტრირებით), 4) დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანება და ა.შ..

23. განსახილველ საქმეში გ. კ-ემ ჩაიდინა მუქარა, რამდენიმე ეპიზოდად. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, ძალადობის ხარისხი არ არის მეტისმეტად მაღალი.

24. როგორც აღინიშნა, გ. კ-ის მიერ ჩადენილი ქმედება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს, როგორც, საპატიმრო სახის, ისე – არასაპატიმრო სახის სასჯელს. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, გ. კ-ემ ახალი დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის პირობებში და ოთხ ეპიზოდად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების საფუძველი არ არსებობს, თუმცა მოვალეობათა დარღვევის ხარისხის, მტკიცებულებათა ძირითადი ნაწილის უდავოდ ცნობისა და მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, დანიშნული სასჯელის სახე და ზომა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით – არის სამართლიანი და მისი გამკაცრების საფუძველი არ არსებობს. სხვა, რაიმე ახალი სახის გარემოებაზე, რომელზე დაყრდნობითაც, საკასაციო სასამართლოს შესაძლოა, სასჯელის ცვლილებაზე ემსჯელა, პროკურორს არ მიუთითებია.

25. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად გაანალიზების საფუძველზე, გამოიყენა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც შეესაბამება როგორც ჩადენილი ქმედების ხასიათს, ისე – გ. კ-ის პი-

როვნებას. მოცემულ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა – 1 წლით, სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სასჯელის მიზნების მიღწევას.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ არსებობს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 4 მაისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 4 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მუქარა ოჯახის
წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის
ჩადანა, დამატებით დამამძიმებელ გარემოებად ვერ
მიიჩნევა და ამავე კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-3
ნაწილით დადგენილი სასჯელის განსაზღვრის წესი,
ამავე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან
გამომდინარე, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში
არ მიიღება**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№1001აპ-23

5 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-ს ინ-
ტერესების დამცველის, ადვოკატ დ. დ-ს საკასაციო საჩივარი ქუ-
თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარ-
ტის განაჩენით მ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სის-
ხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“,
„დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და
ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლე-
ბის აღკვეთა 1 (ერთი) წლით, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხ-
ლის საფუძველზე, ჩათვალა პირობით, 1 (ერთი) წლის გამოსაც-
დელი ვადით.

გაუქმდა მსჯავრდებულ მ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის
ლონისძიება – გირაო (პატიმრობის უზრუნველყოფით) და ყადაღა
უნდა მოეხსნას მ. მ-ს მიმართ გირაოს უზრუნველსაყოფად მ. ა-ს
და რ. ა-ს სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ 10 000 (ათი
ათასი) ლარის ღირებულების უძრავი ქონების წილს.

მ. მ-ს აღსასრულებლად მიქცევის შემთხვევაში, სასჯელის

მოხდით ვადად უნდა ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 12 დეკემბრიდან 2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ქონების განადგურების მუქარა არაერთგზის, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. აღნიშნული გამოიხატა შემდეგით:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი), ნასამართლევია მ. მ., 2022 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 11:33 საათზე, სატელეფონო კომუნიკაციისას არაერთგზის, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, ქ... მდებარე საოჯახო ტიპის სასტუმრო „...“ შენობაში მყოფ ოჯახის წევრს, მეუღლეს – ი. მ-ს, რომელმაც მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა, რამაზ შანიძემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მ. მ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის დამძიმება და პირობითი მსჯავრის ნაცვლად, თავისუფლების აღკვეთის პენიტენციურ დაწესებულებაში სრულად მოსახდელად განსაზღვრა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

მ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით.

მსჯავრდებულ მ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო (პატიმრობის უზრუნველყოფით) – გაუქმებულია და ყადაღა უნდა მოეხსნას მ. მ-ს მიმართ გირაოს უზრუნველსაყოფად, მ. ა-სა და რ. ა-ს სახელზე, რიცხული უძრავი ქონების 10000 (ათი ათასი) ლარის ღირებულების წილს.

მ. მ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავებასა და

პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 12 დეკემბრიდან 2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით პერიოდი.

მ. მ-ს სასჯელი უნდა აეთვალოს დაკავების მომენტიდან და დაკავებისთანავე შესახლებულ იქნეს სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

5. მ. მ. მსჯავრდებულის სახით დაკავებულ იქნა 2023 წლის 26 ივლისს.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. დ-მ. დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას სასჯელის გამკაცრების ნაწილში, შემდეგ მოტივებზე მითითებით: დაცვის მხარეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განაჩენი მიაჩნია კანონიერად, დასაბუთებულად და სამართლიანად; სააპელაციო პალატამ მტკიცებულებები არ შეაფასა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, ხოლო მსჯავრდებულს შეუფარდა ზედმეტად მკაცრი და უსამართლო სასჯელი; არ დგინდება დაზარალებულის მიერ მუქარის შედეგად საფუძვლიანი შიშის განცდის ფაქტი; ამასთან, მ. მ-ს მუქარა არ იყო რეალური, რადგან მას რომ მუქარის განხორციელების განზრახვა ჰქონოდა, ხელს არაფერი უშლიდა მის აღსასრულებლად.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ 2024 წლის 29 იანვრის განჩინებით აღმოიფხვრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენი დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, განაჩენის სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში მ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციად „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების“ ნაცვლად, მიეთითა: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები“.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა მსჯავრდებულ მ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. დ-ს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ მ. მ-ს მიერ საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, მ. მ-ს აღიარების გარდა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ი. მ-ს ჩვენებით, მოწმეების: ნ. მ-ს, ნ. გ-ს, ვ. ბ-ს, ი. შ-ს, მ. მ-ს გამოკითხვის ოქმებით, მ. მ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, მ. მ-ს მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერითა და შემაკავებელი ორდერის ოქმით, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს განაჩენით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენითა და საქმეში არსებული სხვა წერილობითი მტკიცებულებებით.

3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის კუმულატიურად უნდა დადგინდეს, როგორც სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარის, ისე მისი განხორციელების საფუძვლიანი შიშის არსებობის ფაქტები. მუქარის შემადგენლობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია – საფუძვლიანი შიშის გაჩენა – მნიშვნელოვანწილად თავად დაზარალებულის ჩვენებას ეყრდნობა. მოცემულმა პირმა უნდა მიუთითოს, თუ როგორ აღიქვა მუქარის შინაარსი, გაუჩნდა თუ არა მისი აღსრულების საფუძვლიანი შიში. სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, ცალკე აღებული, ვერ გამოიწვევს პირის დასჯადობას, აღწერილი უკანონო ქმედებების მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების გამჟღავნების გარეშე. შიშის ფაქტორის შეფასებისას აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ – სხვა ობიექტური კრიტერიუმებიც.

4. განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობით, მუქარის რეალურობისა და მის შედეგად, დაზარალებულის მიერ საფუძვლიანი შიშის განცდის ფაქტი დადასტურებულია, როგორც ობიექტური, ისე – სუბიექტური კრიტერიუმებით.

5. დაზარალებულ ი. მ-ს ჩვენებით დგინდება, რომ ბრალდებულ მ. მ. მისი მეუღლეა. მ., მასზე მუდმივად ძალადობდა, რის გამოც, იგი გაასამართლეს და სასჯელს იხდიდა ოთხი წელი. 2022 წლის 17 ნოემბერს, მ. მ-ს ბიძაშვილმა დაურეკა ი. მ-ს და აცნობა მ-ს ციხიდან გათავისუფლების შესახებ, ასევე უთხრა, რომ ფრთხილად ყოფილიყო და მ. მ-სგან მოსალოდნელი ძალადობისაგან თავი დაეცვა. გაფრთხილების შემდეგ, დაზარალებული შეშინდა. 2022 წლის 3 დეკემბერს, მდებარე საოჯახო ტიპის სასტუმრო „...“

შენობაში ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. დაახლოებით 11:33 საათზე, ი. მ-ს ტელეფონზე დაურეკა მ. მ-მ და შეხვედრა მოსთხოვა, მაგრამ მას არ სურდა შეხვედრა და მასთან საუბარი. ამიტომ უარი უთხრა. ასევე აუხსნა, რომ მასთან ოფიციალურად განქორწინებას აპირებდა, რის გამოც, მ. მ. გაბრაზდა, არ აძლევდა საუბრის საშუალებას, უყვიროდა, აგინებდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. შემდეგ დაემუქრა, რომ თუ არ შეხვდებოდა, მოკლავდა და ცოცხალს არ დატოვებდა. დაზარალებულმა განმარტა, რომ ეშინია მ. მ-ს, სწორედ ამიტომ მისმა მუქარამ შეაშინა, ანერვიულდა, დაიწყო ტირილი და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. დაზარალებულ ი. მ-ს ჩვენებას სრულად შეესაბამება და ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებებია დადასტურებული მოწმეების – ნ. მ-ს, ნ. გ-ს, ვ. ბ-ს, ი. შ-სა და მ. მ-ს გამოკითხვის ოქმებში, ასევე მ. მ-ს მიმართ გამოცემულ შემაკავებელ ორდერსა და შემაკავებელი ორდერის ოქმში, რომლებიც მხარეთა მიერ ცნობილია უდავო მტკიცებულებებად. სასამართლოში მ. მ-მ დამუქრების ფაქტი თავდაპირველად უარყო, მაგრამ შემდეგ, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დაადასტურა და განმარტა, რომ 2022 წლის 3 დეკემბერს, სატელეფონო საუბრისას, როდესაც ი. მ-მ შეხვედრაზე უარი უთხრა, გაბრაზდა და ამის გამო დაემუქრა. თუმცა მისი მუქარა რეალური არ იყო. ძალადობის გამო მან ერთხელ სასჯელი უკვე მოიხადა და შეგნებული აქვს, რომ ძალადობის ან მუქარის გამო მკაცრად დაისჯება. ჩადენილს ინანიებს და ითხოვს პატიებას. მუქარის შედეგად, დაზარალებულის მიერ საფუძვლიანი შიშის განცდაზე, დამატებით ასევე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მ. მ წარსულში გასამართლებულია (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენი) ი. მ-ზე სისტემატური ფიზიკური ძალადობისათვის. ამრიგად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება როგორც მუქარის, ისე – მის შედეგად, დაზარალებულის მიერ საფუძვლიანი შიშის განცდის ფაქტი.

6. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ მ. მ-ს მუქარის განხორციელების განზრახვა არ გააჩნდა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დამნაშავეს მიზანს, კერძოდ, ჰქონდა თუ არა მსჯავრდებულს გამიზნული მუქარის რეალიზაცია, კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

7. ამასთან, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს მსჯავრდებულ მ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. დ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქების ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის

გადაწყვეტილებას, მსჯავრდებულ მ. მ-ს მიმართ შეფარდებული პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ, კერძოდ:

9. წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. მ. გასამართლებულია ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს განაჩენით, დანაშაულებისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი), სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით შეფარდებული ჰქონდა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

10. ზემოაღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განჩინებით დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

11. №... პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ მ. მ-ს 2022 წლის 12 აპრილის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეფარდებული სასჯელი შეუმცირდა 75 დღით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს უფროსის წერილით ირკვევა, რომ მ. მ. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2022 წლის 18 ნოემბერს. მ. მ-მ სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან სულ მოკლე ხანში, 2022 წლის 3 დეკემბერს, კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული. დადგენილია ისიც, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, მას ნასამართლობა არც გაქარწყლებული და არც მოხსნილი არ ჰქონდა.

12. შესაბამისად, წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის დროს, მ. მ. იყო ნასამართლევ (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენი), მათ შორის – განზრახ მძიმე დანაშაულისთვისაც – საქართველოს სსკ-ის 11¹, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს 4-დან – 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევ არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე და-

ნაშაულის ჩადენისთვის.

14. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ. წარსულში ნასამართლევა განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილი არ იყო მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით, ჩათვალა პირობითად.

15. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ მ. მ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის ზომას – 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთას, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას სასჯელის ზომის ნაწილში, შემდეგი არგუმენტებით:

16. სააპელაციო პალატა მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრისას აპელირებს მ. მ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, კერძოდ, დანაშაულის ჩადენაზე ოჯახის წევრის მიმართ და მოიხმობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, რომლის მიხედვით – დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ..., არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. სააპელაციო პალატა აგრეთვე აპელირებს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის შესაბამისად: „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას“. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის დანაწესებისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო მ. მ. 6 (ექვსი) თვით უმძიმეს სასჯელს და უფარდებს თავისუფლების აღკვეთას – 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ამავდროულად

მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ამავე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

18. მოცემულ შემთხვევაში მ. მ-ს ბრალად შერაცხილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (არაერთგზის) და „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, შესაბამისად, ოჯახის წევრის მიმართ დანაშაული განსაზღვრულია ბრალად წარდგენილი სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლის მე-2 ნაწილით, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი, რის გამოც, დამატებით დამამძიმებელ გარემოებად ვერ მიიჩნევა. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასჯელის განსაზღვრის წესი, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, რის გამოც მ. მ-ს უნდა მიესაჯოს – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა – პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის ზომის შესაბამისად (პირობით მსჯავრად ჩათვლის გარეშე), ვინაიდან სააპელაციო პალატის მიერ სასჯელის ზომის დამძიმებას, საფუძვლად დაედო მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ.

დ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით.

4. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს მსჯავრდებულის სახით დაკავების დღიდან – 2023 წლის 26 ივლისიდან. მასვე, სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს ბრალდებულის სახით დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 12 დეკემბრიდან 2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

5. მსჯავრდებულ მ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო (პატიმრობის უზრუნველყოფით) გაუქმებულია და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, ყადაღა მოეხსნას მ. მ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით – 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად, ... (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №....) მდებარე, მ. ა-სა (პ/ნ ...) და რ. ა-ს (პ/ნ ...) სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონების 10000 (ათი ათასი) ლარის ღირებულების წილს.

6. ნივთმტკიცებები: ი. მ-სგან ამოღებული მობილური ტელეფონი და სიმბარათი, ასევე – მ. მ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული მობილური ტელეფონი და სიმბარათი, რომლებიც ინახება ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, დაუბრუნდეთ მესაკუთრეებს; ი. მ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, ერთ ცალ დისკზე, ასევე – მ. მ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, ერთ ცალ დისკზე, რომლებიც ერთთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

**ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“
ქვეპუნქტიდან იმავი კოდექსის 126¹ მუხლის 1-ლ
ნაწილზე და დანაშაულის გენდერის ნიშნით
შეუწყნარებლობის მოტივით ჩადანაშაულებების
ამორიცხვა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№959აპ-23

13 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახალციხის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორის – გელა მალრადისა და მსჯავრდებულ გ.
ი-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. ჩ-ს საკასაციო საჩივრე-
ბი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის გა-
ნაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

**1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით გ. ი-ს, – და-
ბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა:**

1.1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ
ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა, რა-
საც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
(შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით
გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თან-
დასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (2022 წლის 21 მარტის
ეპიზოდი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის
126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

1.2. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქ-
რებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში,
ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ (2022 წლის 21 მარტის ეპიზო-
დი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-
ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

1.3. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ (2022 წლის 21 მარტის არასრულწლოვან თ. ი-ს ეპიზოდი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

1.4. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა, რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

1.5. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

1.6. პირის დამცირება და იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ მორალურ ტანჯვას აყენებს, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. ი-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2022 წლის 21 მარტს, ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლით მთვრალმა გ. ი-მ, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, გენდერული სტერეოტიპის გავლენით: ქალი არ უნდა გავიდეს საცხოვრებელი სახლიდან გარეთ, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მამაკაცს და შეასრულოს მისი სურვილები, თავისი შეხედულებით არ უნდა იმოქმედოს, ეჭვიანობის ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკებისას, არასრულწლოვანი შვილების: ... წელს დაბადებული თ. ი-ს და ... წელს დაბადებული ბ. ი-ს თანდასწრებით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – მ. ბ-ს, რა დროსაც რამდენჯერმე დაარტყა ხელი სახის არეში, რითაც მ. ბ-მ განიცადა ტანჯვა და ძლიერი ფიზიკური ტკივილი და აღნიშნულით სხეულზე მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

2.2. 2022 წლის 21 მარტს, ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლით მთვრალი გ. ი., გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, გენდერული სტერეოტიპის გავლენით: ქალი არ უნდა გავიდეს საცხოვრებელი სახლიდან გარეთ, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მამაკაცს და შეას-

რულოს მისი სურვილები, თავისი შეხედულებით არ უნდა იმოქმედოს, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს – მ. ბ-ს, რა დროსაც მან თვითნაკეთი წესით დამზადებული მასიური ტიპის დანის პირი დაისვა მარცხენა ხელის გულზე, რის გამოც ხელიდან წამოუვიდა სისხლი და დაემუქრა მეუღლეს, რომ მასაც მოკლავდა, რითაც მ. ბ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.3. 2022 წლის 21 მარტს, ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლით მთვრალი გ. ი., იმის გამო, რომ არასრულწლოვანმა შვილმა, დაბადებულმა თ. ი-მ მამის მიერ ძალადობისას დაიცვა დედის, მ. ბ-ს ინტერესი, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მას, რა დროსაც გ. ი-მ მეორე ოთახში არსებული სამზარეულოდან გამოიტანა 2 ცალი თვითნაკეთი წესით დამზადებული მასიური ტიპის დანა, თ. ი. დაისვა მაგიდასთან და ძლიერად მოითრია მაისურიდან, წააქცია იატაკზე, ერთი ცალი დანა მიადო ყელთან, ხოლო მეორე დანა კი მუცელთან, რითაც არასრულწლოვან თ. ი.ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.4. 2022 წლის 24 მარტს, ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლით მთვრალიმა გ. ი-მ, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, გენდერული სტერეოტიპის გავლენით: ქალი არ უნდა გავიდეს საცხოვრებელი სახლიდან გარეთ, უსიტყვოდ უნდა დამორჩილოს მამაკაცს და შეასრულოს მისი სურვილები, თავისი შეხედულებით არ უნდა იმოქმედოს, ეჭვიანობის ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკებისას, არასრულწლოვანი შვილების: დაბადებული თ. ი-ს და 2014 წლის 26 აპრილს დაბადებული ბ. ი-ს თანდასწრებით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – მ. ბ-ს, რა დროსაც რამდენჯერმე დაარტყა ხელი მას სხეულის სხვადასხვა არეში, რითაც მ. ბ-მ განიცადა ტანჯვა და ძლიერი ფიზიკური ტკივილი და აღნიშნულით სხეულზე მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

2.5. 2022 წლის 24 მარტს, ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლით მთვრალი გ. ი., გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, გენდერული სტერეოტიპის გავლენით: ქალი არ უნდა გავიდეს საცხოვრებელი სახლიდან გარეთ, უსიტყვოდ უნდა დამორჩილოს მამაკაცს და შეასრულოს მისი სურვილები, თავისი შეხედულებით არ უნდა იმოქმედოს, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს – მ. ბ-ს. კერძოდ, თვითნაკეთი წესით დამზადებული მასიური ტიპის დანით მოკვლით დაემუქრა მეუღლეს, რითაც მ. ბ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.6. წლების განმავლობაში გ. ი., ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, გენდერული სტერეოტიპის გავლენით: ქალი არ უნდა გავიდეს საცხოვრებელი სახლიდან გარეთ, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მამაკაცს და შეასრულოს მისი სურვილები, თავისი შეხედულებით არ უნდა იმოქმედოს, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს მ. ბ-ს, რითაც გ. ი. ძლიერ მორალურ ტანჯვას აყენებდა მ. ბ-ს. ამასთან, 2022 წლის 24 მარტს, ა-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ში მდებარე თავისივე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლით მთვრალმა გ. ი-მ, იმავე მოტივით, ხელში დაჭერილი თვითნაკეთი წესით დამზადებული მასიური ტიპის დანის დემონსტრირებით და მოკვლით აიძულა მეუღლე მ. ბ-ე, რათა ბოდიში მოეხადა მისთვის მიცემული შენიშვნის გამო, ეთხოვა პატიება, დაჩოქილიყო ძირს და მუხლები დაეკოცნა მისთვის.

3. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 26 იანვრის განაჩენით გ. ი. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა;

3.1. გ. ი. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1.1. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ბ-ს, ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

3.1.4. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

3.1.5. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით;

3.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და გ. ი-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

3.3. გ. ი-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2022 წლის 24 მარტიდან 2022 წლის 4 აპრილის ჩათვლით და

სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან – 2023 წლის 26 იანვრიდან.

3.4. გ. ი. დააკავეს სასამართლო სხდომის დარბაზში და მოათავსეს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

4.1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გელა მაღრაძემ მოითხოვა გ. ი-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

4.2. მსჯავრდებულ გ. ი-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. ჩ-მ მოითხოვა მსჯავრდებულის სრულად გამართლება.

4.3. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოდგინა გ. ი-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. ჩ-ს და მოითხოვა დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 26 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება:

5.1. გ. ი. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

5.2. გ. ი. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

5.3. გ. ი. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

5.4. გ. ი. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

5.4.1. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

5.4.2. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

5.4.3. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების

აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით;

5.4.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და გ. ი-ს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

5.5. გ. ი-ს სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 24 მარტიდან 2022 წლის 4 აპრილის ჩათვლით და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან – 2023 წლის 26 იანვრიდან.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

6.1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორი გელა მალრაძე ითხოვს გ. ი-ს მსჯავრდებას თავდაპირველი – ბრალად წარდგენილი (საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით) – კვალიფიკაციით და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის შეფარდებას.

6.2. მსჯავრდებულ გ. ი-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი ვ. ჩ-ი ითხოვს მსჯავრდებულის სრულად გამართლებას.

6.3. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა ადვოკატმა ვ. ჩ-მ და მოითხოვა დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-71 მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECHR, 25/12/2001).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს: პროკურორმა, რომელიც ითხოვს მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობას თავდაპირველი – ბრალად წარდგენილი (საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი); საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“

ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი); საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი); საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი); საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი); საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით) კვალიფიკაციით და მისთვის დანაშაულთა ერთობლიობით კანონიერი სასჯელის შეფარდებას, ხოლო დაცვის მხარე – გ. ი-ს უდანაშაულოდ ცნობას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ – გელა მაღრაძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ გ. ი-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენში უნდა შეიძღეს ცვლილება, კერძოდ:

3.1. გ. ი. უნდა გამართლდეს – საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებიდან უნდა ამოერიცხოს არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენაზე მითითება – და შესაბამისად, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს გ. ი-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი ანდა გარემოებითი მტკიცებულება,

რომელიც დააკმაყოფილებდა საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და დაადასტურებდა გ. ი-ს მიერ დაზარალებულის/დაზარალებულების მიმართ აღნიშნულ ეპიზოდებში ძალადობის, მუქარის ან/და დამცირებისა და იძულების ჩადენას.

5. დაზარალებულებმა – მ. ბ-მ, თ. ი-მ და ბ. ი-მ ისარგებლეს საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე გ. ი-ს (მეუღლის/მამის) წინააღმდეგ, ხოლო გ. ი-მ გამოიყენა დუმილის უფლება და სასამართლოს არ მისცა ჩვენება.

6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ოჯახური დანაშაულის ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობის ან საქმის მასალებში ბრალდებულის მიმართ დაზარალებულის პრეტენზიის არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაშიც, ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა ერთობლიობა აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებელი განაჩენის დადგენისთვის საჭირო მტკიცებით სტანდარტს. სასამართლო კვლავაც ამახვილებს ყურადღებას სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყოს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა სწრაფი და სრულყოფილი გამოძიება, მართლმსაჯულების განხორციელება და ძალადობის აღსაკვეთად ადეკვატური რეაგირება (მაგ.: იხ. X and Y v. Georgia, No. 24/2009; U.N. Doc. CEDAW/C/61/D/24/2009, §§9.7; 9.6; 2015).

7. მ. ბ-სა და თ. ი-ს მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის 2022 წლის 25 მარტის ოქმების თანახმად, მსჯავრდებულმა იძალადა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა დაზარალებულებს.

8. შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის 2022 წლის 24 მარტის ოქმის თანახმად, გ. ი. დანით დაემუქრა მ. ბ-ს სიცოცხლის მოსპობით, რამაც მსხვერპლში გამოიწვია შიში. მ. ბ-ს აღენიშნებოდა დაზიანება – მარცხენა თვალის არეში სილურჯე.

8.1. შემაკავებელი ორდერის ოქმთან დაკავშირებით, სასამართლო ერთი მხრივ ითვალისწინებს, რომ შემაკავებელი ორდერი ხელმოწერილია დაზარალებულისა და მსჯავრდებულის მიერ; საქმის მასალებით არ დასტურდება შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის გასაჩივრების ფაქტი; შემაკავებელი ორდერში მითითებული ინფორმაცია ეხება მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას და შესაბამისად, შემაკავებელი ორდერი წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას (მაგ.: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 დეკემბრის №585აპ-19 განაჩე-

ნი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 2 ივნისის №331აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 24 თებერვლის №1051აპ-21 განაჩენი; 2022 წლის 6 ივლისის №509აპ-22 განჩინება);

8.2. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ არც წინასასამართლო განხილვის და არც არსებითი განხილვის სხდომაზე დაცვის მხარეს არ უცვნია შემაკავებელი ორდერი და მისი ოქმი უდავო მტკიცებულებად (ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 11 მაისის განჩინებით დამტკიცდა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა და შემაკავებელ ორდერი და შემაკავებელი ორდერის ოქმიც დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც სადავო მტკიცებულებები), რის გამოც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე აღნიშნული დოკუმენტები მხარეთა მონაწილეობით იქნა გამოკვლეული – თუმცა მოხდა აღნიშნული დოკუმენტების ბრალდების მხარის მიერ მხოლოდ საჯაროდ წაკითხვა (გამოქვეყნება), მაგრამ სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულა ორდერის გამომცემი – საქართველოს შსს ა-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი დ. დ.; ასევე – ოქმთან დაკავშირებით სასამართლოსთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია ბრალდების მხარის მიერ დაკითხულ (მათ შორის საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელ) არც ერთ მონემს და არც საქმის მწარმოებელ გამომძიებელს, ხოლო დაზარალებულმა მ. ბ-მ (ვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასაც ემყარება შემაკავებელი ოქმი) უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.

8.2.1. სასამართლო, ერთი მხრივ, ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიულ ხასიათს, რომელიც დოკუმენტს დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს აქვს შესაძლებლობა მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა ან/და რომელთანაც სასამართლოსთვის წარდგენამდე ინახებოდა ის, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს, რომ შემაკავებელი ორდერის ოქმი, ისევე როგორც დაზარალებულების მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ოქმები სრულად ემყარება დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და დაცვის მხარეს არ მიეცა აღნიშნული ინფორმაციის პირველწყაროს სასამართლოს სხდომაზე გამოკვლევის შესაძლებლობა.

8.3 მოცემულ შემთხვევაში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და შემაკავებელი ორდერის ოქმი მართალია, ორი სხვადასხვა მტკიცებულებაა, თუმცა ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულებებია (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 16 მაისის №159აპ-23 განჩინება) – ორივე შემთხვევაში ინფორმაციის მომწოდებელი წყარო არის ერთი და იგივე პირი, ორივე მტკიცებულე-

ბა ემყარება დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომელმაც ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და უარი განაცხადა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

8.4. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ვინაიდან დაცვის მხარეს არ მიეცა საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით (მხარეს უფლება აქვს მათ შორის გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება) და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით აღნიშნული მტკიცებულებების გამოკვლევა – მტკიცებულებაში ასახული ინფორმაციის სარწმუნოებისა და ინფორმაციის მიმწოდებლის სანდოობის გამოკვლევის, ინფორმაციის პირველწყაროს დაკითხვის შესაძლებლობა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 31 ოქტომბრის №855აპ-23 განჩინება), დაუშვებელია აღნიშნული მტკიცებულებების გამოყენება მსჯავრდებისათვის (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ივლისის №315აპ-20, 2020 წლის 1 ივნისის №49აპ-20, 2024 წლის 16 იანვრის №948აპ-23 განჩინებები).

9. შემთხვევის ადგილის დათვალიერების 2022 წლის 24 მარტის ოქმით დასტურდება მხოლოდ შესაძლო დანაშაულის ადგილი და ის გარემოება, რომ სახლის დათვალიერებისას სამზარეულოდან ამოიღეს ერთი ქარხნული წესით დამზადებული და ერთი ხელნაკეთი დანა. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულება გ. ი-ს მიერ საქართველოს სსკ-ი 126¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) ჩადენის დასადასტურებლად ირელევანტურია, ხოლო საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მტკიცებისთვის (სხვა მამხილებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში) per se არ ადასტურებს დანაშაულის ჩადენას და არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

10. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ 2022 წლის 24 მარტს შესული შეტყობინების აუდიოჩანაწერის დათვალიერების 2022 წლის 19 აპრილის ოქმით დასტურდება, რომ ინიციატორი არის მ. ბ-ე, რომელიც ტირის და აღელვებული ხმით ოჯახური პრობლემის გამო ითხოვს საპატრულო პოლიციის საცხოვრებელი სახლის მისამართზე გამოძახებას; ოპერატორი რამდენჯერმე ეკითხება მისამართს, ვინაიდან არ ესმის ინიციატორის საუბარი („ცუდად ისმის“, „ვერ ვიგებ ქალბატონო“); მ. ბ-ე ითხოვს, რომ პოლიცია მივიდეს: „ი. გ-ს ოჯახი იკითხონ, ველარ დაგელაპარაკებით, გთხოვთ“; ოპერატორის კითხვაზე არის თუ არა დაშავებული და ესაჭიროება თუ არა სასწრაფო დახმარება, ატირებული პასუხობს:

„ჯერ არა“. მისივე განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ მისი მეუღლე გაიგებს შეტყობინების შესახებ, იგი მას მოკლავს.

11. გამომძიებელ ა. ბ-ს ჩვენების თანახმად, 2022 წლის 24 მარტს მიღებული შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, სადაც დაზარალებული მ. ბ-ე მომხდარი ფაქტის გამო ნერვიულობდა (11.07.2022; 10:52:10).

12. მოწმე რ. ბ-მ დაადასტურა, რომ იგი არის დაზარალებული მ. ბ-ს მამა. მეზობელმა უთხრა, რომ მისი ქალიშვილის სახლში იყო სასწრაფო დახმარება, რის გამოც დაურეკა მ. ბ-ს. დაზარალებულმა უთხრა, რომ მასსა და გ. ი-ს (ცოლ-ქმარს) შორის რაღაც მოხდა და მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარება (28.09.2022; 15:48:47). შვილისგან იცის, რომ მსჯავრდებულმა მისი შვილის მიმართ იძალადა (15:51:29). მოწმემ განმარტა, რომ იგი მსჯავრდებულის მხრიდან მუქარის ან/და ძალადობის ფაქტს პირადად არ შესწრებია. დაზიანებები დაზარალებულებისთვის არ შეუმჩნევია.

13. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2022 წლის 25 მარტის დასკვნის თანახმად, მ. ბ-ს სხეულზე არსებული სისხლნაჟღენთები მიყენებულია რაიმე მკერვივი ბლაგვი საგნის მოქმედებით და როგორც თითოეული ცალ-ცალკე, ასევე ყველა ერთად აღებული, ეკუთვნის სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით ლურჯი ფერის სისხლნაჟღენთები არ ეწინააღმდეგება წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს, ხოლო მწვანე ფერის სისხლნაჟღენთი თავისი ხანდაზმულობით არანაკლებ 3-6 და არაუმეტეს 5-10 დღისაა.

14. დაზარალებულის პირადი გასინჯვის მონაცემებით: მარცხენა ქვემო ქუთუთოს არეში აღენიშნებოდა ლურჯი ფერის სისხლნაჟღენთი ზომით 1,5X3 სმ-ზე, მარჯვენა ქვემო ქუთუთოს არეში აღენიშნებოდა ლურჯი ფერის სისხლნაჟღენთი ზომით 1,5X2,5 სმ-ზე, შუბლის მარცხენა არეში აღენიშნებოდა სიგრიძვად მდებარე ლურჯი ფერის სისხლნაჟღენთი ზომით 0,6X2,5 სმ-ზე. მარცხენა მხრის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღენიშნებოდა მწვანე ფერის სისხლნაჟღენთი ზომით 2X3 სმ-ზე.

15. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის 2022 წლის 12 აპრილის №.... დასკვნის თანახმად, წარდგენილი სს მასალებისა და მ. ბ-ს ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებით დგინდება, რომ მ. ბ-მ, მეუღლის, გ. ი-ს მხრიდან განხორციელებული ქმედებებით განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა, ხოლო ექსპერტ მ. ბ-ს ჩვენების თანახმად, მ. ბ-ს ჰქონდა შფოთვის უმაღლესი ზღვარი და მისი ფსიქიკური მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე.

16. ამდენად, გ. ი-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდების ნაწილში, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მართალია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ 2022 წლის 24 მარტს შესული შეტყობინება სასამართლო სხდომაზე არ დაადასტურა დაზარალებულმა და ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლით მინიჭებულ უფლებით, თუმცა აღნიშნული შეტყობინების შინაარსის (ოჯახური პრობლემის გამო ითხოვს საპატრულო პოლიციის საცხოვრებელი სახლის მისამართზე გამოძახებას; ამასთან, ოპერატორის კითხვაზე არის თუ არა დაშავებული და ესაჭიროება თუ არა სასწრაფო დახმარება, ატირებული პასუხობს: „ჯერ არა“. დაზარალებულის განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ მისი მეუღლე გაიგებს შეტყობინების შესახებ, მოკლავს), მონმე რ. ბ-ს ჩვენების (დაადასტურა დაზარალებულის მიერ საპატრულო პოლიციის და სასწრაფო დახმარების გამოძახება), სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის (მ. ბ-ს მარცხენა და მარჯვენა ქვემო ქუთუთოს, შუბლის მარცხენა არეში აღენიშნებოდა ლურჯი ფერის სისხლნაჟღერებული), სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის 2022 წლის 12 აპრილის №... დასკვნის და სადავო შემთხვევიდან და შეტყობინების მიღებიდან პრაქტიკულად დაუყოვნებლივ, შემთხვევის ადგილზე გამოცხადებული გამომძიებლის ჩვენების (განმარტა, რომ დაზარალებული ნერვიულობდა) მხედველობაში მიღებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ 2022 წლის 24 მარტს გ. ი-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – მ. ბ-ს, რა დროსაც დაზარალებულმა მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

17. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებულების მიერ ახლო ნათესავის (მეუღლის/მამის) წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის პირობებში, ბრალდების მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ან/და არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენას. შემთხვევის ადგილზე შეტყობინების საფუძველზე მისული გამომძიებლების ჩვენებებით ცალსახად არ დგინდება ადგილზე მისულებს არასრულწლოვნები დახვდნენ, თუ ისინი გარიდებული იყვნენ საცხოვრებელი სახლიდან, ხოლო სს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, არც ის დგინდება თუ როდის, სად, ვინ ან/და რატომ განარიდა ისინი, ესწრებოდნენ თუ არა არასრულწლოვნები უშუალოდ ფიზიკური ძალადობის ფაქტს.

18. დაცვის მხარის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო, მათ შორის – ირიბ ჩვენებებს, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გამიჯნოს რომელი ჩვენება, ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენს ირიბს და შემდეგ გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია ამ ჩვენების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი №97აპ-20).

18.1. მოწმე ქ. ბ-ის ჩვენების თანახმად, იგი არის დაზარალებულ მ. ბ-ს და. წლების განმავლობაში მ-ს და გ-ს ოჯახში ჰქონდათ კონფლიქტური სიტუაცია, ბრალდებული ხშირად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს და ხდებოდა აგრესიული ოჯახის წევრების მიმართ. მას რამდენჯერმე უნახავს მ-ის სხეულზე სილურჯეები, თუმცა მ-ი არ უმხელდა მეუღლის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფების ფაქტებს. ასევე იყო შემთხვევა, რომ მ-ის სახლში ნახა დაზიანებული ტელევიზორი და დისგან გაიგო, რომ ტელევიზორში გადიოდა გადაცემა ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის შესახებ და ამის გამო გაბრაზებულ გ. ი-ს ჩაუშსხვრევია ტელევიზორის ეკრანი.

18.2. ამდენად, აღნიშნული მოწმე გ. ი-ს მიმართ ბრალად შეურაცხილ დანაშაულებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ შესწრებია და საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას სრულად ფლობს დაზარალებულისგან.

18.3. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ირიბი ჩვენების გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 22/01/2015, II-37, II-52). შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის პირობებში ირიბი ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის დაუშვებელია.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ გ. ი-ს მიერ 21 მარტს შვილისათვის – თ. ი-სთვის დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარა დასტურდება მხოლოდ ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების 2022 წლის 25 მარტის ოქმებით, სხვა პირდაპირ-

რი ან/და გარემოებითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნულ ფაქტს, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის. ამასთან, აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე ინფორმაციის პირველწყაროების (შესაბამისად – მ. ბ-ს და თ. ი-ს) დაკითხვა და ოქმში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სისწორის გადამოწმების შესაძლებლობა დაცვის მხარეს არ მიეცა, აღნიშნულ პირთა მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ი-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის დასადასტურებლად ბრალდების მხარემ ვერ შესძლო საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება იმისათვის, რომ პირის ბრალეულობა არ იყოს დამოკიდებული მთლიანად ან უმეტესწილად დაზარალებულის და ამ პირის ოჯახის წევრი მოწმეების მამხილებელ ჩვენებებზე, ხოლო საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა არ არის საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

21. ამდენად, პროკურორის პოზიცია (აღნიშნულ ეპიზოდებთან მიმართებით) არის მხოლოდ ვარაუდი, საკასაციო სასამართლო კი კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არ-

სებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გ. ი. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდეს, ხოლო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილზე (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და, იმავდროულად, ამოერიცხოს დანაშაულის გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენაზე მითითება.

23. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებული მონყვლადობა და მათი დაცვის პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩართვის აუცილებლობა ხაზგასმულია არაერთ საერთაშორისო ინსტრუმენტსა და სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში (იხ. Z.B. v. Croatia, no. 47666/13, §50-51, ECtHR, 11/07/2017; Opuz v. Turkey, no. 33401/02, §§ 72-86, ECtHR, 09/09/2009; Hajduová v. Slovakia, no. 2660/03, § 46, ECtHR, 30/11/2010; Bevacqua and S. v. Bulgaria, no. 71127/01, §§ 64-65, ECtHR, 12/06/2008). სასამართლო ასევე ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“) 45-ე მუხლს, რომლის თანახმად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომის გატარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, პროპორციული და დამაფიქრებელი სანქციით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 31 იანვრის №843პა განაჩენი, II-5).

24. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება უფრო მეტი ძალისხმევით მოიპოვოს და შეკრიბოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ წარდგენილ ბრალდებას, რათა, ერთის მხრივ, წარდგენილი ბრალდების დასაბუთებულობა არ იყოს დამოკიდებული პრო-

ცესის მონაწილეების მიერ საქართველოს სსკ 49-ე მუხლით მათთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობაზე და მეორე მხრივ არ გამოიწვიოს დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაცია და უნდობლობა არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობისადმი, არ იწვევდეს დაუსჯელობის განცდას (იხ., *A. v. Croatia*, no. 55164/08, §7, ECtHR, 14/10/2010; *Valiulienė v. Lithuania*, no. 33234/07, § 71, ECtHR, 26/03/2013; *Eremia v. the Republic of Moldova*, no. 3564/11, § 57, ECtHR, 28/05/2013; *Ž.B. v. CROATIA*, no. 47666/13, § 50, 11/07/2017; *Volodina v. Russia*, no. 41261/17, §78, ECtHR, 09/07/2019).

25. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

26. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსაველდებულო მოთხოვნებს და სასჯელის მიზნებს, მათ შორის სასჯელის რესოციალიზაციის (სასჯელის მეშვეობით საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი დამნაშავის შეგუებას) და ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანს, რომელიც ხორციელდება სპეციალური და ზოგადი პრევენციის ფარგლებში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება).

27. მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღებით გ. ი-ს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 1 წლითა და 6 თვით, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

28. იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის საფუძველზე, ქარხნული წარმოების და ხელნაკეთი დანები უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს, ხოლო გ. ი-ს სამედიცინო ისტორიის მასალები, შენახულ იქნეს საქმესთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

29. ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტისას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ნუსხაში მითითებულ საქმეზე დართულ საგნებსა და ნივთებზე, რომელთა შორისაც არის ასევე: „ნივთი – სხვა: მ. ბ-ს შეტყობინების აუდიოჩანაწერი 112-ში, ინახება:

სისხლის სამართლის საქმეში №.....“. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გელა მალრაძემ 2022 წლის 15 აპრილს ამოღების ჩატარების შესახებ შუამდგომლობით მიმართა ახალციხის რაიონული სასამართლოს და მოითხოვა განჩინების გაცემა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ ადმინისტრაციულ შენობაში 24 მარტს, 17:50:42 საათზე მ. ბ-ს შეტყობინების აუდიოჩანაწერის დათვალიერების თაობაზე (შუამდგომლობაში მიეთითა: ამოღების ჩატარების ვადა: 30 დღე).

29.1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მ. ბ-ს 2022 წლის 24 მარტის, 17:50:42 საათის შეტყობინების აუდიოჩანაწერის დათვალიერების თაობაზე დაკმაყოფილდა;

29.2. შეტყობინების აუდიოჩანაწერის დათვალიერების 2022 წლის 19 აპრილის ოქმის თანახმად, დათვალიერდა განჩინებაში მითითებული აუდიოჩანაწერი, კომპიუტერისა და ყურსასმენის გამოყენებით.

29.3. 2022 წლის 28 აპრილის შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ ოქმისა და სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხის თანახმად, დაცვის მხარეს, კერძოდ, ადვოკატ ვ. ჩ-ს გადაეცა და მტკიცებულებათა ნუსხაში, საქმეზე დართულ საგნებსა და ნივთებს შორის მიეთითა, მათ შორის: „ნივთი – სხვა: მ. ბ-ს შეტყობინების აუდიოჩანაწერი 112-ში, ინახება: სისხლის სამართლის საქმეში №.....“, თუმცა სს საქმის მასალებით არ დასტურდება აუდიოჩანაწერის გამოთხოვა, მათ შორის, შეტყობინების აუდიოჩანაწერის დათვალიერების 2022 წლის 19 აპრილის ოქმის თანახმად, ადგილი ჰქონდა ჩანაწერის დათვალიერებას და არა მის რაიმე გზით მოპოვებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გადანყვიტოს აღნიშნული ნივთმტკიცების ბედი საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორის – გელა მალრაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ გ. ი-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენში გ. ი-ს მიმართ შევიდეს ცვლილება:

3.1. გ. ი. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

3.2. გ. ი. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

3.3. გ. ი. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

3.4. გ. ი. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 მარტის, არასრულწლოვან თ. ი-ს, ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

3.5. გ. ი. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

4. გ. ი-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილზე (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და ამოერიცხოს დანაშაულის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე მითითება;

4.1. გ. ი. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 24 მარტის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით;

5. საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები:

5.1. ქარხნული წარმოების და ხელნაკეთი დანები დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს;

5.2. გ. ი-ს სამედიცინო ისტორიის მასალები, შენახულ იქნეს საქმესთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

**საკანსაციო სასამართლო არ დაეთანხმა ქვემოთ
ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ
კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის
საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით
წარდგენილი ბრალდება იყო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე
მუხლით გათვალისწინებული ბრალდების შემაღენელი
ნაწილი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№910აპ-23

1 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თელავის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორ დავით გველესიანის საკასაციო საჩივარი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განა-
ჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით: შ. ქ-ს ბრა-
ლად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
(შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის
„ე“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი),
საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, სა-
ქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართვე-
ლოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათ-
ვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით შ. ქ-ს მიერ ჩა-
დენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლი-
სის განაჩენით შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-
ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საქართველოს

სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

2.1.1. 2022 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ის ქუჩის №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევა შ. ქ-ემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის დედას – ი. ყ-ს, კერძოდ, გაშლილი ხელი გაართყა მას თავის არეში და მარცხენა ფეხის არეში ჩაართყა ფეხი, რის შედეგადაც, ი. ყ-მა განიცადა ფიზიკური ტკივილი;

2.1.2. 2022 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით, 20:00 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ის ქუჩის №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი შ. ქ-ე დანის გამოყენებით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა დედას – ი. ყ-ს, კერძოდ, განუცხადა, რომ დანით გამოფატრავდა, გამოჭრიდა მას ყელს და მოკლავდა. აღნიშნული მუქარა ი. ყ-მა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში;

2.1.3. 2022 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 16:30 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ის ქუჩის №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი შ. ქ-ემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის დედას – ი. ყ-ს, კერძოდ, ძლიერად მოჰქაჩა თმებით, რის შედეგადაც, ი. ყ-მა განიცადა ფიზიკური ტკივილი;

2.1.4. 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, ქ. ა-ში, ჭ-ის ქუჩის №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი შ. ქ-ე სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა თავის დედას – ი. ყ-ს. მის მიმართ განხორციელებული სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფის შედეგად ი. ყ-მა განიცადა ფსიქიკური ტანჯვა;

2.1.5. 2022 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით, 20:00 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ის ქუჩის №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, შ. ქ-ემ

განზრახ გაანადგურა თავისი დედის – ი. ყ-ს კუთვნილი, 110 ლარად ღირებული ფარდა, 15 ლარად ღირებული კარის მინა, 270 ლარად ღირებული შესასვლელი ხის კარის ერთი ცალი ფრთა და 200 ლარად ღირებული „კონვექტორის“ გამოშვების, გაზის გამათბობელი, რითაც ი. ყ-ს მიადგა 595 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი;

2.1.6. 2022 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით, 16:30 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ის ქუჩის №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი შ. ქ-ე სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა დედას – ი. ყ-ს, კერძოდ, განუცხადა, რომ გამოსჭრიდა ყელს და მოკლავდა. აღნიშნული მუქარა ი. ყ-მა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში;

2.2. 2022 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ს ქუჩა №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, შ. ქ-ემ თავისი დედის – ი. ყ-ს მიმართ განახორციელა ფსიქიკური იძულება, კერძოდ, განუცხადა მას, რომ შემდგომში, როდესაც იგი აიღებდა პენსიას და ბინის ქირას, მთლიანი თანხა მისთვის უნდა მიეცა ხოლმე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ მოკლავდა და არ აცოცხლებდა მას. აღნიშნული მუქარა ი. ყ-მა აღიქვა რეალურად და საკუთარ თავზე განიცადა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება და უკანონოდ შეეზღუდა ქმედების თავისუფლება;

2.3. შ. ქ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანა, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. 2022 წლის 12 ნოემბერს, ქ. ა-ში, ჭ-ს ქუჩის №...ში მდებარე, შ. ქ-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას, საქართველოს შსს კ-ს პოლიციის დეპარტამენტის ა-ს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანა წონით 23.74 გრამი;

3. თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განაჩენით:

3.1. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა – 400 საათი საზოგადოებასათვის სასარგებლო შრომა;

3.2. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის

11',151-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

3.3. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11',151-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

3.4. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა – 400 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

3.5. შ. ქ-ე საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ფსიქიკური ტანჯვის ეპიზოდში) გამართლდა;

3.6. შ. ქ-ე საქართველოს სსკ-ის 11',150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გამართლდა;

3.7. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273'-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

3.8. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11',187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე პენიტენციური სამსახურის შესაბამის დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე;

3.9. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 11', 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა მკაცრმა სასჯელმა შთანთქა სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, შ. ქ-ს დაენიშნა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე პენიტენციუ-

რი სამსახურის შესაბამის დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვალა პირობით და განმოსაჯდელ ვადად განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე;

3.10. შ. ქ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 15 ნოემბრიდან;

3.11. შ. ქ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვალერი გიორგაშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა, შ. ქ-ს დამნაშავედ ცნობა ყველა წარდგენილი ბრალდებით და მისთვის ობიექტური და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა, რაც უფრო მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის საპატიმრო დაწესებულებაში მოხდასთან იქნება დაკავშირებული, ამასთან მის მიმართ არ იქნეს გამოყენებული საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენით:

5.1. უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განაჩენი;

5.2. შ. ქ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (სისტემატური შეურაცხყოფის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში;

5.3. შ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹,187-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

5.3.1. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2022 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) – 400 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

5.3.2. საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

5.3.3. საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

5.3.4. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2022 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) – 400 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

5.3.5. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2022 წლის ივნისის ეპიზოდი) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.3.6. საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

5.3.7. საქართველოს სსკ-ის 11¹,187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 წელი და 6 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 6 თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი და 6 თვე;

5.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სსკ-ის 11¹,187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ. ქ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 წელი და 6 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 6 თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი და 6 თვე;

5.5. შ. ქ-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვა – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგან-

მანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

5.6. მსჯავრდებულ შ. ქ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 15 ნოემბრიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დავით გველესიანმა, რომელიც ითხოვს შ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას ყველა წარდგენილ ბრალდებაში, მისთვის ობიექტური და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების გარეშე სასჯელის თავისუფლების აღკვეთის სახით, პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრას.

7. მსჯავრდებულმა შ. ქ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა დაზარალებულ ი. ყ-ს ნოტარიულად დამოწმებული განცხადება/თანხმობა, სადაც მითითებულია, რომ დაზარალებულს მსჯავრდებულ შ. ქ-ს მიმართ პრეტენზია არ აქვს და თანახმაა ვადაზე ადრე გათავისუფლდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორი დავით გველესიანი ითხოვს შ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა (ფსიქიკური ტანჯვის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის; ასევე საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 273¹-ე

მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე დაცვის მხარეს შესაგებელი არ წარმოდგენია.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საქართველოს სსსკ-ით დადგენილი სტანდარტით ადასტურებენ შ. ქ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ფსიქოლოგიური ტანჯვის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

5. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე მხარეებმა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები მიიჩნიეს უდავოდ. თუმცა მხარეთა მიერ მტკიცებულებების უდავოდ ცნობის მიუხედავად, უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებები სასამართლომ უნდა შეაფასოს მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის კუთხით ცალ-ცალკე და ერთობლივად; ასევე – მათი საკმარისობა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის.

6. სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ ი. ყ-ს გამოკითხვის ოქმებს, სადაც დაზარალებული უთითებს მისი შვილის – შ. ქ-ს – მიერ მათ შორის 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით მის სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, რითაც მან განიცადა ფსიქიკური ტანჯვა.

7. 2022 წლის 12 ნოემბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმთან (ი. ყ-ს მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რა დროსაც ი. ყ-მა ქ. ა-სი, ჭ-ს ქუჩა №...ში მდებარე მის საცხოვრებელ სახლში მიუთითა იმ ადგილებზე, სადაც 2022 წლის 5 ნოემბერს და 11 ნოემბერს, მისმა შვილმა – შ. ქ-ემ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით და დაუზიანა საყოფაცხოვრებო ნივთები) დაკავშირებით სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქ-

მის შინაარსი სრულად ეფუძნება დაზარალებულ ი. ყ-ს მიერ გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის დროს მიწოდებულ ინფორმაციას და ვინაიდან საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და დაზარალებულის ჩვენება ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულებაა ის არ უნდა იქნეს განხილული დამოუკიდებელ მტკიცებულებად (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის №158აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №496აპ-23 განჩინება)

8. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებულის მიერ გამოკითხვის ოქმში მითითებული გარემოებები (2021 წლის ივლისიდან 2022 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით შ. ქ-ს მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფით განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას) არ დასტურდება და პირიქით, ეწინააღმდეგება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 9 მარტის სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნას (დასკვნის თანახმად ი. ყ-ს მისი შვილის – შ. ქ-ს ქმედებებით (რომლის ჩადენასაც აღიარებს შ. ქ-ე) არ განუცდია ფსიქოლოგიური ტანჯვა), ხოლო საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს დაზარალებულისათვის ფსიქიკური ტანჯვის მიყენება, რისი არსებობაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება.

9. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში შ. ქ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ფსიქოლოგიური ტანჯვის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე მითითებულია მხოლოდ დაზარალებულის გამოკითხვის ოქმში (რომელიც არ დასტურდება ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით), ხოლო საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს პროკურორის მტკიცებას შ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით.

10. ამასთან, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში შ. ქ-სათვის საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება არის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების შემადგენელი ნაწილი და ზედმეტად აქვს წარდგენილი.

11. სასამართლო ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3¹-ე მუხლს, რომლის თანახმად ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

11.1. ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იძულება (საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის ანალოგიურად) არის ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით კი ეკონომიკური ძალადობა არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი ნილის განკარგვის უფლების შეზღუდვას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ძალადობაც და იძულებაც შეიძლება ზღუდავდეს დაზარალებულის საკუთრების უფლებას, იძულება მიმართულია პირველ რიგში დაზარალებულის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვისაკენ. შესაბამისად, მისი დაცვის ობიექტია ადამიანისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლება, კანონის ფარგლებში იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ და მიმართულია სამომავლოდ განსახორციელებელი უფლებით სარგებლობის თავისუფლების შეზღუდვისაკენ. თავად „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონიც, რომელზეც აპელირებს სააპელაციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს აღნიშნულ ინსტიტუტებს.

12. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული ნების თავისუფლება – კანონის ფარგლებში იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ. განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე ვლინდება პირის ფიზი-

კურ ან ფსიქიკურ უკანონო იძულებაში შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ე.ი. კანონით მისი გადასაწყვეტია ამ ქმედებას ჩაიდენს თუ არა. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში პირის ქმედება მიმართულია მისთვის სასურველი შედეგის მიღწევისაკენ, დაზარალებულის მიერ იმ ქმედების განხორციელების/თავის შეკავებისაკენ, რაც მის უფლებას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება არის მიზნით დაფუძნებული, პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება, როდესაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს როგორც თავისი ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი (ზემოქმედება დაზარალებულის ნების თავისუფლებაზე) ასევე სურს დაზარალებულის ნებაზე ზემოქმედებით მისთვის სასურველი შედეგის მიღწევა. ამასთან, დასრულებულად ითვლება დაზარალებულის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების მომენტიდან (ფორმალური შემადგენლობა).

13. სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ ი. ყ-ს 2022 წლის 12 ნოემბრის გამოკითხვის ოქმს (დაზარალებულმა მათ შორის მიუთითა, რომ 2022 წლის 11 ნოემბერს 20:00 საათზე მისი შვილი, შ. ქ-ე როდესაც შებრუნდა საცხოვრებელ სახლში (ოთახში) ხელში ეკავა დიდი ზომის ბებუთის ტიპის დანა, რომელსაც ჰქონდა დაახლოებით 15 სმ სიგრძის ბრტყელი პირი და მოშავო ფერის ტარი. აღნიშნული დანის გამოყენებით დაემუქრა მას სიცოცხლის მოსპობით, ეუბნებოდა, რომ ამ დანით გამოფატრავდა, ყელს გამოსჭრიდა და არ აცოცხლებდა, სად მიგაქვს პენსიის ფული და ბინის ქირის ფულები, რატომ მე არ მაძლევო, აღნიშნულ დროს იგი იყო ძალზედ აგრესიული, იქცეოდა არაადეკვატურად და კვლავ აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მას მისი ქმედების ძალიან შეეშინდა) და 2022 წლის 13 ნოემბრის გამოკითხვის ოქმს (დაზარალებულმა დააზუსტა, რომ 11 ნოემბერს, შ-ს მიერ მის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, თავდაპირველად გამონეული იყო იმით, თითქოს ის მას უკეთებდა ჯადოს, თავდაპირველად სწორედ ამის გამო დაემუქრა, რომ დანით გამოფატრავდა და გამოჭრიდა ყელს, რისიც მას ძალიან შეეშინდა. თუმცა შემდეგ მან ასევე დაუწყო საუბარი მისი კუთვნილი პენსიის ფულზე, რომელსაც იღებს რ-ს ფედერაციაში მდებარე მისი კუთვნილი სახლის გაქირავებით, კერძოდ, ეუბნებოდა, რატომ არ აძლევდა მას მთელ პენსიას და ბინის ქირის ფულს რასაც იღებდა, რაზეც აუხსნა, რომ ბინის ქირის ფულის ნაწილს აძლევდა მის შვილს, რომელიც ჰყავს პირველი ქორწინებიდან და ცხოვრობს მ-ში, ხოლო ფულის უმეტეს ნაწილს აძლევდა მას, პენსიის ფულს კი იყენებდა სახლში საჭიროებისა-

მებრ, რის გამოც შ. ქ-ე გახდა აგრესიული და დაემუქრა, რომ თუ პენსიის და ბინის ქირის თანხას შემდგომში მთლიანად მას არ მისცემდა აუცილებლად მოკლავდა და არ აცოცხლებდა, რისიც ძალიან შეეშინდა, ვინაიდან შ. ქ-ე არის ძალიან აგრესიული და არაადეკვატური).

14. სასამართლო ითვალისწინებს, რომ შ. ქ-მ აღიარა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედებების, მათ შორის საქართველოს სსკ-ის 11¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (2022 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ქ. ა-ში, ჭ-ს ქუჩა №...ში მდებარე ი. ყ-ს საცხოვრებელ სახლში, შ. ქ-მ თავისი დედის – ი. ყ-ს მიმართ განახორციელა ფსიქიკური იძულება, კერძოდ, განუცხადა მას, რომ შემდგომში, როდესაც იგი აიღებდა პენსიას და ბინის ქირას მთლიანი თანხა მისთვის უნდა მიეცა ხოლმე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ მოკლავდა და არ აცოცხლებდა მას. აღნიშნული მუქარა ი. ყ-მა აღიქვა რეალურად და საკუთარ თავზე განიცადა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება და უკანონოდ შეეზღუდა ქმედების თავისუფლება) ფაქტობრივი გარემოებები.

15. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ ი. ყ-ს გამოკითხვის ოქმებს, რომლებითაც ცალსახად დგინდება, რომ შ. ქ-ე მისგან მოითხოვდა პენსიისა და ბინის ქირის თანხის სრულად მისთვის მიცემას, ამასთან, ემუქრებოდა, რომ თუ მის მოთხოვნას არ შეასრულებდა და მომავალში სრულ თანხას არ მისცემდა, აუცილებლად მოკლავდა. შესაბამისად, შ. ქ-ს მიერ ჩადენილია – ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა (მოცემულ შემთხვევაში პენსიის განკარგვის თავისუფლებაში ჩარევა), ესე იგი ი. ყ-ს ფსიქიკური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹,150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

16. ამასთან, სასამართლო ბრალდების მხარის მოთხოვნაზე მსჯავრდებულ შ. ქ-სათვის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹,187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრების შესახებ ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაუ-

ლის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

17. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები-სათვის სასჯელის განსაზღვრისას საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა, გაითვალისწინა მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია) და შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია.

18. საქართველოს სსკ-ის 11¹,187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელთან მიმართებით სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კი მითითებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. საქართველოს სსკ-ის 11¹,187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული შ. ქ-მ ჩაიდინა ოჯახის წევრის – დე-

დის – მიმართ.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. შესაბამისად, შ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

21. ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის მე-11¹-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, მე-11¹-ე მუხლზე მითითებით წარმოადგენს ასევე ოჯახურ დანაშაულს.

21.1. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან ამავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის; ხოლო საქართველოს სსკ-ის 47-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად – შინაპატიმრობა არ დაენიშნება ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს; საქართველოს სსკ-ის 45-ე მუხლის თანახმად კი, – გამასწორებელი სამუშაო მოხდელი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. მოცემულ შემთხვევაში შ. ქ-ე, როგორც საქმის მასალებითა და მსჯავრდებულის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გაკეთებული განმარტებით დგინდება, არის დროებით უმუშევარი. შესაბამისად, არ არსებობს შ. ქ-ს მიმართ სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოს გამო-

ყენების კანონისმიერი საფუძველი.

21.2. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შ. ქ-ს მიმართ სასჯელის სახედ გამოყენებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

21.3. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას შ. ქ-ე იყო ნასამართლობის მქონე (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განაჩენით), შესაბამისად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის (დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას) და საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის (დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას) გათვალისწინებით. ამასთან, შ. ქ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის – დედის მიმართ, რაც საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, საქართველოს სსკ-ის მე-17, 39-ე, 53-ე, 53¹-ე და 58-ე მუხლების გათვალისწინებით, სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს – 1 წელი.

23. სასამართლო ითვალისწინებს, რომ შ. ქ-მ უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითიც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ხოლო საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას – აღიარა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა.

23.1. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის ან 63-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს კუმულაციურად შემდეგი გარემოებების არსებობა (მაგალითისთვის: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №305აპ-21): ბრალდებულის მიერ (მსჯავ-

რდებულ) დანაშაულის აღიარება (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე); დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეების დასახელება და თანამშრომლობა გამოძიებასთან. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან არ დგინდება, რომ შ. ქ-ე თანამშრომლობდა გამოძიებასთან; იგი იყენებდა დუმილის უფლებას, როგორც გამოძიების ეტაპზე გამოკითხვისას, ასევე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე; შ. ქ-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე, მხოლოდ საბოლოო სიტყვის ეტაპზე მიუთითა, რომ აღიარებდა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენას, რაც ვერ შეფასდება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წინაპირობად. შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა ან გამოიყენოს საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი მსჯავრი.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით გველეხიანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; შ. ქ-ე დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებისათვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კი საქართველოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქმოს სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, შ. ქ-ს უნდა დაენიშნოს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

25. ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზედმეტად არის მითითებული, რომ შ. ქ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე ზედმეტად არის მითითებული, რომ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2022 წლის ივნისის ეპიზოდი) მსჯავრდებისათვის სასჯელის სახედ განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან შ. ქ-ს მითითებული

კვალიფიკაციებით ბრალი არ ჰქონდა წარდგენილი; აღნიშნულზე არ არის მითითებული ასევე თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განაჩენში, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით გველესიანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. შ. ქ-ე საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ფსიქიკური ტანჯვის ეპიზოდში) ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნოს – 400 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

5. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნოს – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

6. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნოს – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

7. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნოს – 400 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

8. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273¹-

ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნოს – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

9. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

10. შ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახით დაენიშნოს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

11. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 11¹, 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა მკაცრმა სასჯელმა შთანთქმოს სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, შ. ქ-ს დაენიშნოს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

12. შ. ქ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 15 ნოემბრიდან;

13. შ. ქ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვას – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

14. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

15. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განდარის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის
ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ
ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება
(სსკ-ის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და
სიცოცხლის მოსპობის მუქარა (სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლი)**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 1205აპ-23

6 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),

მ. გაბინაშვილი,

შ. თაღუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ქ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის, შ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ნ. ქ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა, რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2021 წლიდან – 2022 წლის 3 ივლისის ჩათვლით, ნ. ქ-ე, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, იმის გამო, რომ იყო ქალი და მიიჩნევდა უუფლებოდ, სისტემატურად ამცირებდა და სიტყვიერ შე-

ურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს – მ. კ-ს. აღნიშნულმა ქმედებებმა მ. კ-ს ტანჯვა გამოიწვია. 2022 წლის 3 ივლისს, სალამოს საათებში, ქ. თ-ში ყოფნისას ნ. ქ-ემ, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, იმის გამო, რომ იყო ქალი და მიიჩნევდა უუფლებოდ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – მ. კ-ს, კერძოდ: მისაღებ ოთახში ყოფნისას ყელში ძლიერად მოუჭირა ხელები და შეეცადა მის დახრჩობას. მ. კ-მ შეძლო თავის გათავისუფლება და შევიდა საძინებელში, რა დროსაც, ნ. ქ-ემ ხელზე ძლიერად მოუჭირა და სახის არეში ორჯერ დაარტყა ხელი. აღნიშნულმა ქმედებებმა მ. კ-ს ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

2022 წლის 3 ივლისს, სალამოს საათებში, ქ. თ-ში ყოფნისას ნ. ქ-ე, გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, იმის გამო, რომ იყო ქალი და მიიჩნევდა უუფლებოდ, სიცოცხლის მოსპობით დამუქრა მეუღლეს – მ. კ-ს, კერძოდ: უთხრა, რომ ყელს გამოჭრიდა და მოკლავდა. მ. კ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ 2021 წლიდან – 2022 წლის 3 ივლისის ჩათვლით, ნ. ქ-ე, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, სისტემატურად ამცირებდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს – მ. კ-ს. აღნიშნულმა ქმედებებმა მ. კ-ს ტანჯვა გამოიწვია.

2022 წლის 3 ივლისს, სალამოს საათებში, ქ. თ..., ...ში ყოფნისას ნ. ქ-მ, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – მ. კ-ს, კერძოდ: მისაღებ ოთახში ყოფნისას ყელში ძლიერად მოუჭირა ხელები და შეეცადა მის დახრჩობას. მ. კ-მ შეძლო თავის გათავისუფლება და შევიდა საძინებელში, რა დროსაც, ნ. ქ-ემ ხელზე ძლიერად მოუჭირა და სახის არეში ორჯერ დაარტყა ხელი. აღნიშნულმა ქმედებებმა მ. კ-ს ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

2022 წლის 3 ივლისს, სალამოს საათებში, ქ. თ-.....,ში ყოფნისას ნ. ქ-ე, სიცოცხლის მოსპობით დამუქრა მეუღლეს – მ. კ-ს, კერძოდ: უთხრა, რომ ყელს გამოჭრიდა და მოკლავდა. მ. კ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენით ნ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზ-

ღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლის და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1 წლის და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. ქ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლის და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. ქ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – შ. მ-მ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენით, მსჯავრდებულ ნ. ქ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შ. მ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება;

ნ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. ქ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

3.2. 2023 წლის 12 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ.

ქ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – შ. მ-მ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, რადგან არასწორად იქნა დადგენილი ის გარემოებები, რომ თითქოს ნ. ქ-ე წლების განმავლობაში ძალადობდა მეუღლეზე, რამაც მისი ტანჯვა გამოიწვია. სასამართლომ არასწორად შეაფასა 2023 წლის 3 ივლისის მოვლენები და დაადგინა, რომ ნ. ქ-ემ ფიზიკურად იძალადა მ. კ-ზე და დაემუქრა მას სიცოცხლის მოსპობით. დაცვის მხარის შეფასებით, ნ. ქ-ს მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმე წარმოდგენს კლასიკურ შემთხვევას, როდესაც სახეზეა დანაშაულის დაბრალება გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დანაშაულის ინსცენირებას, რომლის რეალური მსხვერპლი თავად მსჯავრდებულია. დაზარალებულს ამოძრავებდა მატერიალური სარგებლის მიღების მიზანი, რაც დასტურდება მოწმეების და მსჯავრდებულის ჩვენებით და თავად მ. კ-ს მოქმედებებით. კერძოდ, მან სახლიდან წაიღო ავეჯი და წაიყვანა ავტომანქანა, რომელიც მის საკუთრებას არ წარმოადგენდა. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ საქმეზე გამოძიება წარიმართა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევით. ბრალდების მხარეს არ ჩაუტარებია შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რომლითაც დადგინდებოდა დაზიანება და ჩამოაგდო თუ არა საძინებელი ოთახის კარი მსჯავრდებულმა, როგორც ეს მ. კ-მ განაცხადა. 2022 წლის 3 ივლისს კი ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეკამათებას, რა დროსაც მ. კ-ი დაემუქრა მეუღლეს 112-ში დარეკვით და მისი დაჭერით. საქმეში წარმოდგენილი დაზარალებულის და მოწმე – ი. ქ-ს გამოკითხვის ოქმები შედგენილია კანონის არსებითი დარღვევით, ასევე არ არის გამორიცხული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ოქმის თანდართული ლაზერული დისკის ან მასზე არსებული ინფორმაციის შეცვლის ეჭვი. ვინაიდან, დისკზე არ არის ასახული მისი მოცულობა და მასზე ჩანერილი ფაილების შესახებ ინფორმაცია. ასევე სასამართლოს არ ჰქონდა უფლება გამოეყენებინა ვიზუალური დათვალიერების ოქმი მტკიცებულებად, რადგან აღნიშნული ბრალდების მხარეს არ ჰქონდა შეტანილი მტკიცებულებათა ნუსხაში. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებები (მ. კ-ი, ი. ქ-ე და ლ. ყ-ე) რადგან ისინი ურთიერთსაწინააღმდეგოა. არასანდოა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც, ვინაიდან დაკითხულმა ესპერტმა განმარტა, რომ

დაზარალებულს შეხვდა ერთხელ, მაშინ როცა ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენისათვის საჭიროა სულ მცირე სამი შეხვედრა. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ნ. ქ-ს ნასამართლევ პირად მიჩნევა და ამ საფუძველით მისთვის სასჯელის დამძიმება წარმოადგენს კანონის არასწორ ინეტრპრეტაციას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 30 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი ნ. ქ-მ მოიხადა 2018 წლის 21 ივნისს. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის დროს იგი იყო ნასამართლობის არ მქონე პირი.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ნ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში მსჯავრდების შესახებ და არ ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ნ. ქ-ს მიერ, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის, სისტემატური შეურაცხყოფის და დამცირების ჩადენა.

5.3. დაზარალებულ მ. კ-ს ჩვენებით დადასტურებულია, რომ ნ. ქ-ე 2021 წლიდან 2022 წლის 03 ივლისის ჩათვლით, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, სისტემატურად ამცირებდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას, რაც მის ტანჯვას იწვევდა. დაზარალებულის ჩვენებით ასევე დგინდება, რომ 2022 წლის 03 ივლისს, ნ. ქ-ემ, არასრულწლოვანი შვილის ი. ქ-ს თანდასწრებით, ყელში ძლიერად მოუჭირა ხელები და შეეცადა მის დახრჩობას. მან შეძლო თავის გათავისუფლება და შევიდა საძინებელში, რა დროსაც ნ. ქ-ემ ხელზე ძლიერად მოუჭირა და სახის არეში ორჯერ დაარტყა ხელი, რა დროსაც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.

5.4. დაზარალებულის ჩვენება გამყარებულია არასრულწლოვანი მოწმის ი. ქ-ს ჩვენებით, რომლის მიხედვით, მის მშობლებს შორის ხშირი იყო კონფლიქტი. მამა სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ეჩხუბებოდა დედას, რასაც ეს უკანასკნელი ძალიან განიცდიდა. 2022 წლის 3 ივლისს, შეკამათებისას, ნ. ქ-ემ ყელში ხელი მოუჭირა მ. კ-ს. აგინებდა, უყვიროდა და ემოქრებოდა მას. საძინებელ ოთახში შესვლისას კი დაინახა, რომ დაზარალებულს სახე

განითვლებული ჰქონდა.

5.5. შეტყობინების ოქმით დგინდება, რომ 2022 წლის 3 ივლისს, 20:15 საათზე, მ. კ-ი დაუკავშირდა 112-ს და განაცხადა, რომ იმავე დღეს, 8:13:23 (PM) საათზე, თ- ში, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მეუღლე ფიზიკურად შეეხო მას.

5.6. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმით ირკვევა, 2022 წლის 24 ივლისს, გამომძიებელმა ლ. ყ-მ დათვალიერა საქართველოს შს სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-დან გამოთხოვილი, 2022 წლის 3 ივლისის შეტყობინების აუდიო ჩანაწერი, განთავსებული ერთ ცალ დისკზე. მასში ჩანერილია ერთი აუდიო ფაილი, რომელიც შეიცავს შემდეგ შინაარსს: ქალბატონი ესაუბრება ოპერატორს. აცხადებს, რომ საპატრულო პოლიციის გამოძახება სურს. კარნახობს მისამართს, ისმის ხმაური, მტვრევის ხმა, მამაკაცის გინება თქვენი „დედა მო...ნ“. ასევე სიტყვები „ვაიმე დამეხმარეთ“. ამის შემდეგ, ოპერატორი აზუსტებს მისამართს, ზარის ინიციატორის სახელს და გვარს. ქალბატონი აცხადებს, რომ მეუღლე არის არაფხიზელ მდგომარეობაში, ძალადობს და ურტყამს, ითხოვს შველას. ამ დროს ისმის ქალბატონის კივილის ხმა და საუბარი ნყდება.

5.7. 2022 წლის 3 ივლისის №... შემაკავებელი ორდერიითა და მასზე თანდართული ოქმით დასტურდება, რომ იმავე დღეს, მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, ნ. ქ-ეს ერთი თვის ვადით აეკრძალა, იმ სახლთან მიახლოება სადაც მ. კ-ი ცხოვრობს, ასევე მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც ის იმყოფება, მსხვერპლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის ტელეფონის, სოციალური ქსელის და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მსხვერპლის გადმოცემით, მეუღლემ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, 2008 წელს დაბადებულ ი. ქ-ს თანდასწრებით. მ. კ-ს განმარტებით, მეუღლე ემოქრებოდა მოკვლით და ყელის გამოჭრით. მან მუქარა აღიქვა რეალურად.

5.8. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 4 ოქტომბრის №... სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი. ქ-მ, მამის – ნ. ქ-ს მხრიდან განხორციელებული ქმედებებით განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა.

5.9. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 4 ოქტომბრის №... სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მ. კ-მა, მეუღლის – ნ. ქ-ს მხრიდან განხორციელებული ქმედებებით განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა.

5.10. ექსპერტმა მ. ბ-მ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა მის მიერ გაცემული სასამართლო-

ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

5.11. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია რომ ზემოხსენებული მტკიცებულებები ქმნის საფუძველს დასკვნისათვის, რომ 2021 წლიდან – 2022 წლის 3 ივლისის ჩათვლით, ნ. ქ-ე, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, სისტემატურად ამცირებდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს – მ. კ-ს, რამაც გამოიწვია მ. კ-ს ტანჯვა. ასევე, 2022 წლის 3 ივლისს, ნ. ქ-ემ, არასრულწლოვანი შვილის – ი. ქ-ს თანდასწრებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – მ. კ-ს, რამაც მ. კ-ს ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

5.12. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება ნ. ქ-ს მიერ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ. დაზარალებულ მ. კ-ს ჩვენებით დადასტურებულია როგორც ნ. ქ-ს მხრიდან სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტი, ასევე ის გარემოება, რომ მას გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. აღნიშნული ჩვენება კი გამყარებულია ბრალდების მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ: 2022 წლის 3 ივლისის შემაკავებელი ორდერით დასტურდება, რომ მ. კ-მა, დამოუკიდებლად, თავისუფალი ნების პირობებში, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია, ნ. ქ-ს მიერ, მის მიმართ განხორციელებული ქმედებების თაობაზე. მსხვერპლის გადმოცემით, მეუღლე ემუქრებოდა მოკვლით, ყელის გამოჭრით და შესაძლებელი იყო მუქარა რეალურად განხორციელებინა. რაც ასევე უტყუარად დასტურდება შეტყობინების აუდიო ჩანაწერის დათვალიერების ოქმით. კერძოდ, ოპერატორთან საუბრისას დაზარალებული არის აღელვებული, ხმამაღლა კივის, ითხოვს დახმარებას და საუბრობს მეუღლის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა ფაქტზე, ხოლო ზარის ინიციატორის ოპერატორთან საუბრისას ისმის მამაკაცის გინების და ნივთების მტვრევის ხმა.

5.13. საკასაციო პალატა არ იზიარებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რომ დაზარალებულ მ. კ-ს და მონმე ი. ქ-ს ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა და მოგონილია დაზარალებულის ქონებრივი დაინტერესებიდან გამომდინარე. დაზარალებულის და მონმეთა ჩვენებებში არ იკვეთება არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც მათი ჩვენებების სანდოობასა და უტყუარობაზე მოახდენდა გავლენას. ამასთან, საქმის არსებითი განხილვისას არ

გამოვლენილა გარემოება, რაც მიანიშნებდა დაზარალებულის მატერიალურ დაინტერესებაზე. ზემოხსენებული ჩვენებები არის თანმიმდევრული, დამაჯერებელი და თანხვედნილი როგორც ერთმანეთთან, ასევე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან.

5.14. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მოთხოვნას ბრალდების მხარის მტკიცებულებების: ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ოქმზე თანდართული ლაზერული დისკის და გამოკითხვის ოქმების გაზიარებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან ხსენებულ მტკიცებულებებს გადალახული აქვს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებობის ეტაპი, რა დროსაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ისინი არ ყოფილა მოპოვებული კანონის არსებითი დარღვევით. ამასთან, საქმის არსებითი განხილვისას, არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც გავლენას მოახდენდა ხსენებული მტკიცებულებების კანონიერებასა და მათ საპროცესო დამაგრებაზე.

5.15. რაც შეეხება ვიზუალური დათვალიერების ოქმს, საკასაციო სასამართლო იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის გამოიყენეს „მტკიცებულება“, რომელიც არ იყო მითითებული მტკიცებულებათა ნუსხაში. აღსანიშნავია, რომ ნ. ქ-ს მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმეში განთავსებული ოქმი, ვიზუალური დათვალიერების შესახებ, ბრალდების მხარეს არ აქვს შეტანილი მტკიცებულებათა ნუსხაში. ამასთან, წინასასამართლო სხდომის ოქმის გაცნობით დგინდება, რომ პროკურორი არ შუამდგომლობს ზემოხსენებული ოქმის მტკიცებულებად დაშვებას და მოსამართლის შეკითხვაზე განმარტავს, რომ ის არ წარმოადგენს მტკიცებულებას. ამდენად, ვიზუალური დათვალიერების ოქმის მტკიცებულებად დაშვებაზე არ უმსჯელია წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს და შესაბამისად არც ყოფილა დაშვებული საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსჯავრდებულის ბრალის დამადასტურებლად ან უარსაყოფად ისეთი დოკუმენტის გამოყენება, რომელიც არ წარმოადგენს მტკიცებულებას – არის საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევა. თუმცა საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ვიზუალური დათვალიერების ოქმი არ იყო ის ერთადერთი და წონადი „მტკიცებულება“ რასაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო, შესაბამისად, მის გამოყენებას არსებითად არ უმოქმედია საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სხვა მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საკმარისია დასკვნისათვის, რომ ნ. ქ-ემ ჩაიდინა

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ და სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ.

5.16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოებები, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 58-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ნ. ქ-ეს კანონიერი და სამართლიანი სასჯელი განუსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, ნ. ქ-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელები საქართველოს სსკ-ის კოდექსის შესაბამისი მუხლების სანქციათა ფარგლებშია და სრულად შეესაბამება ჩადენილი დანაშაულების ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას.

5.17. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოთხოვნას ნ. ქ-ს ნასამართლობის არმქონე პირად მიჩნევის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის განაჩენით, ნ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 5 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 3 წელი საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, შეეცვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 იანვრის განჩინებით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნ. ქ-ეს პროპორციულად შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი და 9 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი და 3 თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულები-

სა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 4 ივლისის წერილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის განაჩენის საფუძველზე მიმდინარე სააღსრულებო საქმისწარმოება დასრულდა 2018 წლის 21 ივნისს.

5.18. საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) მძიმე დანაშაული; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას.

5.19. ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად, რისთვისაც ნ. ქ-ს მსჯავრი დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის განაჩენით წარმოადგენს მძიმე კატეგორიის განზრახ დანაშაულს.

5.20. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მსჯავრდებული ნასამართლეად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად კი ნასამართლობა გაქარწყლდება: ა) პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ; ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულია – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

5.21. საკასაციო სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვს პირობითად, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს პირთან რომელსაც დანიშნული სასჯელი მთლიანად ჩაეთვალა

პირობით და გაცილებით ადრე გაუქარწყლდეს ნასამართლობა, ვიდრე თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით (მაგალითად: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა) მსჯავრდებულს, რაც, ერთი მხრივ, უსამართლოა, ხოლო, მეორე მხრივ, ეწინააღმდეგება კანონმდებლის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, ნასამართლობის გაქარწყლებისათვის მკაფიოდ დადგენილი ვადების გამოთვლის წესს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1331-21).

5.22. მოცემულ შემთხვევაში, ნ. ქ-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის განაჩენით მსჯავრი დაედო განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სააღსრულებო საქმის წარმოება მის მიმართ დასრულდა 2018 წლის 21 ივნისს. შესაბამისად, სასჯელის მოხდის შემდგომ არ იყო გასული კანონით დადგენილი ნასამართლობის გაქარწყლების ექვსწლიანი ვადა და ქმედების ჩადენისას იგი იყო ნასამართლობის მქონე.

5.23. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაცვის მხარის, ადვოკატ შ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ. ქ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელი;

3. ნ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად

განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. ქ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

4. ნ. ქ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2022 წლის 4 ივლისიდან.

5. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება – ერთი კომპიუტერული დისკი, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

6. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მუქარა ჩადენილი არაერთგზის

განაჩენი საქართველოს სახელით

№962აპ-23

5 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

შ. თადუმაძე (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურორატურის
საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ლევან ვეფხვაძის სა-
კასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 იანვრის გამამართლებელი განაჩენი. ი. პ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ) 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

1.2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით, ი. პ-მა ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი არაერთგზის. ი. პ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება გამოიხატა შემდეგით: საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით ნასამართლევო ი. პ-ი, 2020 წლის 17 აგვისტოს, დაახლოებით 22:00 საათზე, თ-ი, ზ-ის დასახლებაში, მ-ის მიმდებარედ, „OZKURSAN F92 MAGNUM“ მოდელის, 9 მმ ნომინალურ კალიბრიანი ხმოვანი პისტოლეტის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობით და ჯანმრთელობის დაზიანებით დამუქრა მ. ჯ-ეს და ნ. მ-ეს, რომლებმაც აღნიშნული პისტოლეტი აღიქვეს რეალურად, გაიქცნენ იმავე მისამართზე მდებარე სუპერმარკეტ „ლ-ში“ და ითხოვეს დახმარება. ი. პ-ი დაედევნა მათ, შეჰყვა სუპერმარკეტში და მოუწოდა გარეთ გასვლისკენ. ნ. მ-ემ და მ. ჯ-ემ ი. პ-ის მხრიდან მომდინარე მუქარა აღიქვეს რეალურად

და გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. საკასაციო საჩივრები:

2.1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა – ლევან ვეფხვაძემ – საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ი, პ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

3. კასატორის არგუმენტები:

3.1. კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის აშკარად უკანონო, გამოკვეთილი მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები – არასწორად გაანალიზებული და შესაბამისად, არასწორად სამართლებრივად შეფასებული. საქმეში მოიპოვება ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად მტკიცდება ი. პ-ის მიერ ბრალად შერაცხილი დანაშაულის ჩადენა.

4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

4.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.2. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ი. პ-ს მუქარა არ ჩაუდენია; დაზარალებულების შიში წინ უსწრებდა მის მიერ განხორციელებულ პირველივე ქმედებას, კერძოდ, დაზარალებულები შეაშინა იარაღიანი მამაკაცის დანახვამ და არა ი. პ-ის მხრიდან მათკენ მიმართულმა რაიმე საფრთხის შემცველმა ქმედებამ.

4.3. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან – მუქარისგან – სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება, რაც, შესაძლოა, დაირღვეს მაშინ, როდესაც პირი კონკრეტულ ადამიანს ემუქრება სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ანდა ქონების განადგურებით და მუქარა ისეთი ფორმით არის გამოხატული, რომ მუქარის ადრესატს უჩნდება მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში. ობიექტური მხრივ, აუცილებელია გამოკვეთილი იყოს მოქმედება (მუქარა), მისგან გამოწვეული შედეგი (საფუძვლიანი შიში) და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. შიშის ფაქტორის შეფასები-

სას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სუბიექტური, ისე – ობიექტური კრიტერიუმები და უნდა დადგინდეს, ჩათვლიდა თუ არა ნორმალური ფსიქიკის ადამიანი ასეთ მუქარას იმ კონკრეტულ ვითარებაში რეალურად. ამ დროს გასათვალისწინებელია მუქარის გამოხატვის ხერხი.

4.4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მუქარა შეიძლება განხორციელდეს როგორც ვერბალური (მაგ.: პირისპირ, სატელეფონო თუ სოციალურ ქსელში საუბრისას, აგრეთვე – სხვა პირის მეშვეობით), ისე არავერბალური (მაგ., იარაღის დემონსტრირებით) ფორმით. დამნაშავეს შეიძლება რეალურად არც სურდეს დაზარალებულის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა, თუმცა მიზნად პირის დაშინებას ისახავდეს. ამდენად, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი არა ხსენებული სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფა, არამედ მსხვერპლში მისი განხორციელების საფუძვლიანი შიშის გამონევაა.

4.5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება (დაზარალებულთა, თვითმხილველი მოწმისა და შემთხვევის ადგილზე მყისიერად მისული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები, ვიდეოჩანანერები, ექსპერტიზის დასკვნა), რომელთა ერთობლიობით დასტურდება ი. პ-ის მიერ მუქარის ჩადენა.

4.6. მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ი. პ-ი იარაღის დემონსტრირებით დაედევნა დაზარალებულებს და მიმართავდა მუქარის შემცველი მოწოდებებითა და მითითებებით; ამ ფაქტით შეშინებულმა დაზარალებულებმა თავი შეაფარეს მალაზიას და სექციებში დაიმალნენ. ი. პ-ი გაჰყვა მათ, მალაზიის სალაროსთან გაჩერდა და აგრძელებდა მუქარის შემცველ მოწოდებებს. დაზარალებულებს გაუჩნდათ ჯანმრთელობის დაზიანების და სიცოცხლის მოსპობის შიში და დარეკეს 112-ში.

4.7. ვიდეოჩანანერის დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ შემთხვევის დღეს ი. პ-ი ნამდვილად იარაღისმაგვარი საგნით გაეკიდა დაზარალებულებს, აღელვებული და შეშინებული დაზარალებულების ნახვა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. ჩხრეკის შედეგად ი. პ-ს აღმოაჩნდა იარაღისმაგვარი საგანი, რომელიც ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ხმოვანი პისტოლეტი აღმოჩნდა.

4.8. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრალად შერაცხილი ქმედებით აშკარად გამოკვეთილია მუქარის, როგორც ობიექტური, ისე – სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები. კერძოდ, ი. პ-ი დაზარალებუ-

ლებს გაეკიდა იარაღის დემონსტრირებით, რა დროსაც ვერბალურად ემუქრებოდა. ი. პ-ს მუქარა არც მას შემდეგ შეუწყვიტავს, რაც შეშინებული დაზარალებულები დასამალად მალაზიაში შევარდნენ. მართალია, გაქცეული პირების ძებნა მალაზიის შიგნით არ დაუწყია, მაგრამ ხმამაღალი შეძახილებით ცდილობდა დაზარალებულები დაერწმუნებინა, რომ ნამდვილი იარაღი ჰქონდა. აღნიშნულმა ქმედებამ, რომელიც ობიექტურ პირს იმ კონკრეტულ ვითარებაში მუქარის რეალურობაში დაარწმუნებდა, დაზარალებულებს გაუჩინა სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის დაზიანების საფუძვლიანი შიში.

4.9. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მსჯელობას, რომ ი. პ-ს დაზარალებულების მიმართ მუქარისშემცველი ფრაზა არ წარმოუთქვამს, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ დაზარალებულები შეაშინა არა მხოლოდ იარაღიანი მამაკაცის დანახვამ, არამედ ამ უკანასკნელის მიერ მათკენ მიმართულმა მუქარისშემცველმა სიტყვებმა და ქცევამ.

4.10. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მალაზიაში შესული ი. პ-ის მიერ სექციებში დამალული გოგონებისთვის თავის დანებება (მათი ძებნა არ დაუწყია) მის ქმედებაში მუქარის ნიშნებს გამოორიცხავს. იმ შემთხვევაში, თუ ი. პ-ი მუქარას აღასრულებდა, მისი ქმედება არა მუქარით, არამედ საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირდებოდა, შედეგის გათვალისწინებით (დამთავრებული/დაუმთავრებელი სახით). ის ფაქტი, რომ ბოლომდე არ გაეკიდა შეშინებულ გოგონებს, მიუთითებს, რომ მას დაზარალებულთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების რეალურად ხელყოფა არ ჰქონდა მიზნად. მიზანი, რომელიც ქმედების ჩადენის მომენტში ი. პ-ს გააჩნდა, დაზარალებულთა დაშინება იყო, რასაც მიაღწია კიდეც.

4.11. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამგვარი ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებების პირობებში, თვალსაჩინოა ი. პ-ის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, რასაც უნდა მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია, რადგან სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში, ერთი მხრივ, ქმედების სამართლებრივი შეფასება და შედეგად ბრალდებულის ქმედების სწორი კვალიფიკაცია სასამართლოს პირდაპირი ვალდებულებაა, ხოლო, მეორე მხრივ, თითოეულ მოქალაქეს აქვს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ მისი უფლებები მაქსიმალურად იქნება დაცული, უფლების ხელყოფის ყველა შემთხვევა კი – სათანადოდ პასუხგაცემული.

4.12. აქვე, აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე ი. პ-ს დანა-

შაულებრივი ქმედების არაერთგზის ჩადენას ედავება, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 იანვრის განაჩენით, რომლითაც ი. პ.-ი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით და ნასამართლობა დანაშაულის ჩადენისას გაქარწყლებული არ ჰქონია.

4.13. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ი. პ.-ის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები არ დადგენილა.

4.14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის გამამართლებელი განაჩენი და ი. პ.-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

სასჯელის დასაბუთება:

4.15. სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს ი. პ.-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, მის მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას (ჩადენილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული გავრცელებული დანაშაული), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (ი. პ.-ი საჯარო სივრცეში ვერბალურად, იარაღის დემონსტრირებით დაემუქრა დაზარალებულებს), ქმედებაში გამოვლენილ მართლწინააღმდეგო ნებას (მის მტკიცე სურვილსა და მისწრაფებას ჩადენა დანაშაული, რაც გამოიხატა დაზარალებულების დადევნებაში), დამდგარ შედეგს (დაზარალებულებმა ი. პ.-ის მხრიდან განხორციელებული მუქარა აღიქვეს რეალურად და განიცადეს სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის დაზიანების საფუძვლიანი შიში), ქმედების ჩადენის მიზანს (მუქარის მიზანი დაზარალებულებში შიშის გამონევა იყო), დამნაშავის წარსულ ცხოვრებას (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 იანვრის განაჩენით ი. პ.-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სხვადასხვა სახისა და კატეგორიის დანაშაულთა ჩადენისთვის), დამნაშავის პიროვნებას (ი. პ.-მა დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრისთვის განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის პერიოდში. აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, რაც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას – დაამტკიცოს გამოსწორება, შედეგად არ აღმოჩნდა. პიროვნების შეფასებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განაჩენით, ი. პ.-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ 2021 წლის

13 დეკემბერს ჩადენილი მუქარისთვის. მუქარა იმავე შინაარსის იყო და ზუსტად იმ ტერიტორიაზე განხორციელდა, რაც განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში დანაშაულის ადგილად არის მითითებული).

4.16. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სასჯელის მიზნების მისაღწევ ქმედით ღონისძიებად მოიაზრებს თავისუფლების აღკვეთას მაქსიმალურ ზღვართან მიახლოებული ვადით, რაც, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, ი. პ-ის რესოციალიზაციის რეალური და ეფექტიანი საფუძველი იქნება.

4.17. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულებმა – ნ. მ-ემ და მ. ჯ-ემ – ი. პ-ის მიმართ ამნისტიის გამოყენებაზე თანხმობა განაცხადეს. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაზარალებულების თანხმობა პირდაპირი საფუძველია ი. პ-ისთვის დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირების.

4.18. საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 იანვრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე, რადგან აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი გაუქმებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განაჩენით.

4.19. საბოლოო სასჯელის დანიშვნისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განაჩენს, რითაც ი. პ-ს სასჯელად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო ი. პ-ს დამნაშავედ ცნობს 2020 წლის 17 აგვისტოს ჩადენილი დანაშაულისთვის, რის გამოც, სასჯელს განუსაზღვრავს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-3 ნაწილებით, რა დროსაც საბოლოო სასჯელში უნდა ჩაეთვალოს სასჯელი, რომელიც მოხდილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განაჩენით (ამავე განაჩენით, ი. პ-ს სასჯელი აეთვალა 2021 წლის 24 დეკემბრიდან, ხოლო სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პენიტენციური დაწესებულების №... წერილის თანახმად, იგი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2023 წლის 22 დეკემბერს).

4.20. ამდენად, ი. პ-ს სასჯელი, დღეის მდგომარეობით, მოხდილი აქვს. ამ მოცემულობით საკასაციო სასამართლო აღარ მიიჩნევს საჭიროდ დამატებით იმსჯელოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის გამოყენებაზე, რომელიც მოსახდელ სასჯელს მიემართება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ლევან ვეფხვაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის გამამართლებელი განაჩენი გაუქმდეს;

3. ი. პ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 8 თვით;

4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ი. პ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-3 ნაწილების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 2 წლის ვადით, შთანთქმას ამ განაჩენით დანიშნული თანაბარი სასჯელი და ი. პ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

6. მსჯავრდებულ ი. პ-ს სასჯელის ვადაში ჩათვალოს:

- განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებაში ყოფნის პერიოდი – 2020 წლის 17 აგვისტოდან 2020 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის განაჩენით მოხდილი სასჯელი – 2021 წლის 24 დეკემბრიდან 2023 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით;

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ, დღეის მდგომარეობით, ი. პ-ს დანიშნული სასჯელი მოხდილი აქვს;

8. საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის საფუძველზე, ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

- მოხდეს ი. პ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ხმოვანი პის-

- ტოლექტის საპროცესო კონფისკაცია;
- ი. პ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული პირადი ნივთები დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;
 - ერთი დისკი შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;
9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ეკონომიკური დანაშაული

**მსჯავრდებულების უდანაშაულოდ ცნობა
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“
ქვეპუნქტებით და მათი ქმედების დაკვალიშვნიერება
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე
მუხლის 1¹ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№949აპ-23

12 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის დიდუბე-ჩუღუ-რეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ სოფიო ბარაბაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებების თანახმად:

1.1. ი. გ-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებში;

1.2. გ. ტ-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

2.1. 2022 წლის 5 ივლისს, დაახლოებით 02:50 საათზე, ალკოჰოლით მთვრალმა ი. გ-მა და გ. ტ-მა, ე. ბ-ს, რომელთან ერთადაც იღებდნენ ალკოჰოლურ სასმელს, თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოსთხოვეს თანხის გადაცემა, მისგან უარის მიღების შემდეგ, მიმართეს ძალადობას – მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, გ. ტ-

მა ხელი ჩაარტყა თავის არეში, ხოლო ი. გ-მა დაზარალებულის წინააღმდეგობის დასაძლევად, დანაშაულის სისრულეში მოყვანის მიზნით, ხელებით შებოჭა, რის შემდეგაც, გ. ტ-მა ე. ბ-ს შარვლის ჯიბიდან ამოაცალა 150 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი „SAMSUNG DUOS“ და თანხა 180 ლარის ოდენობით და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან;

2.2. 2020 წლის 9 ნოემბერს ა-ს რესპუბლიკის მოქალაქე ი. გ-მა საბაჟო კონტროლის გავლის გარეშე, დ-ს მუნიციპალიტეტში, მდინარე ა-ს გადმოცურვით უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 მარტის განაჩენით:

3.1. ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. გ-ს საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. ი. გ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 5 ივლისიდან;

3.5. გ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.6. გ. ტ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 6 ივლისიდან.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. გ-მა და მოითხოვა მისი უდანაშაულოდ ცნობა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 მარტის განაჩენში:

5.1. ი. გ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-

თველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;

5.2. ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5.3. ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. გ-ს საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.5. ი. გ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 5 ივლისიდან;

5.6. გ. ტ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება;

5.7. გ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.8. გ. ტ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 6 ივლისიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა სოფიო ბარაბაძემ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენის გაუქმება, ი. გ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში; გ. ტ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მათთვის სასჯელის სახედ და ზომად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ორივე მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული სასჯელის შეფარდება, რაც შეესაბამება მათ პიროვნებას, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა სოფიო ბარაბაძემ, რომელიც ითხოვს ი. გ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში; გ. ტ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მათთვის სასჯელის სახედ და ზომად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ორივე მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის განსაზღვრას.

2.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მსჯავრდებულ ი. გ-ის საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების შესახებ და მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: საქართველოს შსს ბაზის დათვალიერების ოქმით, ი. გ-ის აღიარებითი ჩვენებით და საქმეში არსებული სხვა წერილობითი მტკიცებულებებით) დადასტურებულია ი. გ-ის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, რასაც მხარეებიც არ ხდიან სადავოდ.

3. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2022 წლის 4 ივლისის 21:00 საათიდან, 2022 წლის 5 ივლისის 02:00 საათამდე დაზარალებული ე. ბ-ი, გ. ტ-თან, ი. გ-თან, ნ. ა-თან, ზ. თ-თან და ჯ. ბ-თან ერთად ა-ში მდებარე სკვერში მიირთმევდა ალკოჰოლურ სასმელს. როდესაც სასმელი დაუმთავრდათ ზ. თ-ი წავიდა სახლში, სხვები კი სადგურის მოედანთან ახლოს თ-ში მდებარე კაფე-ბარ „ა-ს“ მიმართულებით გაემართნენ; ე. ბ-ი, გ. ტ-ი, ი. გ-ი და ჯ. ბ-ი ჩავიდნენ კაფეში, ხოლო ნ. ა-ი გარეთ დარჩა და ჩამოჯდა; კაფედან გამოსვლისას დაინახეს, რომ ნ...-ი იწვა ტროტუარზე და ეძინა, ე. ბ-ი ნ...-ს მიუჯდა გვერდით, გ. ტ-ი, ი. გ-ი და ჯ. ბ-ი კი წავიდნენ ლუდის მოსატანად და უთხრეს, რომ დალოდებოდნენ. დაახლოებით 15 წუთში დაბრუნდნენ მხოლოდ გ. ტ-ი და ი. გ-ი (მითითებული გარემოებები დასტურდება ე. ბ-ის გამოკითხვის ოქმით; გ. ტ-ისა და ი. გ-ის ჩვენებებით; ასევე – ა-ში მდებარე სკვერიდან, თ-ში მდებარე კაფე-ბარ „ა-დან“ და ა-ს სააფთიაქო ქსელიდან გამოთ-

ხოვილი ვიდეოჩანაწერებით).

3.1. მხარეთა შორის დავის საგანია გ. ტ-მა და ი. გ-მა ე. ბ-ი წაიყვანეს თუ არა მოტყუებით თ.... ქუჩის მიმართულებით (ბინის დაქირავებაში დახმარების მიზნით), ხოლო თ-სი ქ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკოჰოლით მთვრალმა ი. გ-მა და გ. ტ-მა, წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად, ძალადობის გამოყენებით მოსთხოვეს თუ არა თანხის გადაცემა, და დაეუფლნენ თუ არა ე. ბ-ის 150 ლარად ღირებულ მობილურ ტელეფონსა („SAMSUNG DUOS“) და თანხას 180 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ძარცვას, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნივთის აშკარა დაუფლება ხდება მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირთა თანდასწრებით და აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს მისი ქმედების აშკარა ხასიათი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 მარტის განაჩენი საქმეზე №566აპ-18).

5. სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ ე. ბ-ის 2022 წლის 5 ივლისსა და 6 ივლისის გამოკითხვის ოქმებს, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე (ვინაიდან ე. ბ-ი არ იმყოფებოდა საქართველოში) საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლით დადგენილი წესით გამოქვეყნდა.

5.1. დაზარალებულ ე. ბ-ის 2022 წლის 5 ივლისის გამოკითხვის ოქმის თანახმად, დაახლოებით ერთი თვის ჩამოსული იყო სამუშაოდ საქართველოში და მუშაობდა კ-ს რაიონში მიმდინარე მშენებლობაზე, ელექტროშემდუღებლად. 2022 წლის 4 ივლისის 21:00 საათიდან 5 ივლისის 02:00 საათამდე სვამდა გ. ტ-თან, ი. გ-თან, ნ. ა-თან, ზ. თ-თან და ჯ. ბ-თან ერთად. ზ. თ-ი წავიდა სახლში, სხვები კი გაემართნენ სადგურის მოედანთან ახლოს მდებარე კაფეში. კაფეში ლუდი არ ჰქონდათ, კაფეს შესასვლელთან დაეძინა ნ. ა-ს, თავად გვერდით დაუჯდა, სამი ახლად გაცნობილი პირი კი წავიდა ლუდის მოსატანად. 15 წუთში დაბრუნდნენ მხოლოდ ორნი, თუმცა ლუდი არ მოუტანიათ. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ეცვა ლურჯი ფერის კაპიუშონიანი ზედა, უთხრა, რომ მისთვის ლუდის საყიდლად მიეცა ფული. ე. ბ-მა უპასუხა, რომ არ ჰქონდა ფული და არ სურდა მეტის დაღევა. პირმა, რომელსაც ეცვა ლურჯი ფერის კაპიუშონიანი ზედა, აგრესიულად უთხრა, რომ მათ სურდათ დაღევა და მათთვის უნდა მიეცა ფული და გაიწია მისკენ, თუმცა ხე-

ლი არ დაურტყამს. აღნიშნულის შემდეგ იმავე მამაკაცმა უთხრა, რომ მისი ნაცნობი აქირავებდა ბინას და შეჰპირდნენ რომ ორივე მათგანი მიიყვანდნენ აღნიშნულ ბინამდე. ე-ი მათ წაყვა, რომ დაექირავებინა ბინა, ხოლო შემდგომ დაბრუნებულიყო და ნ-იც წაეყვანა. იგი კაფესთან ახლოს მდებარე ქუჩის მიმართულებით წავიდა აღნიშნულ ორ პირთან ერთად იმ მოტივით, რომ ისინი მიიყვანდნენ ბინამდე, რომელიც ქირავდებოდა. დაახლოებით 50 მეტრის გავლის შემდეგ, ისეთ ადგილას, სადაც იყო სიბნელე, მამაკაცი, რომელსაც ეცვა ლურჯი ფერის კაპიუშონიანი ზედა, მიუახლოვდა და აგრესიულად უთხრა, რომ მისთვის მიეცა ფული. ე. ბ-მა განუმარტა, რომ მხოლოდ საჭმლის ფული ჰქონდა და ვერ მისცემდა, რაზეც აღნიშნულმა მამაკაცმა უპასუხა, რომ არ აინტერესებდა თუ რისთვის სჭირდებოდა თანხა, ვინაიდან მათ უფრო სჭირდებოდათ ფული, შეაგინა დედის მისამართით და თავში ძლიერად ჩაარტყა მუშტი, რა დროსაც განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. ამ დროს გვერდით მდგომმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელსაც ეცვა ცისფერი ფერის მოკლემკლავიანი მაისური და თავზე ეკეთა შავი ფერის მზის სათვალე, ასევე შეაგინა დედის მისამართით და ორივე ხელი ძლიერად მოჰკიდა ტანზე, რათა არ ჰქონოდა წინააღმდეგობის განევის საშუალება. ამ დროს მამაკაცმა, რომელსაც ეცვა ლურჯი ფერის კაპიუშონიანი ზედა, შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოუღო მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი, ხოლო მარცხენა ჯიბიდან – თანხა 180 ლარი, რის შემდგომაც მათ დატოვეს ტერიტორია. ე-მა მიაძახა, რომ იქცეოდნენ ძალიან ცუდად, თუმცა მათ ყურადღება არ მიაქციეს და ჩქარი ნაბიჯებით დატოვეს ტერიტორია. გამომდინარე იქიდან, რომ იყო ნასვამი და ძალიან შეშინებული, წაიქცა და ვერ შეძლო წამოდგომა. დაახლოებით 15 წუთის შემდეგ წამოდგა და მივიდა იმ ადგილამდე, სადაც იწვა მისი ნაცნობი ნ-ი. იგი ისევ იწვა ტროტუარზე. მალევე მოვიდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა, რომელმაც წაიყვანა ნ-ი, ხოლო დაახლოებით 10 წუთში მოვიდა მეორე სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც ე-იც გადაიყვანა გ-....

5.1.1. ე. ბ-ის განმარტებით, მეორე პირი, რომელიც ასევე მონაწილეობდა მისთვის ფულისა და ტელეფონის წართმევაში, იყო ს-დან, მისი სახელი იყო ი... (აღნიშნული მისთვის ცნობილი იყო თავად ამ პირისგან) და სკვერში დაღვეისას ესაუბრებოდა ა-დ..

5.2. დაზარალებულ ე. ბ-ის 2022 წლის 6 ივლისის გამოკითხვის ოქმის თანახმად, დაზარალებული სრულად ეთანხმება მისი წინა გამოკითხვის ოქმს და დამატებით განმარტავს, რომ 2022 წლის 6 ივლისის გამომძიებლის მიერ დ.... სამმართველოში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება, პირის ამოცნობა, რომელიც ეთარგმნა თარ-

ჯიმნის მიერ. მის წინ სპეციალურად გამოყოფილ ოთახში წარდგენილ იქნა ამოსაცნობ პირებთან ერთად მათი მსგავსი ორი ანალოგი, რომლებიც ერთმანეთს ჰგავდნენ როგორც ვიზუალურად ასევე ჩაცმულობით. მასთან ჩატარდა სამი ამოცნობის პროცედურა, რომელთაგანაც პირველ შემთხვევაში ამოიცნო ახალგაზრდა კაცი, რომელიც მიმდინარე წლის 4 ივლისს გაეცნო როგორც ი.-, წარმოშობით ს.-დან. აღნიშნული პირი უშუალოდ მონაწილეობდა მის ძარცვაში. მეორე ამოცნობის პროცედურისას კი ამოიცნო პირი, რომელმაც ჯერ თავში ჩაარტყა მუშტი, ხოლო შემდეგ ი...–სთან ერთად ჯიბიდან ამოუღო ტელეფონი და თანხა 180 ლარის ოდენობით. მესამე ამოცნობის პროცედურისას ამოიცნო ასევე მესამე მათთან მყოფი პირი, რომელსაც ძარცვაში მონაწილეობა არ მიუღია, აღნიშნული პირი ნ.-ს სკვერში სვამდა მათთან ერთად, ხოლო შემდგომ ახლდათ თ-.... გამზირზე.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულ განაჩენში წარმოდგენილ მსჯელობას, რომ დაზარალებული ე. ბ.-ის გამოკითხვის ოქმებიდანაც კი ვერ დგინდება, რომ გ. ტ.-ის ქმედებები სრულად აღიქვა და დაინახა ი. გ.-მა. აღნიშნულის საპირისპიროდ, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ გამოკითხვის ორივე ოქმში დაზარალებული ე. ბ.-ი ცალსახად და პირდაპირ უთითებს, რომ ი. გ.-ი მონაწილეობდა ძარცვაში – მისთვის ფულის და ტელეფონის წართმევაში.

6.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებული ერთგვაროვნად და თანმიმდევრულად აღწერს მის მიმართ გ. ტ.-ის და ი. გ.-ის მიერ ჩადენილ ქმედებებს ზემოაღნიშნული გამოკითხვებისას, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას და ამოცნობისას.

7. იმავდროულად, სასამართლო ამონმებს სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობას, საქართველოს სსსკ-ით დადგენილი მტკიცებითი სტანდარტის გათვალისწინებით, გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

8. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი 2022 წლის 5 ივლისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსი სრულად ეფუძნება დაზარალებულ ე. ბ.-ის მიერ გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის დროს მიწოდებულ ინფორმაციას და ვინაიდან საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და, მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულებაა, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი არ უნდა იქნეს განხილული დამოუკიდებელ მტკიცებულებად (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის №158აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს

2023 წლის 2 ოქტომბრის №496აპ-23 განჩინება).

9. იმავდროულად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ს..... დ.. თ..ის 2023 წლის 15 მარტის წერილითა და დართული ფაილით დგინდება, რომ ე. ბ-მა საქართველოს ტერიტორია „თ-ს“ გავლით დატოვა 2022 წლის 8 სექტემბერს.

10. სასამართლო მოწმე ნ. ა-ის ჩვენებასთან მიმართებით, ერთი მხრივ ითვალისწინებს, რომ ნ. ა-ი უშუალოდ ძარცვის ფაქტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ შესწრებია და მომხდარის შესახებ გადმოცემით იცის დაზარალებულისაგან. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ირიბი ჩვენების გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 22/01/2015, II-37, II-52). შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის პირობებში ირიბი ჩვენებების გამოყენება გამატყულებელი განაჩენის დადგენისთვის დაუშვებელია.

10.1. იმავდროულად, აღნიშნული მოწმის (რომლისთვისაც მომხდარი სავარაუდო დანაშაულის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ დაზარალებულისგან) ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს აღწერს იმ თვითმხილველი დაზარალებულისგან განსხვავებულად, ვინც წარმოადგენს მოწმე ნ. ა-ის ინფორმაციის წყაროს (ვისგანაც გახდა ცნობილი მოწმის მტკიცებით, მის მიერ ჩვენებებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები). კერძოდ, ეწინააღმდეგება დაზარალებულ ე. ბ-ის მიერ გამოკითხვის ოქმში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

11. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქ. თ-ს ა-ში მდებარე სკვერში არსებული კამერის ჩანაწერები, თ... გ-ში მდებარე ა-ს სააფთიაქო ქსელიდან გამოთხოვილი კამერის ჩანაწერები და თ... გ-ში მდებარე კაფე-ბარ „ა-დან“ გამოთხოვილი კამერის ჩანაწერები არ ასახავენ სავარაუდო დანაშაულის შემთხვევას, ისინი გარემოებითი მტკიცებულებებია, რომლითაც დასტურდება დაზარალებულ ე. ბ-ის მიერ მითითებულ დროს, ადგილას და მარშრუტით ი. გ-ისა და გ. ტ-ის ერთობლივი გადაადგილება. შესაბამისად, ვიდეოჩანაწერებზე ასახული ინფორმაცია გ. ტ-ისა და ი. გ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწი-

ლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მტკიცებისათვის ირელევანტურია.

12. ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის საფუძველზე, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოქვეყნებული ე. ბ-ის გამოკითხვის ოქმები არის ი. გ-ისა და გ. ტ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში მამხილებელი არა მხოლოდ ძირითადი, არამედ ერთადერთი პირდაპირი მამხილებელი მტკიცებულება, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულება“.

13. სასამართლო ასევე ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას (იხ. *Schatschaschwili v. Germany*, no 9154/10, ECtHR, 15/12/2015), რომლის თანახმად, პირის მსჯავრდებისთვის იმ მოწმის მამხილებელი ჩვენების გამოყენებისას, რომელიც არ ესწრებოდა არსებით სასამართლო სხდომას და დაცვის მხარეს არ ჰქონდა მისი დაკითხვის შესაძლებლობა, სასამართლომ უნდა შეისწავლოს:

(i) არსებობდა თუ არა საქმის სასამართლო განხილვაზე მოწმის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი;

(ii) არის თუ არა დაუსწრებელი მოწმის ჩვენება მსჯავრდების ერთადერთი, ან გადამწყვეტი საფუძველი;

(iii) არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები დაცვის უფლების განხორციელებაში ზემოაღნიშნულით დაცვის მხარის წინაშე წარმოშობილი დაბრკოლებების კომპენსირებისათვის.

14. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარისათვის დაზარალებულის პირველი გამოკითხვისთანავე (2022 წლის 5 ივლისს) ცნობილი გახდა, რომ ე. ბ-ი იყო ა-ს მოქალაქე, რომელიც ს-ში იმყოფებოდა დროებით (სამუშაოდ). შესაბამისად, ბრალდების მხარისათვის წინასწარ განჭვრეტადი იყო, რომ მოწმეს შეეძლო ს-ს ტერიტორია დაეტოვებინა არსებით სასამართლო განხილვამდე, ამიტომ უნდა უზრუნველყო მოწმის ისეთი წესით და პირობებში დაკითხვა, რომ დაცვის მხარეს არ შეზღუდვოდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება და ჰქონოდა ძირითადი მამხილებელი მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. შესაბამისად, მხარეს უნდა მიეღო სათანადო ზომები და დაზარალებული ე. ბ-ი საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაეკითხა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მხარეთა მონაწილეობით.

14.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულისთვის ბრალდების საკვანძო მოწმის წარმომადგენლის მეშვეობით დაკითხვის შესაძლებლობის შექმნა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე მაინც, მნიშვნელოვან პროცესუალურ გარანტიას წარმოადგენდა, რაც უზრუნველყოფდა ბრალდებულის დაცვის უფლებას, რომლის არ არსებობას მნიშვნელოვანი წონა აქვს 6.1 და 6.3. d მუხლის შესაბამისად საქმისწარმოების საერთო სამართლიანობის შეფასებისას“ (Schatschaschwili v. Germany, no 9154/10, par. 162, ECtHR, 15/12/2015);

15. მოცემულ შემთხვევაში ე. ბ-ის ჩვენება არის ი. გ-სა და გ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ერთადერთი და ძირითადი მამხილებელი მტკიცებულება, ხოლო სხვა მტკიცებულებები არის ირიბი ან გარემოებითი.

16. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ გადანყვეტილებაში „ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ“ განვითარებულ მსჯელობას, რომლის თანახმად, სასამართლომ გაითვალისწინა რა სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, აღნიშნა, რომ დაზარალებულები იყვნენ განსახილველი დანაშაულის ერთადერთი თვითმხილველები. სასამართლოებისთვის ხელმისაწვდომი სხვა მტკიცებულებები ან ირიბი ჩვენება იყო, ან მხოლოდ გარემოების დამადასტურებელი ტექნიკური და სხვა მტკიცებულება, რაც პირდაპირ ვერ ადასტურებდა ძარცვასა და ძალადობას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსწრებელი მოწმეების მტკიცებულება „გადამწყვეტი“ იყო და განაპირობებდა განმცხადებლის მსჯავრდებას“ (Schatschaschwili v. Germany, no 9154/10, par. 144, ECtHR, 15/12/2015).

17. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ, სასამართლოში წარმოდგენილი იყო დამატებითი ირიბი ჩვენება და გარემოებითი მტკიცებულებები, რაც ამყარებდა მოწმეთა ჩვენებებს და საქმის სასამართლო განხილვისას განმცხადებელს შესაძლებლობა ჰქონდა წარმოედგინა მოვლენათა მისეული ვერსია და ეჭვი გამოეხატა მოწმეთა სანდოობასთან დაკავშირებით, ჯვარედინად დაეკითხა მოწმეები, რომელთაც მისცეს ირიბი ჩვენებები, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა არაპირდაპირ ან გამოძიების ეტაპზე დაეკითხა დაზარალებულები, რის გამოც ერთადერთი თვითმხილველი მოწმეების (დაზარალებულების) ჩვენებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეროვნული სასამართლოს მიერ გატარებული დამაბალანსებელი ღონისძიებები ევროპულმა სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია გადაუმონმებელი მტკიცებულების სამართლიან-

ნად და სათანადოდ შეფასების შესაძლებლობის შესაქმნელად. შესაბამისად, განმცხადებლის შესაძლებლობის არქონამ, სასამართლო განხილვისას ან საქმისწარმოების რომელიმე ეტაპზე, დაეკითხა თვითმხილველი მამხილებელი მოწმეები, საქმის სასამართლო განხილვა მთლიანობაში არასამართლიანად აქცია (*Schatschaschwili v. Germany*, no 9154/10, ECtHR, 15/12/2015).

17.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და აღნიშნავს, რომ პირის მსჯავრდება უნდა ემყარებოდეს შეჯიბრებით სასამართლო პროცესში მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის პირობებში მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ მტკიცებულებებს. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს არ მიეცა ე. ბ-ის უშუალოდ დაკითხვის შესაძლებლობა, აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა იქონია დაცვის უფლების განხორციელებაზე და სამართალწარმოების სამართლიანობაზე (იხ. *Schatschaschwili v. Germany*, no 9154/10, ECtHR, 15/12/2015; *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, no. 26766/05, 22228/06, ECtHR, 15/12/2011).

18. შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (იხ. *Schatschaschwili v. Germany*, no 9154/10, ECtHR, 15/12/2015), სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ი. გ-ისა და გ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

19. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ ე. ბ-ის განმარტებას მის მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის შესახებ (პირმა, რომელსაც ეცვა ლურჯი ფერის კაპიუშონიანი ზედა (გ. ტ-ი) თავში ძლიერად ერთხელ ჩაარტყა მუშტი, რა დროსაც განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. ამ დროს მის გვერდზე მდგომმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელსაც ეცვა ცისფერი ფერის მოკლემკლავიანი მაისური და თავზე ეკეთა შავი ფერის მზის სათვალე (ი. გ-ი), ასევე შეაგინა დედის მისამართით და ორივე ხელი ძლიერად მოჰკიდა ტანზე, რათა არ ჰქონოდა წინააღმდეგობის გაწევის საშუალება), ასევე ი. გ-ისა და გ. ტ-ის აღიარებას ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის ნაწილში.

19.1. ი. გ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ დაზარალებულის გამოკითხვის ოქმში ყველაფერი იყო სიმართლე, სად დალიეს, სად იყვნენ, მაგრამ სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რომ ე. ბ-ს ესაუბრებოდა

რუსულად და ნაართვა ტელეფონი. მან რუსული არ იცის. ე. ბ-ისათვის არც ტელეფონი ნაურთმევია და არც ფული, ჩხუბი ძმებს შორისაც ხდება, ნასვამები იყვნენ და მოუვიდათ ჩხუბი.... დაზარალებული იგინებოდა და მოუვიდათ შელაპარაკება, იყო განევ-გამონევა.... არ იცის რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულს, განევ-გამონევისას თავში რომ ჩაარტყა თუ იმაზე გამწარებულმა თქვა რომ ტელეფონი და ფული დაკარგა, მან არ იცის. სხვა ინტერესი ვერ ექნებოდა, იმ დღეს გაიცნო... არც ი. გ-ს ნაურთმევია რამე ე. ბ-ისათვის, მათ ერთად ეძინათ პარკში და ღამის 04:00 საათზე დააკავა პოლიციამ, თანახმაა ჩხუბის გამო რაც ეკუთვნის მიუსაჯონ.

19.2. ი. გ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ ნ. ა-ს იცნობს ერთ წელიწადზე მეტია, როცა სკვერში შევიდა გ. ტ-თან ერთად, ნახა რომ სვამდნენ, მიიპატიჟეს, მათაც დალიეს, რასაც მერე შედეგად მოჰყვა ხელის შეკვრა-შემოკვრა (იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის სხდომის ოქმი 13:55:01 – 13:55:49). ფიქრობს დაზარალებული იმიტომ აბრალებს ძარცვას, რომ მინაზე ჰქონდათ შელაპარაკება, უთხრა რომ ს-... ს-ს კუთხე იყო და არა ა-ს ტერიტორია. ე. ბ-ისათვის ბინის დაქირავება არ შეუთავაზებიათ.

20. სასამართლო ასევე ითვალისწინებს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დგინდება, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი სს „გ.- ჰ-ს“ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის №... და ამავე კლინიკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მონაცემების თანახმად: ე. ბ-ი მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით აღნიშნულ კლინიკაში მოთავსდა 05.07.2022 წელს 04:40 საათზე და გაენერა 05.07.2022 წლის 13:10 საათზე. სადაც დაესვა დიაგნოზი: თავის ტვინის შერყევა, დაუზუსტებელი სპირტის ტოქსიური ეფექტი; 07.07. 2022 წლის პირადი შემოწმებისას, ე. ბ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები: სისხლნაჟღენთისა და ნაჭდევების სახით (პირადი გასინჯვის მონაცემებით – მარჯვენა თვალებუდის ზედა ქუთუთოზე აღენიშნება მოლურჯო-მოიისფრო ფერის სისხლნაჟღენთი, უსწორო ფორმის, ზომით: 1x0,7 სმ; ასეთივე ფერის სისხლნაჟღენთები აღენიშნება: მარჯვენა ლოყის მიდამოში, ზომით 2,5x0,5სმ; გულმკერდის წინა ზედაპირზე ლავინშუა ხაზზე მე-3-4 ნეკნების დონეზე უსწორო მოოვალო ფორმის, ზომით 2x2 სმ; მარცხენა ბეჭის მიდამოში აღენიშნება მოწითალო ფერის კანის დონიდან, ოდნავ მაღლა მდებარე ფუფხით დაფარული ნაჭდევი, უსწორო ფორმის, ზომით: 3x2,5 სმ; ასეთივე ხასიათის და ფორმის ნაჭდევი აღენიშნება: გულმკერდის წინა ზედაპირზე მარცხნივ ლავინშუა ხაზზე მე-6-7

ნეკნების დონეზე, ზომით: 3x1 სმ.) დაზიანებები განვითარებულნი არიან რაიმე მკერძი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად, მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ თარიღს – 05.07.2022 წელს.

21. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება ი. გ-სა და გ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის – ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჯგუფურად ჩადენა.

22. ამასთან, ი. გ-ისა და გ. ტ-ისათვის ბრალად წარდგენილი ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, რომლის თანახმად, ბრალდების გადაკვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განჭვრეტადად არის მიჩნეული, თუ იგი ბრალდების თანდაყოლილ ელემენტს წარმოადგენს (*De Salvador Torres v. Spain*, no. 21525/93 § 33, ECtHR, 24/10/1996; *Sadak and Others v. Turkey*, 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96, § 52 and §56, ECtHR, 17/07/2021; *Juha Nuutinen v. Finland*, no 45830/99, § 32, ECtHR, 24/07/2007).

23. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულებს ბრალი ედებოდათ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის თანახმად, წარმოადგენს მძიმე დანაშაულს, ხოლო საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულია.

24. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

25. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა, ის, იმავდროულად, სწორედ ამ მიზეზით ზღვარდადებულია საზოგადოების სხვა წევრების თავისუფლებით (ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45).

26. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

27. დანაშაულის ჩადენის ხერხის, ვითარების, მოტივის, მიყენებული ზიანის ხასიათის, მსჯავრდებულების პიროვნების, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მათი ქცევის, ბრალის ნაწილობრივი აღიარების და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ი. გ-სა და გ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1'-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის უნდა განესაზღვროთ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

28. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ი. გ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქმოს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1'-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, ი. გ-ს უნდა დაენიშნოს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ი. გ-ისა და გ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების ძირითად და იმავდროულად, ერთადერთ პირდაპირ მამხილებელ მტკიცებულებას წარმოადგენს დაზარალებულ ე. ბ-ის გამოკითხვის ოქმები, რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაზარალებულის გამოკითხვის ოქმის გათვალისწინებით; პირდაპირი ინფორმაციის მატარებელი და მომწოდებელი, მოცემულ შემთხვევაში, იყვნენ მხოლოდ დაზარალებული ან/და მსჯავრდებულები (რომლებიც არ აღიარებენ მათთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას). შესაბამისად, ვინაიდან დაუსწრებელი მოწმის ჩვენება „გადამწყვეტი“ იყო და განაპირობებდა განმცხადებლის მსჯავრდებას, ხოლო, დაცვის მხარეს არ ჰქონდა

შესაძლებლობა ბრალდების მხარის საკვანძო მოწმისათვის გამოძიების ეტაპზე ან/და სასამართლოში დაესვა კითხვები; ბრალდების მხარემ არ უზრუნველყო აღიშნული მოწმის დაკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშე მხარეთა მონაწილეობით, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ბრალდების მხარის მოთხოვნა და ი. გ-ი და გ. ტ-ი დამნაშავედ ცნოს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ სოფიო ბარაბაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ი. გ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის;

4. ი. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1^ლ-ი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ი. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვროს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმოს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1^ლ-ი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. გ-ს საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვროს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. ი. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავებიდან – 2022 წლის 5 ივლისიდან;

8. გ. ტ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის;

9. გ. ტ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

10. გ. ტ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავებიდან – 2022 წლის 6 ივლისიდან;

11. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

12. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან ქარცხანზე

განაჩენი საქართველოს სახელით

№1399აპ-23

5 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძისა და მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ნ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ნ. ა-ე, ა. ა.ე. და გ. ძ.ი ცნობილ იქნენ ბრალდებულებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი

ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 1 თებერვალს ნ. ა.-ემ, ა. ა.-ემ და გ. ძ-მა განიზრახეს რა, რომ დიდი ოდენობით თანხის დაუფლების მიზნით სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით თავს დასხმოდნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ნ. მ-ს, აღნიშნული მიზნით გადაინაწილეს როლები, კერძოდ 2023 წლის 1 თებერვალს, 11:30 საათიდან 11:50 საათამდე დროის პერიოდში, ქ-ში მდებარე „რ.“ ნ. ა-ე შეჰყვა ნ. მ-ს და მის მეგობარ დ-ი ს-ის ნ. მისათვის რუსეთიდან გამოგზავნილი 11580 დოლარის (30707 ლარი) გასანაღებლად, ხოლო ა. ა-ე და გ. ძ-ი დარჩნენ „რ-ის“ მიმდებარედ. ნ. ა.-ემ აიღო რა ნ. მ-ისთვის განკუთვნილი თანხა 11536 დოლარის (30591 ლარი) ოდენობით, სწრაფად დატოვა ტერიტორია, მას გაედევნა ნ. მ-ი დ-ი ს-ისთან ერთად, ხოლო მათ გაყვნენ ა. ა-ე და გ. ძ-ი. ნ. მ-ის კანონიერ მოთხოვნაზე გადაეცა მისი კუთვნილი თანხა, ნ. ა-ე, სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით, ა. ა-ის, გ... ძ-ის და დ-ი ს-ის თანდასწრებით დაემუქრა მოკვლით, აღნიშნულის შემდეგ კი, გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. ნ. მ-ის შესაყოვნებლად, ა. ა-ემ და გ. ძ-მა ამ უკანასკნელს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, ა. ა-ემ ხელი ჰკრა, რის შედეგადაც დაეცა და დაუზიანდა მარჯვენა მუხლი, ხოლო გ. ძ-მა ფეხი დაარტყა სხეულის არეში, რის შედეგადაც თითოეული ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი. ჩადენილი ქმედებებით დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიაღმა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 24 ივლისის განაჩენით:

ნ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე;

ნ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის 3-ე ნაწილითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ა. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირ-

ველ ნაწილზე;

ა. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7000 ლარი;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ახლად დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 5 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სრულად შთანთქმა დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის მოუხდელი ნაწილი 2341,12 ლარი და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7000 ლარი და 5 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით 2023 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 24 ივლისის ჩათვლით ჩათვალა მოხდილად (5 თვე და 22 დღე).

გ. ძ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

გ. ძ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7000 ლარი, რაც საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2023 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 24 ივლისის ჩათვლით), შეუმცირდა და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარი.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2023 წლის 1 თებერვალს ნ. ა-ემ განიზრახა, აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ნ. მ-ის ფულად თანხას დიდი ოდენობით. კერძოდ, 2023 წლის 1 თებერვალს, 11:30 საათიდან 11:50 საათამდე დროის პერიოდში, ქ-ში მდებარე „რ.“ ნ. ა-ე შეჰყვა ნ.მ-ს და მის მეგობარ დ. ს-ს ნ. მ-ისათვის რუსეთიდან გამოგზავნილი 11580 დოლარის (30707 ლარი) გასანაღდეבלად. ნ.ა-ემ აიღო რა ნ. მ-ისთვის განკუთვნილი ფულადი თანხა 11536 დოლარის (30591 ლარი) ოდენობით, სწრაფად დატოვა ტე-

რიტორია, მას გაედევნა ნ. მ-ი დ-ი ს-ისთან ერთად. ნ. მ-ი დაედევნა ნ. ა-ეს, რომელიც არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხოვნას გადაეცა კუთვნილი თანხა. მას შემდეგ რაც ნ. ა-ე არ დაემორჩილა ნ. მ-ის მოთხოვნას მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ამავე ფაქტის შემსწრე ა. ა-ე და გ. დ-ი თავს დაესხნენ ნ. მ-ს და ამ უკანასკნელს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, ა. ა-ემ ხელი ჰკრა, რის შედეგადაც დაეცა და დაუზიანდა მარჯვენა მუხლი, ხოლო გ. დ-მა ფეხი დაარტყა სხეულის არეში, რის შედეგადაც თითოეული ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი ქმედებებით დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიაღმა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნათია ჩუბინიძემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. დ-ის წარდგენილი ბრალდებების შე-საბამისად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობა და მათთვის რელევანტური სასჯელის განსაზღვრა.

2.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, სააპელაციო წესით, ასევე გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ნ-ემ და მსჯავრდებულების ა. ა-ისა და გ. დ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა ზ. გ-მა და ლ. ლ-აიამ. მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ნ-ემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა, ნ. ა-ის ქმედების გადაკვალიფიცირება, კერძოდ, მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მისთვის სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა, ხოლო მსჯავრდებულების ა. ა-ისა და გ. დ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ზ. გ-მა და ლ. ლ-აიამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს ა. ა-ის და გ. დ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენით ბრალდებისა და დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 24 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. 2023 წლის 28 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. ნ-ემ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა ნ. ა-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის

180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება და სასჯელის სახედ ჯარიმის განსაზღვრა.

3.3. 2023 წლის 5 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნათია ჩუბინიძემ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. ძ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მათთვის კანონიერი და რელევანტური სასჯელების განსაზღვრა.

4. კასატორების პოზიციები:

4.1. მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ნ-ის პოზიციით, სააპელაციო სასამართლომ ნ. ა-ის მიერ განხორციელებულ ქმედებას არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭა, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. დაცვის მხარის განმარტებით, მტკიცებულებებით დადასტურებულია და სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს, რომ ნ. ა-ემ „რ-ში“ გაანაღდა ფულადი თანხა, რის შემდგომაც თანხა ჩაიღო ჩანთაში, გავიდა გარეთ და გეზი აიღო მ-ს შორის მდებარე ე.წ. არკისკენ. მას უკან გაჰყვნენ ნ. მ-ი და დ-ი ს-ი, რის შემდგომაც რამდენიმე წუთში ნ. ა-ე სწრაფი ნაბიჯებით გამოვიდა არკიდან, ჩაჯდა ტაქსიში და დატოვა კონკრეტული ადგილი. მსჯავრდებულმა სასამართლოში დაკითხვისას აღიარა, რომ მას თაღლითობის (მოტყუების) განზრახვა ამოძრავებდა, კერძოდ, ნ. ა-ემ გზავნილის განაღდებისას განიზრახა დაზარალებულის მოტყუება და განუცხადა მას, რომ თანხას გარეთ მისცემდა, შესაბამისად მოტყუებითვე გაიყვანა „რ-დან“. ამდენად, დაცვის მხარის პოზიციით, სწორედ აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ ნ. ა-ეს ამოძრავებდა თაღლითობის განზრახვა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ თანხა იყო მსჯავრდებულის გამგებლობაში, დაზარალებული, ნ. მ-ი, მოტყუებით გაიყვანა გარეთ და მოტყუებითვე გადაწყვიტა შემთხვევის ადგილის დატოვება, სახეზეა არა ძარცვის შემადგენლობა, რომელსაც აშკარაობა ახასიათებს, არამედ თაღლითობის. შესაბამისად, ნ. ა-ის ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ა-ის ოჯახმა დაზარალებულს სრულად აუნაზღაურა ზიანი, მას სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა.

4.2. პროკურორის პოზიციით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ.

ძ-ის მიერ განხორციელებულ ქმედებებს არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცა. მოცემულ შემთხვევაში, სამივე მსჯავრდებულის მიმართ დადასტურებულია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მხარე. მონმეთა ჩვენებებით, კერძოდ: დაზარალებულ ნ. მ-ის და მონმე დ-ი ს-ის ჩვენებებით დადასტურებულია, რომ შეთანხმებისამებრ ისინი შეხვდნენ ნ. ა-ეს, რომელსაც ნ. მ-ისთვის გადმოგზავნილი თანხა უნდა გაენაღდებინა, სანაცვლოდ კი, ნ. მ-ი მას გადაუხდიდა 50 ლარს. ნ. ა-ის მიერ ნ. მ-ის თანხის დაუფლების ფაქტი სადავო გარემოებას არ წარმოადგენს, ხოლო ნ. ა-ის ხელში იარაღის არსებობა, რასაც თან ახლდა დაზარალებულის მიმართ მუქარა, დადასტურებულია, როგორც დ-ი ს-ის, ისე ნ. მ-ის ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტისას გადაღებული ვიდეოჩანაწერით და სხვადასხვა ობიექტებიდან გამოთხოვილი ვიდეოკამერების ჩანაწერებით, სადაც ჩანს, რომ ნ. ა-ე მაისურის შიდა მხარეს იარაღის მსგავს საგანს ისინჯავს. ასევე მონმეთა ჩვენებებით და ვიდეოკამერების ჩანაწერებით დადასტურებულია, რომ „რ.-იდან“ გამოსვლის შემდგომ ნ. ა-ესთან ერთად იმყოფებოდნენ, ა. ა-ე და გ. ძ-ი, კერძოდ: როგორც კი 11:45:17 საათზე, ნ. ა-ე, ნ. მ-ი, დ-ი ს-ი გამოდიან „რ.-იდან“, ა. ა-ე და გ. ძ-ი მყისიერად, სირბილით ჭრიან გზას და ჩქარი ნაბიჯებით შეჰყვებიან ჩიხში შესულ ნ. მ-ს, ნ. ა-ეს და დ-ი ს-ის. აღნიშნული, ასევე დადასტურებულია გ. გ-ისა და მ.პ-ის ჩვენებებით. მსჯავრდებულების მიერ წინასწარი განზრახვით ერთობლივად, ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულზე მეტყველებს, ასევე ისიც, რომ ა. ა-ე და გ. ძ-ი გადაადგილდებიან შემთხვევის ადგილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის იმ პერიოდში, როდესაც ნ. ა-ე და ნ. მ-ი იმყოფებოდნენ „რ.“. ა. ა-ე და გ. ძ-ი ნ. ა-ეს და ნ. მ-ს, „რ.“ შესვლამდე ისე აუვლიან და ჩაუვლიან გვერდს თითქოსდა არ იცნობენ თანამსჯავრდებულს, ხოლო ე.წ. არკიდან გამოსულები ნ. მ-ს არ აძლევენ შესაძლებლობას თანხის დასაბრუნებლად გაეკიდოს დაზარალებულს და ძალადობით აჩერებენ მას. კასატორის პოზიციით, სწორედ ეს ყველაფერი ერთობლიობაში აღებული მეტყველებს მათ მიერ წინასწარი განზრახვით ერთობლივად, ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაზე. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ არსებობს ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. ძ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებებით დამნაშავედ ცნობის საფუძველი. ამასთან, პროკურორი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულებისათვის დანიშნული სასჯელები არის არასამართლიანი და აშკარად მსუბუქი.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

5.2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას იმ ნაწილში, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად დადასტურდა ნ. ა-ის მიერ ნ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფაქტი, ასევე ა. ა.ისა და გ. ძ-ის მიერ ნ. მ-ე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტები, თუმცა არ იზიარებს მსჯავრდებულთა ქმედებების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ:

5.3. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარისათვის სადავოა ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. ძ-ის მიერ ჩადენილი ქმედებების სამართლებრივი შეფასება, ხოლო დაცვის მხარისთვის – ნ. ა-ის ქმედების სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაცია, ასევე იმის განსაზღვრა მსჯავრდებულები მოქმედებდნენ ერთობლივად, საერთო მიზნითა და განზრახვით, თუ დამოუკიდებლად.

5.4. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, რომ 2023 წლის 1 თებერვალს, ნ. ა-ე ძმასთან – ა. ა-ესთან და მეგობარ – გ. ძ-თან ერთად, მანქანით მივიდა ქ.-ში მდებარე „რ-თან“ („მ.“). ნ. ა-ე შეთანხმებისამებრ შეხვდა ნ. მ-ს და მის მეგობარ დ-ი ს. ის. ნ. ა-ეს უნდა გაენაღებინა ნ. მ-ისათვის გამოგზავნილი 11580 დოლარი, ხოლო აღნიშნულის სანაცვლოდ ნ. მ-ს მისთვის უნდა გადაეხადა 50 ლარი. ასევე, 2023 წლის 1 თებერვალს, ნ. ა-ემ, სამგორის მეტროსთან მდებარე „რ-ში“, გაანაღდა ნ. მ-ის კუთვნილი ფულადი თანხა 11536 დოლარი (30591 ლარი), რაც ჩაიდო ჩანთაში (ე.წ. ბარსეტკაში), რის შემდეგაც სწრაფად დატოვა შენობა, ისე რომ თანხა არ გადაუცია დაზარალებულისთვის და გზა განაგრძო იქვე მდებარე ე.წ. არკისკენ. ნ. მ-ი უკან გაჰყვა ნ. ა-ეს და სთხოვდა ფულის დაბრუნებას, თუმცა უშედეგოდ. ნ. მ-ი დაედევნა ნ. ა-ეს, რომელიც არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხოვნას გადაეცა კუთ-

ვნილი თანხა და შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას. ამ ფაქტის შემსწრე ა. ა-ემ და გ. ძ-მა ნ. მ-ს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც, ნ. ა-ემ დატოვა შემთხვევის ადგილი. სადავო გარემოებას ასევე არ წარმოადგენს, რომ შემთხვევის ადგილზე, ნ. ა-ისა და დაზარალებულის შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ, „რ-ში“ ყოფნის დროს, მათ მიმდებარედ გადაადგილდებოდნენ და შემდგომში ე.წ. არკაში მათთან ერთად იმყოფებოდნენ ა. ა-ე და გ. ძ-ი.

5.5. დაზარალებულ ნ. მ-ის ჩვენებით დადასტურებულია, რომ 2023 წლის 1 თებერვალს, შეთანხმებისამებრ, გზავნილის (ფულადი თანხის) გასანაღდეblად, მეტროსადგურ „ს.“ მდებარე „რ-ს“ ფილიალთან შეხვდა ნ. ა-ეს, მ. პ-ს და გ. გ-ს. თავდაპირველად ფულადი თანხა უნდა გაენაღდებინა ნ. ა-ეს. ისინი შევიდნენ „რ-ში“ და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ (გზავნილის კოდების გადაცემის შემდეგ), ოპერატორმა ნ. ა-ეს მისცა ფულადი თანხა 11536 დოლარი (30591 ლარი). ნ. ა-ემ აიღო თანხა, ჩაიღო ე.წ. ბარსეტკაში (ჩანთაში) და სწრაფი ნაბიჯით დატოვა ბანკი. მას უკან გაჰყვა დაზარალებული და დაინახა, რომ მსჯავრდებულმა შეუხვია იქვე არსებული ე.წ. არკისკენ. იგი ეძახდა, თუმცა უშედეგოდ. მათ ასევე გაჰყვა დ-ი ს-იც. მოგვიანებით, ნ. ა-ე გაჩერდა, განაგრძო მისკენ სვლა და სწორედ ამ დროს დაინახა, რომ ჩქარი ნაბიჯით მისკენ მიემართებოდა ორი უცხო პიროვნება. უცხო მამაკაცები მათი მიმართულებით ყვიროდნენ „ვინ იყვნენ და რა უნდოდათ მათ უბანში“, ნ. ა-ემ უპასუხა, რომ მიდიოდა, აღნიშნულ მამაკაცებს თვალთ რაღაც ანიშნა და განაგრძო სვლა. ამ დროს დ-ი ს-ი მისგან რამდენიმე ნაბიჯით უკან იდგა. დაზარალებული მიუახლოვდა ნ. ა-ეს და ფულის დაბრუნება მოსთხოვა, რა დროსაც ნ. ა-ემ შეაგინა და უთხრა, რომ ფული მასთან დარჩებოდა, დაეტოვებინა ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდა. მას შეეშინდა და უკან დაიხია. მას შემდეგ, რაც ნ-ი გაიქცა გზისკენ, კვლავ დაედევნა, სცადა მისი შეჩერება, მაგრამ ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელსაც კუბოკრული მოსაცმელი ეცვა, წააქცია, ძირს დაადგო და დაარტყა, რის შემდგომაც ნ. ა-ე ჩაჯდა ტაქსიში და გაიქცა. თვითონ დაეცა, რამდენიმე წამში მათთან მიიღბინა მეორე პიროვნება მამაც, რომელმაც ასევე ჩაარტყა ზურგის არეში.

5.6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. მ-ის ჩვენება დასტურდება მონემების – დ. ს-ის, მ. პ-ისა და გ. გ-ის ჩვენებებით, გამოძიების სტადიაზე დაზარალებულის მიერ ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. ძ-ის ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით, დ-ი ს-ის მიერ ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. ძ-ის ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, ასევე

„მ-ს“ და შპს „ვ.“ გარე და შიდა სათვალთვლო კამერების ვიდეოჩანაწერებით.

5.7. სამედიცინო ექსპერტიზის № დასკვნითა და ექსპერტ თ. ნ-ის ჩვენებით დადგინდა, რომ 02.02.2023 წელს, პირადი შემოწმებისას ნ. მ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები ნაჭ-დევეების სახით განვითარებულნი რაიმე მკვერივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად, რაც მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებოდა დადგენილებაში და შესამოწმებლის მიერ მითითებულ თარიღს (1.02.2023 წელი).

5.8. ამდენად, საკასაციო პალატის დასკვნით, საქმეში არსებული პირდაპირი და სხვა მტკიცებულებების ერთობლიობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯავრდებულ ნ. ა-ის ქმედებებთან – დადგენილია სწორად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით, თუმცა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამისად, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილ ქმედებებს არ მიეცა ზუსტი სამართლებრივი შეფასება.

5.9. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ნ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, შესაბამისად, იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი, დაზარალებულ ნ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის აშკარად დაუფლებისათვის. ასევე გადაკვალიფიცირდა ა. ა-ის და გ. ძ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება და ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავედ ცემისთვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5.10. ამრიგად, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, საკასაციო საჩივრებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ნ. ა-ეს იარაღი ან/და იარაღის მსგავსი საგანი და მსჯავრდებულები ნ. ა-ე, ა. ა-ე და გ. ძ-ი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებისას მოქმედებდნენ თუ არა ერთობლივად, წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.

5.11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქმედების ყაჩაღობით დაკვალიფიცირებისთვის აუცილებელია სხვისი მოძრავი ნივ-

თის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, განხორციელდეს თავდასხმა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ამასთან, თავდასხმის ხარისხი, კერძოდ, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს უტყუარად, ისე, რომ არ აჩენდეს კითხვებს. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულ ნ. მ-ის და ფაქტის თვითმხილველი მოწმის დ. ს-ის ჩვენებები ამ ნაწილში ურთიერთსაწინააღმდეგოა, კერძოდ, მართალია თავდაპირველად დაზარალებულმა ნ. მ-მა განმარტა, რომ ნ. ა-ე იარაღის მუქარით დაეუფლა მის კუთვნილ ფულად თანხას, თუმცა ვიდეოჩანაწერების გამოკვლევის პროცესში დააზუსტა, რომ იყო ძალიან განერვიულებული და შესაძლოა, იარაღი ანდა იარაღის მსგავსი საგანი მისი წარმოსახვა ყოფილიყო. მსჯავრდებულს ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული და შესაძლოა, აერია. დაზარალებულ ნ. მ-ის განმარტებით, ე.წ. არკაში ყოფნის პერიოდში იარაღი ნ. ა-ის ხელში არ დაუნახავს. ვინაიდან გამოკითხვისას ძალიან ლელავდა, მიუთითა, რომ რაღაც შავი საგანი დაინახა, რაც იარაღი ეგონა, მაგრამ დამადვილებით არ შეუძლია თქვას იარაღი იყო თუ არა. დაზარალებულმა ნ. ა-ის მხრიდან მუქარის ტექსტი დაადასტურა, მაგრამ კატეგორიულად არ თქვა ეჭირა თუ არა ხელში რაიმე საგანი ნ. ა-ეს. დაზარალებულისგან განსხვავებით დ-ი ს-იმ დაადასტურა ნ. ა-ის მიერ იარაღის გამოყენებით მუქარის ფაქტი. მოწმეების – გ. გ-ისა და მ. პ-ის ჩვენებებით, არ დასტურდება ნ. ა-ის ხელში იარაღის ანდა იარაღის მსგავსი საგნის არსებობის ფაქტი. ამდენად, ზემოაღნიშნული მოწმეთა ჩვენებებით შეუძლებელია უტყუარად იმის დადასტურება, რომ ნ. ა-ე იარაღის მუქარით დაეუფლა ნ. მ-ის კუთვნილ ფულად თანხას.

5.12. იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ ერთი მოწმე ადასტურებს ნ. ა-ის ხელში იარაღის ქონის ფაქტს, დაზარალებულმა, კი ვერ აღიქვა ეჭირა თუ არა რაიმე საგანი ხელში მსჯავრდებულს – ასეთ მოცემულობაში ნ. ა-ის ქმედება ვერ შეფასდება დაზარალებულზე განხორციელებულ თავდასხმად, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ნ. ა-ის ქმედებაში არ დასტურდება ყაჩაღობის შემადგენლობის ობიექტური ნიშნები, რომელიც თავის მხრივ ავტომატურად გამორიცხავს ა. ა-ისა და გ. ძ-ის მიერ ყაჩაღობის ჩადენას. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში, სამართლებრივად სწორად არ შეფასდა მსჯავრდებულთა ქმედებები, როდესაც გამოირიცხა მათ მიერ დანაშაულის ერთობლივად ჩადენა.

5.13. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსი საკუთრების ხელყოფის ფორმის მიხედვით განსახვავებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სხვადასხვა სახეს. საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით დასჯადია ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ქმედების ძარცვით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს: მოძრავი ნივთის დაუფლების ხერხი – აშკარა ხასიათი და სპეციალური მიზანი – დაუფლებული ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. ამასთან, აღნიშნული დანაშაულის ნივთის დაუფლების აშკარა ფორმის მიმართ თავად დამნაშავეს უნდა გააჩნდეს ცოდნისა და ნებელობის ფაქტორი. სხვისი ნივთის დაუფლება გულისხმობს, არა მხოლოდ საკუთრების დამნაშავეს ხელში ფორმალურ გადასვლას, არამედ დამნაშავეს ფაქტობრივ შესაძლებლობას თავისი სურვილისამებრ განკარგოს სხვისი საკუთრება. ამასთან, დაუფლების ფაქტი თავისთავად არ ნიშნავს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობას. აუცილებელია ქმედება ე.ი. დაუფლება დეტერმინირებული იყოს სხვისი ქონების მისაკუთრების მიზნით, რა დროსაც დამნაშავეს სხვისი საკუთრების განკარგვის შესაძლებლობასთან ერთად, მისაკუთრების სპეციალური სურვილი და მიზანი უნდა გააჩნდეს. რაც შეეხება დანაშაულის მკვალიფიციენტებელ ნიშანს – დიდ ოდენობას, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10000 ლარის ზევით. მოცემულ შემთხვევაში უტყუარად დადგენილია, რომ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა აღემატება კანონმდებლის მიერ დადგენილი დიდი ოდენობის 10000 ლარიან ზღვარს.

5.14. სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია გონივრული საფუძველი საექტოდ მიიჩნიოს ნ. ა-ის ბრალეულობა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, თუმცა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ა. ა-სა და გ. ძ-ის ქმედებების საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.15. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ დაზარალებულის და შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმეების ჩვენებებით, ასევე ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ ა. ა-ეს და გ. ძ-ს შემხებლობა არ ჰქონდათ ნ. ა-ესთან და ნ. მ-თან. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ა. ა-ეს და გ. ძ-ს ნ. ა-ესთან

ერთად შემთხვევის ადგილზე მისვლისას რაიმე როლი გააჩნდათ ნ. ა-ის დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში და მათ თავიანთი მოქმედებით ან უმოქმედობით რაიმე ეტაპზე ხელი შეუწყვეს ნ. ა-ეს, რათა სისრულეში მოეყვანა დანაშაულებრივი განზრახვა.

5.16. საკასაციო სასამართლომ სრულად შეაფასა დაზარალებულ ნ.- მ-ის ჩვენება, მოწმეების – დ. ს-ის, გ. გ-ის, მ. პ-ის ჩვენებებთან, ვიდეოკამერების ჩანაწერებთან, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და მიაჩნია, რომ ის არ შეიცავს წინააღმდეგობებს, არის საკმარისად ცხადი და თანმიმდევრული, ასევე თანხვედნილი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. დაზარალებულმა დეტალურად აღწერა მის მიმართ მსჯავრდებულთა მხრიდან ჩადენილი ქმედებები, ისაუბრა თავდაპირველად მასსა და ნ. ა-ეს შორის არსებულ მოლაპარაკებაზე, ასევე იმაზე, თუ როგორ დატოვა „რ-ის“ შენობა ნ. ა-ემ, როგორ განაგრძო მოძრაობა იქვე არსებული ე.წ. არკისკენ, როგორ სთხოვდა მას ფულის დაბრუნებას, როგორ შეურთდნენ მათ ა. ა-ე და გ. ძ-ი, ხოლო შემდგომში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით როგორ დაეუფლნენ მის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხას. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დადასტურდა ფაქტის თვითმხილველი მონმის – დ. ს-ის ჩვენებითაც. დაზარალებულმა და ფაქტის თვითმხილველმა მონმემ – დ. ს-იმ ფოტოსურათებით ამოიცნეს მსჯავრდებულებულები, ასევე დაკითხვისას მიუთითეს მათ მახასიათებლებზე, რაც სრულად თანხვედნილია გამოკვლეულ ვიდეოჩანაწერებთან.

5.17. ქ-ში მდებარე, შპს „მ-ს“ 2023 წლის 1 თებერვლის შიდა და გარე სათვალთვალო ვიდეოკამერების, ასევე ქ. თ-ში მდებარე „ვ.“ გარე სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერებზე დაფიქსირებულია ნ. ა-ის, ა. ა-ისა და გ. ძ-ის ქმედებები. ვიდეომასალით დადასტურებულია, რომ 10:28:20 სთ-ზე კადრში ჩნდება მსჯავრდებული ნ. ა-ე, რომელიც იცდის, ტელეფონში იყურება და თან სიგარეტს ეწევა. 10:34:10 სთ-ზე, „მ.-დან“ რამოდენიმე მეტრის მოშორებით, მარჯვენა მხარეს მდებარე ე.წ. არკიდან გამოდიან და კადრში ჩნდებიან ა. ა-ე და გ. ძ-ი, იქვე გზის სავალ ნაწილზე ჩერდებიან, 10:34:34 სთ-ზე მიდიან მსჯავრდებულ ნ. ა-ის მიმართულებით და ისე ჩაუვლიან, თითქოს არ იცნობენ ერთმანეთს, რის შემდეგაც ტრიალდება ნ. ა-ე და უკნიდან აყოლებს თვალს. ა. ა-ეს აცვია მოთეთრო ფერის, კუბოკრული ზედა და თავზე წამოფარებული აქვს კაპიუშონი, ხოლო გ. ძ-ს აცვია სპორტული შარვალი გვერდზე ზოლით და მოშავო ფერის ქურთუკი, თავზე ახურავს ქუდი. 10:38:57 სთ-ზე კადრში ზედა მარცხენა მხრიდან ჩნდება ნ. მ-ი, რომელიც ჩქარი ნაბიჯებით უახლოვდება ნ. ა-ეს, ართმევს ხელს და იწყებენ საუ-

ბარს. 10:39:19 სთ-ზე ა. ა- და გ. ძ-ი ნ. მ-სა და ნ.ა-ს ჩაუვლიან ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე, ოთხივე მათგანი მოძრაობას იწყებს ერთი მიმართულებით, 10:39:37 სთ-ზე ა. ა-ე და გ. ძ. ი ჩერდებიან და აკვირდებიან რა მიმართულებით მოძრაობენ ნ. მ-ი და ნ. ა-ე. 11:20:15 სთ-ზე ნ. ა-ე, ნ. მ-ი და დ-ი ს-ი, გ. გ-თან და მ. პ-თან ერთად შედიან „მ.“. 11:44:58 სთ-ზე ოპერატორი ნ. ა-ეს გადასცემს ფულად თანხას, რომელსაც იგი იღებს და მაშინვე ინახავს ქურთუკის შიგნით, გადაკიდებულ მცირე ზომის ხელჩანთაში, ტრიალდება ზურგით და მოძრაობას იწყებს გასასვლელისკენ, მას უკან მიჰყვება ნ. მ-ი, რამოდენიმე ნაბიჯში კი – დ. ს-ი. ისინი, 11:45:10 საათიდან ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ შპს „მ-ს“ ფილიალს, გადიან ქუჩაში და უხვევენ მარჯვნივ იქვე მდებარე ე.წ. არკისკენ. 11:45:35 სთ-ზე, კადრში ზედა მარცხენა კუთხიდან ჩნდებიან ა. ა-ე და გ. ძ-ი, რომლებიც ჩქარი ნაბიჯებით მიემართებიან იმ ადგილისაკენ, სადაც მანამდე შევიდნენ ნ. ა-ე, ნ. მ-ი და დ-ი ს-ი. რამდენიმე წამში „მ-დან“ გამოდიან მ. პ-ი და გ. გ-ი, რომლებიც დგანან საფეხმავლო ბილიკზე და იყურებიან ე.წ. არკისკენ. 11:46:46 სთ-ზე ე.წ. არკიდან გამორბის ნ. მ-ი, რომელიც იყურება უკან, მასთან ერთად გამორბიან ნ. ა-ე და ა. ა-ე. ნ.ა-ე მიემართება საავტომობილო გზისკენ, ნ. მ. ცდილობს დაიჭიროს ნ. ა-ე, თუმცა დაზარალებულს იჭერს (ქაჩავს) ა. ა., რის შემდეგაც ნ. მ-ი ვარდება ძირს, რომელსაც აკავებს ა. ა-ე, სწორედ ამ დროს ნ. ა-ე ჯდება ტაქსიში და ტოვებს შემთხვევის ადგილს. მათ სირბილით უახლოვდება გ. ძ-ი, რომელიც ერთვება ა. ა-ის ქმედებებში და ასევე ცდილობს დაზარალებულის შეჩერებას. ა. ა-ე ცდილობს შემთხვევის ადგილის დატოვებას, თუმცა ნ. მ-ი ფეხზე ექაჩება. მას შემდეგ, რაც ნ. მ-ი წამოდგება ფეხზე, კადრში ჩანს, რომ ა-ე მას მიმართავს ხელის მოქმედებით, რის შემდეგაც ნ. მ-ი მიემართება „რ-ს კე-ნ“, იქ სადაც დგანან მ. პ-ი და გ. გ-ი, ხოლო ა.ა-ე და გ. ძ-ი ერთად ტოვებენ შემთხვევის ადგილს.

5.18. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და ვიდეოკამერების დეტალური ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ა. ა-ე და გ. ძ-ი ნ. ა-ის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებისას, კერძოდ, ნ. ა-ის მიერ ნ. მ-ის კუთვნილი თანხის განაღდებას პროცესში იმყოფებიან მათთან ახლოს და აკვირდებიან მიმდინარე მოვლენებს, ასევე თანხის განაღდებამდე რამდენჯერმე ჩაუვლიან ნ. ა-ეს, რომელთანაც არ ამყარებენ კომუნიკაციას და იქცევიან როგორც უცხო პირები, რაც მიუთითებს მათ წინასწარ შეთანხმებაზე. ა. ა-ე და გ. ძ-ი ნ. ა-ის მიერ ქმედებების განხორციელების (თანხის განაღდებამდე) დაწყებამდე ცდილობენ კონტროლი არ დაკარგონ დაზარალებულზე და ნ. ა-ეზე,

თანაც იმგვარად, რომ შეუმჩნეველნი დარჩნენ დაზარალებულისთვის. მათ მიერ შემთხვევის ადგილის კონტროლზე და დანაშაულებრივი ქმედების წინასწარ შეცნობაზე ასევე მიუთითებს, ის, რომ ნ. ა.ის და ნ- მ-ის მიერ „მ-ს“ შენობის დატოვებიდან დაახლოებით 25 წამში, კადრში ჩნდებიან ა ა-ე და გ. ძ-ი, რომლებიც ჩქარი ნაბიჯით შედიან ე.წ. არკაში, სადაც დაზარალებული და ნ. ა-ე იმყოფებიან. კვლავ იქცევიან ისე, თითქოს არ იცნობენ ნ. ა-ეს და ფსიქოლოგიური ზეწოლით (მათ მიერ დასმული კითხვით) ცდილობენ დათრგუნონ დაზარალებულის წინააღმდეგობა. მას შემდეგ, კი რაც ნ. მ-ი და ნ. ა-ე სირბილით ტოვებენ ე.წ. არკას, მათ, კვალდაკვალ მიჰყვებიან ა. ა-ე და გ. ძ-ი, რომლებიც ამჯერად ფიზიკური ძალის გამოყენებით აკავებენ ნ. მ-ს, რითაც ნ. ა-ეს საშუალებას აძლევენ დატოვოს შემთხვევის ადგილი. შესაბამისად, ვიდეოკამერების დეტალური ანალიზით და მსჯავრდებულების მიერ განხორციელებული მოქმედებების ერთობლივად შეფასების შედეგად, გამოკვეთილია მსჯავრდებულთა განზრახვა (დაუფლებოდნენ ნ. მ-ის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხას), რომელიც ერთობლივი ქმედებით მოიყვანეს სისრულეში.

5.19. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ა. ა-ისა და გ. ძ-ის მხრიდან ნ. ა-ის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების წინასწარი შეცნობისა და მასში მონაწილეობის ნებელობა.

5.20. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჯგუფური დანაშაულის დეფინიციას მოიცავს საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლი, კერძოდ: ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

5.21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულის ჩადენამდე დროის ხანგრძლივი პერიოდი, მთავარია შეთანხმება არსებობდეს ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე, რაც უნდა დადასტურდეს საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით. შეთანხმება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც სიტყვიერი ფორმით ასევე არავერბალური ფორმითაც, კერძოდ, გამოიხატოს ჟესტებით და მიმიკებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩენი საქმეზე №618აპ-15).

5.22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამსრულებლის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის დროს, შეიძლება გაჩნდეს კითხვები სხვა პირების განზრახვასთან მიმართებით, მით უფრო მაშინ, როდესაც თანამსრულებლები დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისას ერთვებიან, ისე, რომ კომუნიკაციას არ ამყარებენ ერთმანეთთან. სწორედ ამ დროს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეს დამატებითი ნიშანი უნდა შეფასდეს უმართლობის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ დანაშაულში თანამსრულებლობის ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, დანაშაულის ამსრულებლები ერთობლივად და უშუალოდ მონაწილეობდნენ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში. ამასთან, შესაძლებელია განსხვავებული იყოს ამსრულებელთა როლი და მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ელემენტის რეალიზებისას, თუმცა გადამწყვეტია, რომ თითოეული სუბიექტის მიერ შესრულებული ქმედება (მოქმედება თუ უმოქმედობა) განაპირობებდეს დანაშავეთა ერთიანი განზრახვის სისრულეში მოყვანას. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძარცვის ობიექტური შემადგენლობა მოიცავს სხვისი საკუთრების დაუფლების აშკარა ხერხს, რაც შესაძლებელია გამოიხატოს, როგორც ძალადობაში, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ისე დაზარალებულის ნებაზე ზემოქმედების ისეთ აშკარა ფორმებში, როგორიცაა სიტყვიერი დაშინება, მუქარა და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად ობიექტური დამკვირვებლისათვის აშკარა და ნათელია ის გარემოებები, რომ ნ. ა-ემ, ა. ა-ემ და გ-მა ერთდროულად და უშუალოდ დაიწყეს ძარცვის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების განხორციელება, რა დროსაც მათ აშკარად გამოიყენეს ძარცვისათვის დამახასიათებელი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ხერხი, ასევე აქტიურად მოქმედებდნენ – დაზარალებულის წინააღმდეგობისა და ნების იმნუთიერი დათრგუნვის მიზნით. გარდა დაზარალებულ ნ. მ-ისა და მოწმე დ-ი ს-ის ჩვენებებისა, ვიდეოკამერების ჩანაწერებით ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ დანაშაულის ჩადენისას ნ. ა-ე მარტო არ მოქმედებდა და ა. ა-ე და გ. ძ-ი, თავის მხრივ, ჯერ ფსიქოლოგიური ზეწოლის, ხოლო შემდეგ ფიზიკური ძალის გამოყენებით აქტიურად მონაწილეობდნენ ნ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობის თანხის აშკარად დასაუფლებლად. ამდენად, ვინაიდან ისინი მოქმედებდნენ საერთო მიზნითა და განზრახვით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ა-ისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ა. ა-ისა და გ. ძ-ის მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა, სამივე მათგანს

ასევე უნდა შეერაცხოთ მაკვალიფიცირებელი გარემოება – ქმედების ჩადენა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

5.23. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ ქვედა ინსტანციის სასამართლოებში დაცვის მხარის მიერ განვითარებულ ვერსიას, რომ ა. ა-ე და გ. ძ-ი არ იყვნენ წინასწარ შეთანხმებულნი, შემთხვევით გადაადგილდებოდნენ დანაშაულის ადგილზე და ე.ნ. არკაში უბრალოდ შეჰყვნენ ნ. ა-ეს (ძმას და მეგობარს), ამ შემთხვევაშიც, არ გამოირიცხება მათი ქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ვინაიდან ისინი, ნ. ა-ეს შეუერთდნენ, მაშინ როდესაც დაზარალებული მას სთხოვდა კუთვნილი ფულის გადაცემას. ფაქტობრივად, ძარცვის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე და ვინაიდან, თითოეულმა მათგანმა თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო ნ. ა-ის ქმედებას, ისინიც გახდნენ ამ დანაშაულის თანაამსრულებლები. ამავე გარემოებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მსჯავრდებულებმა შეთანხმებული ქმედებები შეწყვიტეს ნ. მ-ის კუთვნილი ფულადი თანხის ნ. ა-ის მიერ დაუფლების/განკარგვის შესაძლებლობისთანავე და ერთდროულად დატოვეს შემთხვევის ადგილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსათვის ცხადია, რომ მსჯავრდებულთა ქმედებები მიმართული იყო ერთობლივი – შეთანხმებული მიზნის მისაღწევად, რადგან დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული აშკარა ხერხის შინაარსობრივი თანხვედრის ხარისხი და ამსრულებელთა შორის როლების ურთიერთგანანილება მიანიშნებს არა შეუთანხმებელ, უეცრად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოცენებულ დანაშაულებრივ განზრახვებს, არამედ წინასწარ შეთანხმებული ერთიანი მიზნის და განზრახვის არსებობას.

5.24. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ა-ემ და გ. ძ-მა პასუხი უნდა აგონ მათ მიერ ნ. ა-ესთან ერთად განხორციელებული ქმედებებისთვის, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე წარმოადგენს ძარცვას, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ჩადენილს დიდი ოდენობით და ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რისთვისაც ა. ა., ნ. ა-ე და გ. ძ. ცნობილ უნდა იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

5.25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია ადვოკატ ლ. ნ-ის მტკიცება, თითქოსდა ნ. ა-ეს დაზარალებულის მოტყუების განზრახვა ამოძრავებდა, ფულადი თანხა მის გამ-

გებლობაში იყო, რაც მსჯავრდებულის მიერ თაღლითობის ჩადენას ადასტურებს და გამორიცხავს სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების ფაქტს.

5.26. საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ დაზარალებულმა ნებაყოფლობით ჩაარიცხინა ფულადი თანხა ნ. ა-ის სახელზე. მსჯავრდებული დაპირდა, რომ 50 ლარის სანაცვლოდ მას გაუნაღდებდა ფულად თანხას, რომელსაც გადასცემდა, რაც არ განუხორციელებია. აღნიშნული ქმედებები ერთი მხრივ მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ნ. ა-ე მოტყუებით დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა სახეზეა ძარცვის შემადგენლობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.27. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა ნ. ა-ს სახელზე დიდი ოდენობით თანხა ჩაარიცხინა მხოლოდ აღნიშნული თანხის განაღდების სურვილით. ფულადი თანხა ნ. ა-ის კანონიერ მფლობელობაში და გამგებლობაში აღმოჩნდა დროებით. განაღდებისთანავე დაზარალებულმა მოსთხოვა თანხა, თუმცა მსჯავრდებულმა არ შეასრულა დანაპირები და უხმოდ დატოვა შენობა. ნ. მ-ი უკან გაჰყვა მას და კვლავ მოსთხოვა ფულის დაბრუნება, რის შემდეგაც თანამსრულებლები ჯერ ძალადობის გამოყენების მუქარით, ხოლო შემდგომ განხორციელებული ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, აშკარად დაეუფლნენ ნ. მ-ის დიდი ოდენობით ფულად თანხას, რაც მიუთითებს დანაშაულის აშკარა ხასიათზე და გამორიცხავს ნ. ა-ის მხრიდან თაღლითობის ჩადენას.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ა., ა. ა-ე და გ. ძ-ი ცნობილ უნდა იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

6.2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, რა დროსაც სასამართლო შებოჭილია ვალდებულებით მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტური და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.3. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შესაბამეა მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს, ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.4. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნები, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

6.5. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაცქცევა ქმედების შემდეგ.

6.6. სასჯელის დანიშვნისას საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მსჯავრდებულების პირად და ეკონომიკურ პირობებს, მათ ასაკს, ქმედების ჩადენის ანგარებით მოტივს, მათ ქმედებებში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს (ქმედების ჩადენა ხალხმრავალ ადგილას), ასევე იმ გარემოებას, რომ დაზარალებულს აუნაზღაურდა მიყენებული ზიანი, შესაბამისად, ნ. ა-ეს და გ. ძ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროთ მსჯავრდებულს დასაშაულის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური ზომა – 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ა. ა-ემ აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა განზრახი დანაშაულისთვის შეფარდებული პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან გამოყენებულ-

მა შეღავათმა ვერ იქონია სათანადო გავლენა და ვერ განმსჭვალა ის მართლწესრიგის დაცვისაკენ, ამდენად ა. ა-ის მიმართ სახეზეა საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით რეციდივის გათვალისწინების საფუძველი, რის გამოც მას სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც თანაზომიერი და პროპორციულია მსჯავრდებულთა ქმედებების ხასიათსა და საშიშროებასთან, ასევე უზრუნველყოფს მომავალში საზოგადოებაში მათი უსაფრთხო რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნების მიღწევას.

6.7. ამასთანავე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან ა. ა-ის მიერ მისთვის შერაცხილი განზრახი დანაშაული ჩადენილი იქნა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უნდა გაუქმდეს მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გათვალისწინებით, რა დროსაც ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქმას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ნ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებზე;

5. ნ. ა-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. ნ.ა-ეს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2023 წლის 1 თებერვლიდან;

7. გ. ძ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებზე;

8. გ. ძ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

9. გ. ძ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავებიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 24 ივლისის ჩათვლით;

10. ა. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებზე;

11. ა. ა-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

12. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 ივლისის განაჩენით ა. ა-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი;

13. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქმას წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 ივლისის განაჩენით დანიშნული ძირითადი და დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ა. ა-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

14. ა. ა-ეს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავებიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 24 ივლისის ჩათვლით;

15. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადანაცვალეს საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

ნ. მისაგან ამოღებული ტანსაცმელი, ერთი 1 აშშ დოლარიანი კუპიურა, ერთი 5 აშშ დოლარიანი კუპიურა, ერთი 10 აშშ დოლარიანი კუპიურა, ნ. ა-ის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული კუბოკრული ზედა, გ. ძ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული ქურთუკი, ა. ა-ისგან ამოღებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირს;

დისკები – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

16. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

17. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანამდებოვის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სავალდებულო დამატებით სასჯელად განსაზღვრავს

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№814აპ-23

17 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

შ. თადუმაძე (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთევან სონიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენით, ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი, სასჯე-

ლის ნაწილში გამოყენებული ჯარიმის თავისუფლების აღკვეთით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, თუმცა შეიცვალა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი. ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ) 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი, ნაცვლად – 2000 ლარისა.

1.2. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ა. გ-მა ჩაიდინა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როდესაც ეს ნივთი მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. კერძოდ, 2020 წლის 16 მარტს ქ. რ-ი, შპს „ს-ო კ-სა“ და გ. ჟ-ს შორის დაიდო ლიზინგის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. ლიზინგის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „ტოიოტა ქამრის“ ფირმის ა/მანქანა (სახ. ნომრით: „...“). კ-მ გ, ჟ-ს ჩაურიცხა 9500 ლარი, რაც გ, ჟ-მა იმ დღესვე გაანაღდა. სალიზინგო ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს გ. ჟ-ი, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ა/მანქანა მიიღო სპეციალური დათქმის მხარემ – ა. გ-მა, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული ა/მანქანით. 2020 წლის ზაფხულში, გამოძიებით დაუდგენელ დროს, ა. გ-მა გ-ის რაიონის სოფელ კ-ში მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, ნაწილებად დაშალა და გაასხვისა სხენებული ა/მანქანა, რითაც შპს „ს-ო კ-ს“ 9500 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა.

2. საკასაციო საჩივრები:

2.1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა – ქეთევან სონიძემ – საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

3. კასატორის არგუმენტები:

3.1. ბრალდების მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მსუბუქი და ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევას. პროკურორის მოსაზრებით, აღნიშნული მუხლით მსჯავრდების შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა და ის რისკი, რაც მსგავსი დანაშაულებისადმი სასამართლოს ლოიალურმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს.

4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

4.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარე სადავოდ არ ხდის გასაჩივრებულ განაჩენს ა. გ-ის მსჯავრდების ნაწილში, თუმცა ითხოვს სასჯელის დამძიმებას. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე დაცვის მხარეს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

4.2. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთევან სონიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.3. ჩადენილი დანაშაულისთვის ა. გ-ის მიმართ გამოყენებული სასჯელის სამართლიანობის კონტექსტში შემონმებამდე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას სასჯელის მიზნებზე გაამახვილებს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“. გარდა ამისა, სასჯელის მიზანია დანაშაულის პრევენცია, როგორც სპეციალური, ისე ზოგადი, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს დამნაშავისთვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას, რადგან საკუთარ თავზე დანაშაულის სამართლებრივი შედეგების განცდა, გამაფრთხილებელ ზეგავლენას მოახდენს მის სამომავლო ქცევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ქმედებისთვის პირის დასჯის დემონსტრირებას ექნება შემაკავებელი ეფექტი, დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველის მიმართ.

4.4. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი ისჯება: „ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“.

4.5. საკასაციო პალატის შეფასებით, ა. გ-ისთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი – ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით – იმ პირობებში, რომ ბრალდებულმა საწყის ეტაპზევე აღიარა ჩადენილი დანაშაული და უდავოდ მიიჩნია მტკიცებულებები (აღნიშნული ქმედებით დაიზოგა სასამართლოს რესურსი და ხელი შეეწყო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას), ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან, საზოგადოებრივ საშიშროებასთან და დანაშაულის შედეგად გამოწვეულ ზიანთან მიმართებით პროპორციულია, აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, შეესაბამება ახალი დანაშაულის თავიდან აცი-

ლების და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნებს. საგულისხმოა, რომ დაკისრებული სასჯელისგან დამოუკიდებლად, დაზარალებულს აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა.

4.6. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სავალდებულო დამატებით სასჯელად განსაზღვრავს. მიუხედავად ნორმის იმპერატიული ხასიათისა, სააპელაციო სასამართლოს ა. გ-ისთვის არ აქვს აღნიშნული სასჯელი დანიშნული. ამ მოცემულობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი სასჯელის დამძიმების მოთხოვნით არის წარმოდგენილი და პროკურორის ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში, საკასაციო სასამართლო ა. გ-ს დამატებით სასჯელად დაუნიშნავს სამეწარმეო საზოგადოებაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირად საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.

4.7. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულისთვის ზიანის აუნაზღაურებლობის და მისი თანხმობის არარსებობის გამო, ა. გ-ის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთევან სონიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივნისის განაჩენი შეიცვალოს;

3. ა. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 3 500 ლარის ოდენობით;

4. ა. გ-ს, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს სამეწარმეო საზოგადოებაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირად საქმიანო-

ბის უფლების ჩამორთმევა 2 წლის ვადით;

5. ა. გ-ს დამატებითი სასჯელის ვადა აეთვალოს სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

6. ჯარიმის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდაზე კონტროლი დაევალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

7. დამატებითი სასჯელის აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურომ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

8. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენაში დახმარება

განაჩენი საქართველოს სახელით

№817აპ-23

18 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16
მაისის განაჩენზე მსჯავრდებულ ს. გ-ს, – დაბადებულის 19.. წლის
11 დეკემბერს, – ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ხ-ს საკა-
საციო საჩივარი.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის განაჩენი საკასაციო წესით
გაასაჩივრა მსჯავრდებულ ს. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვო-
კატმა ხ. ხ-მ, რომელიც ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქ-
მებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას,
ვინაიდან მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქ-
მეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად და-
უდო ს. გ-ს მსჯავრდებას. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღე-
ბისას გაითვალისწინა კანონის უხეში დარღვევით მოპოვებული
მტკიცებულებები – საქმის შედეგით დაინტერესებული პოლიციე-
ლების ურთიერთსაინააღმდეგო ჩვენებები; მათივე მონაწილეო-
ბით შედგენილი ჩხრეკის ოქმები; ექსპერტიზის დასკვნები და ფა-
რული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასა-
ლები – რომლებიც დაუშვებელია და არ შეიძლება საფუძვლად და-
ედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ს. გ-ს ბრა-
ლად დაედო: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახ-
ვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება (3 ეპიზოდი),
რაც გამოიხატა შემდეგით:

2.1. ს. გ-მ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და მ. გ-ს უკანონოდ მია-
სალა 0,0833 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც 2022
წლის 27 მაისს ... მიმდებარე ტერიტორიაზე ამოიღეს მ. გ-სგან შს
სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენ-
ტის თანამშრომლებმა.

2.2. ს. გ-მ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და მ. გ-ს უკანონოდ მია-
სალა 0,0567 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც 2022
წლის 30 მაისს ქ... მიმდებარე ტერიტორიაზე ამოიღეს მ. გ-სგან შს
სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენ-
ტის თანამშრომლებმა.

2.3. ს. გ-მ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და მ. გ-ს უკანონოდ მია-
სალა 0,1211 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც 2022
წლის 2 ივნისს ... მიმდებარე ტერიტორიაზე ამოიღეს მ. გ-სგან შს
სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენ-
ტის თანამშრომლებმა.

3. ს. გ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (3 ეპი-
ზოდი).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით ს. გ. ცნობილ
იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის
27 მაისის ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქარ-
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი
და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 30 მაისის ეპიზოდი) – 10 წლით თავ-
ისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-
სის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 2 ივნის-
ის ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძ-
ველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხ-
ლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდი)
შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქა სხვა თანაბარი სასჯელები და,
საბოლოოდ, ს. გ-ს მიესაჯა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა,
რაც აეთვალა 2022 წლის 14 ივნისიდან. მასვე, „ნარკოტიკული და-
ნაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერ-
თვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო
წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ს. გ-ს ინტერესების დამცველმა,
ადვოკატმა ხ. ხ-მ, რომელიც ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩე-

ნის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. მოცემულ შემთხვევაში ს. გ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები (გარდა მონმეების: ო. ჩ.-ს, გ. თ.-ს, ა. გ.-სა და გ. მ.-ს ჩვენებებისა) მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება (როგორც მხარეების მიერ უშუალოდ გამოკვლეული, ასევე – გამოკვლევის გარეშე მიღებული) უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

4. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე ს. გ.-ს ედავება, რომ 2022 წლის 27 მაისს, 2022 წლის 30 მაისსა და 2022 წლის 2 ივნისს უკანონოდ შეიძინა, შეინახა და მ. გ.-ს უკანონოდ მიასალა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ამდენად,

საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ბრალდების მხარის სამხილები და ბრალად შერაცხილ თითოეულ დანაშაულებრივ ეპიზოდთან მიმართებით გადაწყვიტოს, რამდენად ქმნის წარმოდგენილი (როგორც სასამართლოზე გამოკვლეული, ასევე – გამოკვლევის გარეშე მიღებული) მტკიცებულებების ერთობლიობა ს. გ-ს წარდგენილი კვალიფიკაციებით მსჯავრდების გონივრულ ეჭვს მიღმა საფუძველს.

5. 2022 წლის 27 მაისს ს. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვისა და გასაღების ბრალდების დასადასტურებლად ბრალდების მხარემ სასამართლოში წარმოადგინა:

6. მ. გ-ს 2022 წლის 27 მაისის განცხადება, რომლის თანახმად, თბილისში, სანაპიროში მცხოვრები ს. გ. ეწევა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონო რეალიზაციას, კერძოდ, ერთ შეკვრას, ოდენობის გათვალისწინებით, ყიდის 100-800 ლარამდე;

7. მოწმე მ. გ-ს 2022 წლის 27 მაისის გამოკითხვის ოქმი, რომლის მიხედვით, გამოკითხვის წინა დღეს, იგი შეხვდა ს. გ-ს, რომელმაც იცოდა წარსულში მისი ნარკოდამოკიდებულების შესახებ და შესთავაზა, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ ერთი ე.წ. „წონაკის“ 100-დან 800 ლარამდე ფასად შეძენა. ისინი შეთანხმდნენ, რომ მომდევნო დღეს იგი მივიდოდა ს. გ-ს უბანში, სადაც მსჯავრდებული მიჰყიდდა მას ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ ერთ ე.წ. „წონაკს“ 200 ლარად. დამნაშავის მხილების მიზნით, მიმართა სამართალდამცავებს. ამასთან, აღნიშნა, რომ ს. გ. არის ფრთხილი, შესაძლოა, პირველი შეხვედრის დროს შეემონებინა იგი, რის გამოც, ნარკოტიკულ საშუალებას შეიძენდა ფარული აუდიო-ვიდეოჩამწერი აღჭურვილობის გარეშე;

8. 2022 წლის 27 მაისის თანხის გადაცემისა და დათვალიერების ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ გამომძიებელმა თ. დ-მ მ. გ-ს საკონტროლო შესყიდვის მიზნით, გადასცა 300 ლარი;

9. მოწმე მ. გ-ს 2022 წლის 27 მაისის გამოკითხვის ოქმი, რომლის მიხედვით, 2022 წლის 26 მაისს ს. გ-ს შეუთანხმდა, მომდევნო დღეს გლდანში, პოლიციის აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვედრის თაობაზე, სადაც ს. გ. 300 ლარად გადასცემდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. შეხვედრისას იგი არ აღჭურვილა ფარული აუდიო-ვიდეოჩამწერი მოწყობილობით, რადგან ს. გ. ფრთხილობდა და, შესაძლოა, შეემონებინა იგი. დათქმულ ადგილას ს. გ-ს გადასცა ოპერატიული თანხა – 300 ლარი, რაც მსჯავრდებულმა გადაითვალა და უთხრა, რომ დაახლოებით, 40 წუთში დაბრუნდებოდა და მიუტანდა ნარკოტიკულ საშუალებას. დაახლოებით, 30 წუთში ს. გ-მ იმავე ადგილას შეხვედრისას, გადასცა მას რვეულის ფურცელში გახვეული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც

მან წარუდგინა გამომძიებელს;

10. 2022 წლის 27 მაისის ამოლების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ მ. გ-ს, 2022 წლის 27 მაისს, 15:05-15:20 საათზე, ... მიმდებარედ, გამომძიებელმა, თ. დ-მ, ამოულო უჯრებიან ქალაქში გახვეული ფხვიერი ნივთიერება, რომელიც, თავის მხრივ, მ. გ-ს გადასცა ს. გ-მ;

11. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2022 წლის 28 მაისის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ მ. გ-სგან ამოღებული ნივთიერება შეიცავს 0,0833 გრამ ნარკოტიკულ საშუალებს „ჰეროინს“.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: გამომდინარე იქიდან, რომ 2022 წლის 27 მაისის დანაშაულებრივ ეპიზოდთან მიმართებით, არ ჩატარებულა და, შესაბამისად, სასამართლოშიც არ ყოფილა წარმოდგენილი ს. გ-სა და მ. გ-ს შეხვედრების ამსახველი ფარული ვიდეო ან/და აუდიოჩანაწერები, რაც, სულ მცირე, მ. გ-სა და ს. გ-ს კომუნიკაციის არსებობას მაინც დაადასტურებდა ბრალად შერაცხილი ქმედების ჩადენის დროს და იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 14 ივნისს ს. გ-სგან ნებაყოფლობით აიღეს ნერწყვის ნიმუში და 2022 წლის 17 ივნისის დადგენილებით, ნარკოტიკული საშუალების შესაფუთ მასალაზე ადამიანის შესაძლო ბიოლოგიური კვალის აღმოსაჩენად დაინიშნა ბიოლოგიური ექსპერტიზა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მ. გ-სგან ამოღებული ნარკოტიკულ საშუალებებთან ს. გ-ს კავშირის დასადგენად ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) კვლევის შედეგები განსახილველი საქმის მასალებში არ მოიპოვება, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, სასამართლოში წარმოდგენილი სამხილების უტყუარი და საკმარისი ერთობლიობით, ვერ დაადასტურა 2022 წლის 27 მაისს ს. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვისა და უკანონო გასაღების ფაქტი. მხოლოდ მონმე მ. გ-ს მტკიცება, რომ მისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება თანხის სანაცვლოდ შეიძინა ს. გ-სგან, რომელიც არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არცერთი სხვა დამოუკიდებელი, პირდაპირი მტკიცებულებით, ვერ გახდება ს. გ-ს მსჯავრდების უპირობო საფუძველი, რისი მხედველობაში მიღებითაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 27 მაისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში იგი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

13. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის – დაცვის მხარის – არგუმენტებს ს. გ-ს სრულად უდა-

ნაშაულობასთან მიმართებით და მიიჩნევს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარწმუნოდ დგინდება, რომ ს. გ-მ 2022 წლის 30 მაისს მ. გ-ს გადასცა 0,0567 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო 2022 წლის 2 ივნისს – 0,1211 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის საპირისპიროს მტკიცება არ გამომდინარეობს სასამართლოში წარმოდგენილი ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი სამხილების ერთობლიობიდან: მოწმე მ. გ-ს გამოკითხვების ოქმებიდან, მოწმეების – ო. ჩ-ს, გ. თ-ს, ა. გ-სა და გ. მ-ს ჩვენებებიდან, ფულადი თანხების გადაცემისა და დათვალიერების ოქმებიდან, 2022 წლის 30 მაისისა და 2022 წლის 2 ივნისის ნარკოტიკული საშუალებების ამოღების ოქმებიდან, 2022 წლის 31 მაისისა და 2022 წლის 6 ივნისის ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებიდან, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეორჩანანერებიდან და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიდან, რომლებიც, 2022 წლის 30 მაისისა და 2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდებთან მიმართებით, ქმნიან უტყუარ და საკმარის ერთობლიობას ს. გ-ს ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა დასადგენად.

14. ამდენად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ დროს – 2022 წლის 30 მაისსა და 2022 წლის 2 ივნისს – ს. გ-ს მიერ მ. გ-სათვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის ფაქტები, მაგრამ საკასაციო სასამართლოს პოზიცია განსხვავდება ბრალდების მხარის მიერ მსჯავრდებულის ქმედების – ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის – კვალიფიკაციასთან მიმართებით, რამეთუ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალებების მ. გ-სათვის გადაცემით, ს. გ-მ, ანაზღაურების სანაცვლოდ, გაასალა ისინი, ხოლო საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნარკოტიკული საშუალებების მ. გ-სათვის გადაცემის დროს მსჯავრდებულს მათი რეალიზაციის მიზანი არ ჰქონია, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს.

15. იმისათვის, რათა დამნაშავემ პასუხი აგოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, საკასაციო სასამართლო ვალდებულია მსჯავრდებულის ქმედებას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭოს, ხოლო იმის გამოსარკვევად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII – ნარკოტიკული დანაშაულის – თავით გათვალისწინებული, რომელი დანაშაულის შემადგენლობაა გამოკვეთილი ს. გ-ს ქმედებაში, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე გადაწყვეტს მსჯავრად შესარაცხი ქმედების სა-

კითხს.

16. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ს. გ-ს ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაში მსჯავრდებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ, ერთი მხრივ, ს. გ-მ 2022 წლის 29 მაისსა და 2022 წლის 2 ივნისს გამოართვა თანხები მ. გ-ს და, ორივე ჯერზე, მოგვიანებით, გადასცა მას ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო, მეორე მხრივ, მ. გ-მ გამოძიების დროს, გამოკითხვებისას დაადასტურა, რომ ს. გ-სათვის გადახდილი თანხების სანაცვლოდ, იძენდა მისგან ნარკოტიკულ საშუალებებს.

17. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასკვნა იმის თაობაზე, რომ ს. გ-მ უკანონოდ მიასალა ნარკოტიკული საშუალებები მ. გ-ს, არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

18. 2022 წლის 27 მაისის განცხადების შინაარსით ირკვევა, რომ მ. გ-მ მიმართა სამართალდამცავებს და აცნობა, რომ თბილისში, სანზონაში მცხოვრები ს. გ. ეწევა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონო რეალიზაციას, კერძოდ, ერთ შეკვრას, ოდენობის გათვალისწინებით, ყიდის 100-800 ლარამდე.

19. მოწმე მ. გ-ს 2022 წლის 30 მაისისა და 2022 წლის 3 ივნისის გამოკითხვის ოქმების თანახმად, 2022 წლის 29 მაისსა და 2022 წლის 2 ივნისს იგი დაუკავშირდა ს. გ-ს, რომელსაც შეუთანხმდა შეხვედრაზე, რათა შეეძინა მისგან ნარკოტიკული საშუალებები. 2022 წლის 29 მაისს ს. გ-ს შეხვდა ... მიმდებარედ, სადაც თავის ავტომანქანაში გადასცა ოპერატიული თანხა – 200 ლარი, ხოლო 2022 წლის 2 ივნისს სანზონაში, მუხრანის ქუჩაზე – 400 ლარი, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შესაძენად. 2022 წლის 29 მაისის შეხვედრისას ს. გ. დაჰპირდა, რომ ნარკოტიკს მალე მიუტანდა, თუმცა მოგვიანებით შეატყობინა, რომ შეხვედრას ვერ ახერხებდა. მომდევნო დილას, ვინაიდან მას დამატებით სურდა ნარკოტიკის შეძენა, ს. გ-ს მითითებულ ანგარიშზე, სწრაფი გადახდის აპარატით გადარიცხა ოპერატიული თანხა – 210 ლარი. 2022 წლის 30 მაისს ... მიმდებარე ტერიტორიაზე, შეხვდა ს. გ-ს, რომელმაც ავტომანქანაში გადასცა შპრიცი, მასში არსებული სითხით, რომელიც მოგვიანებით წარუდგინა გამოძიებელს. 2022 წლის 2 ივნისს ს. გ-ს შეხვდა ..., სადაც თანხის გადაცემის შემდეგ, მსჯავრდებული დაუკავშირდა და იმავე ქუჩაზე შეხვედრისას, ავტომანქანაში გადასცა მას ე.წ. „ფოლგის“ ქალაქში მოთავსებული ნივთიერება, რო-

მელიც ასევე წარუდგინა გამომძიებელს.

20. ფულადი თანხების გადაცემისა და დათვალიერების ოქმებით დგინდება, რომ გამომძიებელმა, თ. დ-მ, ს. გ-ს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვის მიზნით გადასცა: 2022 წლის 29 მაისს – 200 ლარი; 2022 წლის 30 მაისს – 210 ლარი, ხოლო 2022 წლის 2 ივნისს – 400 ლარი.

21. ფარული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ 2022 წლის 29 მაისს მ. გ-მ ს. გ-ს გადასცა თანხა; 2022 წლის 30 მაისს ს. გ-მ მ. გ-ს გადასცა საინექციო შპრიცში მოთავსებული ნივთიერება; 2022 წლის 2 ივნისს მ. გ-მ ს. გ-ს გადასცა თანხა, ხოლო იმავე დღეს, მოგვიანებით, ს. გ-მ – ე.წ. „ფოლგის“ ქალაქში შეხვეული ნივთიერება.

22. ამოღების ოქმების მიხედვით, მ. გ-ს, 2022 წლის 30 მაისს, 15:10-15:25 საათზე, მიმდებარედ, გამომძიებელმა, თ. დ-მ, ამოუღო საინექციო შპრიცი, მასში არსებული მოყავისფრო სითხით; 2022 წლის 2 ივნისს, 15:25-15:40 საათზე, ... მიმდებარედ – ე.წ. „ფოლგის“ ქალაქში მოთავსებული მოყავისფრო ნივთიერება, რომლებიც, თავის მხრივ, მ. გ-ს გადასცა ს. გ-მ.

23. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 30 მაისის №... და 2022 წლის 6 ივნისის №... ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება, რომ მ. გ-სგან 2022 წლის 30 მაისს ამოღებული ნივთიერება შეიცავს 0,0567 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ჰეროინს“, ხოლო 2022 წლის 2 ივნისს ამოღებული ნივთიერება – 0,1211 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას „ჰეროინს“.

24. ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მ. გ-მ 2022 წლის 29 მაისსა და 2022 წლის 2 ივნისს გამოართვა ს. გ-ს სხვადასხვა ოდენობის თანხა და, ყოველ ჯერზე, მოგვიანებით, გადასცა მას ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

25. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ქმნის ერთი პირის მიერ სხვა პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტი (ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მიზნების, ვითარებისა და იმ ურთიერთობების მხედველობაში მიღების გარეშე, რომელიც წინ უსწრებს ნარკოტიკების გადაცემას) „a priori“, მისი უკანონო გასაღების შემადგენლობას, სასამართლომ მოწმე მ. გ-ს გამოძიების დროს, გამოკითხვისას მიცემული განმარტებების კვალდაკვალ, საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი ფარული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალები, რომლებსაც, მათი ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეფასების დროს, უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვთ და რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია მ. გ-სა და ს. გ-ს

შორის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემამდე არსებული შეთანხმებისა და ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის პროცესში, მათ შორის არსებული კომუნიკაციის შინაარსის დასადგენად და, შესაბამისად, დავის საგნად ქცეული – ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის – საკითხის გადასაწყვეტად.

26. მოწმე მ. გ.-ს მტკიცების საპირისპიროდ, რომლის მიხედვით, ს. გ. ნარკორეალიზატორია და თანხის სანაცვლოდ არაერთხელ მისალა მას ნარკოტიკული საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალების შინაარსი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ცხადყოფს, რომ მ. გ.- ნარკოტიკულ საშუალებებს ს. გ.-საგან კი არ ყიდულობდა, არამედ – თავადაც ნარკოდამოკიდებული მსჯავრდებული (დაკავების შემდეგ ჩატარებული №... ნარკოლოგიური კვლევის შედეგად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების: „მეტადონისა“ და „ოპიუმის“ მოხმარების ფაქტი) ეხმარებოდა მას სხვა, გამომძიებით დაუდგენელი პირ(ებ)ისგან, ნარკოტიკული საშუალებების მოძიებასა და შეძენაში, კერძოდ:

27. 2022 წლის 29 მაისს შეხვედრისას, მ. გ. ს. გ.-ს ეუბნება: „ – ნორმალურად მოიტანენ, ძმობას გაფიცებ? ჰა?“, რაზეც ს. გ. პასუხობს: „ – ნორმალურად რას ნიშნავს?“. მ. გ. კვლავ ეკითხება: „ – ნორმალურს მოიტანენ-მეთქი?“, რაზეც ს. გ. პასუხობს: „ – გუშინდელზე ვრიცხავთ, კაცო. აი, მოუწერია იმას. 100 მეც უნდა გადავურიცხო“. თანხის გადაცემის შემდეგ ს. გ. მიმართავს მ. გ.-ს: „ – 5 ლარიც მომე“, რაზეც მ. გ. პასუხობს: „ – არ მაქვს, ბ...ის შვილი ვიყო. 200 ლარი მაქვს ზუსტად“. [...] ს. გ. განაგრძობს: „260 და ასლანს უნდა. დვესტი, ტრისტა...“. მ. გ.-: „ – დამირეკე, გელოდები, რაა.“ ს. გ.-: „ – დაგირეკავ და მოდი, მანქანით უნდა ვიმოძრაოთ. ოღონდაც, მარტო მოდი, რაა.“ მ. გ.: „მარტო მოვალ და შენც მარტო მოდი, არ მინდა ის რაა.“ ს. გ.-: „ – მარტო მოვალ, მე და შენ მოვგვარდეთ, მერე წაი.“ მ. გ.-: „კაი, კაი, დავაი“. ს. გ.-: „ – დავრიცხავ, ახლა მომცემენ“.

28. 2022 წლის 30 მაისს შეხვედრისას, ს. გ. მ. გ.-ს ავტომანქანაში გადასცემს საინექციო შპრიცს, რომელშიც მოთავსებულია მუქი სითხე, რომელიც დაათვალიერა მ. გ.-მ და მოათავსა ავტომანქანის სალონში.

29. 2022 წლის 2 ივნისს შეხვედრისას, მ. გ. ავტომანქანაში გადასცემს თანხას ს. გ.-ს, რაზეც ს. გ. ეუბნება: „ – აგერ, ათი. ჩაგერიცხა, ტო“. მ. გ. პასუხობს: „ – სად ჩამერიცხა, აქ ვიყავი ბარემ, ნაძალადევის მეტროსთან. ბ...ის შვილი ვიყო, გახსნილი არ მოიტანოს, ჩემი დედა მ...ნ“. ს. გ. ეუბნება: „ – არა, რა გახსნილი უნდა მოიტანოს ბიჭო?! არ ავიღებ, კაცო“. მ. გ. განაგრძობს: „ – ცუდი

რამე მოხდება, ბ...ის შვილი ვიყო“, რაზეც ს. გ. განაგრძობს: „ – არ ავიღებ, ბიჭო. კაროჩე, მოდი რა, ის რომ მეტყვის შემხვდით, მე უმანქანოდ ვარ, შევხვდეთ ერთად რაა“. მ. გ. ამბობს: „ – კაი, თუ მე მეცალა“ [...] ს. გ. განაგრძობს: „ – რალაცნაირად გამოდი, თუ მანქანა დავითრიე, ახლა „პიისიატს“ კ. და ბ. რიცხავენ. ბ-ს ეცალა. მაგისი „ვოლკით“ ვიქნები, თუ არადა, მოდი და შევხვდეთ“. მ. გ. მიმართავს: „ – შენ შენი გადაიყარე, კაცო!“, რაზეც ს. გ. პასუხობს: „ – არა, მე შენთან ერთად ვიქნები, ერთად ჩავყაროთ ჩვენი“. მ. გ. კვლავ დასძენს: „ – შენ შენი გადაიყარე, ძმაო. შენ შენი გადაიყარე, მე შემინახე, რაც მეკუთვნის.“

30. იმავე დღეს, მოგვიანებით შეხვედრისას ს. გ. ავტომანქანის სალონში დებს მუჭში მოთავსებულ ე.წ. „ფოლგის“ შეფუთვას, რაზეც მ. გ. ეუბნება: „ – მანახე, აბა როგორია?“ და ხელში იღებს, ხოლო ს. გ. პასუხობს: „ – ა, ამაში იყო, ძმა. ა, რა დავიტოვე, ძმა, ჩემთვის“, მარჯვენა ჯიბიდან იღებს პატარა შეფუთვას, რომლის გახსნასაც ცდილობს. [...] ს. გ. განაგრძობს: „ეს მეყოფა, შენ რა გითხარი? ორი პრაპან?“ მ. გ.: „ – ეს რანაირია?!“ რა დროსაც ორივე ცდილობს რალაცის გახსნას და ნახვას. ს. გ.: „ – კაი, ვსო, არ გინდა რა. სხვისია ახლა შენთანაც“. მ. გ.: „ – კაი“. ს. გ. განაგრძობს: „ – დავაი, მჟავა უქენი ცოტა მეტიო და რა ვიცი. გაახსნევიან რა კარგად. დაადე ერთი.“ ორივე ყოფს თითს შეფუთვაში და ილოკავს, რის შემდეგაც ს. გ. დასძენს: „ – აუფ, შხამია ბიჭო“, მ. გ.-ც აღნიშნავს: „ – აუ, რა მწარეა!“ ს. გ.: „ – ხო იცი, მწარე უნდა იყოს კარგი ნამალი“.

31. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ მოიპოვება ს. გ.-სა და მ. გ.-ს თავდაპირველი შეხვედრის ჩანაწერი და არც მათი სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი მასალები, რაც, ცხადია, მეტ ნათელს მოჰფენდა მათ შორის შეთანხმების პირობებს და, შესაბამისად, სადავოდ გამხდარ საკითხს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული 2022 წლის 29, 30 მაისისა და 2 ივნისის აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით ცალსახად დასტურდება, რომ მ. გ.-ს მიერ გადაცემული თანხებით, ს. გ. ცდილობდა მისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა ხერხებით (მათ შორის – დისტანციურად ფულის გადარიცხვითა თუ უშუალო კავშირებით) მოეძიებინა და შეეძინა ნარკოტიკული საშუალებები როგორც თავისთვის, ასევე – მ. გ.-სა და, გამოძიებით დაუდგენელი, სხვა პირებისათვის. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ გამოძიების მიერ არ გამოკვეთილა რეალური მოტივი, რატომ შუამავლობდა ს. გ. მ. გ.-ს ნარკოტიკული საშუალებების შეძენის პროცესში და, კონკრეტულად, რაში გამოიხატებოდა მისი ინტერესი.

32. იმ პირობებში, როდესაც, გარდა მ. გ-ს გამოკითხვის ოქმისა, საქმეში წარმოდენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ს. გ-ს მიერ მ. გ-სათვის გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნარკოტიკულ საშუალებების მიყიდვის ფაქტი; მეტიც, მ. გ-ს მტკიცების საპირისპიროდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შინაარსის მხედველობაში მიღებით, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მ. გ-სათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ს. გ. ნარკოტიკების რეალიზატორი არ ყოფილა, არამედ – ეხმარებოდა მას ნარკოტიკული საშუალებების მისთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან შეძენაში (ითვალისწინებდა მის ინტერესს ნარკოტიკების სხვა მომხმარებლებთან ერთობლივად შეძენის დროს; უთანხმებდა შეძენის პირობებს; ერთობლივად ამონმებდნენ შეძენილის ხარისხსა და რაოდენობას და ა.შ.), საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ს. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღებაში დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მ. გ-ს თანხებით შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების მისთვის გადაცემით ს. გ-მ 2022 წლის 30 მაისსა და 2022 წლის 2 ივნისს ჩაიდინა – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი).

33. საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რომელმაც უკვე არაერთხელ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების გადაცემა ავტომატურად არ ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებას და, რომ, ნარკოტიკული საშუალების ხელიდან ხელში გადაცემა არ გამოირიცხავს – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას (იხ.: *mutatis mutandis* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განაჩენი საქმეზე №844აპ-22, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 8).

34. ამრიგად, ვინაიდან უტყუარად არ დასტურდება ს. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღება, არამედ მის ქმედებაში გამოკვეთილია – ნარკოტიკული საშუალებების შეძენაში დახმარება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 30 მაისისა და 2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდები) წარდგენილ ბრალდებებში ს. გ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 30 მაისისა და 2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდები) წარდგენილი

ბრალდებები უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2022 წლის 30 მაისისა და 2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდები), რომელთა ჩადენისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

35. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლისთვისაც მსჯავრი უნდა დაედოს ს. გ-ს ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

36. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

37. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (ბრალდების მხარის მტკიცებულებების ნაწილი გახდა უდავოდ, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას) და დამამძიმებელი (დანაშაულთა სიმრავლე, რაც წარმოადგენს ჩადენილი ქმედების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მის საშიშ-

როებას ზრდის) გარემოებებისა და ბრუნვაში უკანონოდ მოხვედრილი ნარკოტიკული საშუალების სახეობის („ჰეროინი“ შეტანილია ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაში) მხედველობაში მიღებით, მიაჩნია, რომ ს. გ-ს უნდა მიესაჯოს – 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ს. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ხ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლითა და 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ს. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ხ-ს, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის განაჩენი;

3. ს. გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 27 მაისის ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილითა (2022 წლის 30 მაისის ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. ს. გ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 30 მაისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ს. გ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდი)

წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 30 მაისის ეპიზოდი) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქმეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 2 ივნისის ეპიზოდი) შეფარდებული თანაბარი სასჯელი და, საბოლოოდ, ს. გ-ს მიესაჯოს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალოს 2022 წლის 14 ივნისიდან;

7. ს. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიკის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ჩამოერთვას – 10 წლით, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება – 5 წლით;

8. საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებებად ცნობილი:

- ნარკოტიკული ნივთიერებები, ნარკოტიკული საშუალებების შესაფუთი მასალა და ს. გ-საგან აღებული ნერწყვის ნიმუში – განადგურდეს;
- ლაზერული დისკები – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;
- „სონის“ ფირმის მობილური ტელეფონი – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

**წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა
საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ;
პოლიციულზე თავდასხმა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 1086აპ-23

30 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავეის რაიონული პროკურატურის პროკურორის ლაშა მერაბიშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. გ. ტ-ეს ბრალად ედება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა; პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით; პოლიციულზე თავდასხმა პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩინდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2021 წლის 23 დეკემბერს, დაახლოებით 20:35 საათზე, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით განმსჭვალული გ. ტ-ე, რადგან ყოფილ მეუღლეს თვლიდა საკუთრებად და ვალდებულად, რომ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ კვლავ მასთან ეცხოვრა, მივიდა ქალაქ რ-ში, მ. მიკრორაიონის №...-ში მდებარე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის ნ. მ-ს საცხოვრებელი ბინის კართან, დაიწყო კარზე ბრახუნი და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფონზე მოსთხოვა ბინაში შეშვება, რითაც მან არ შეასრულა 2021

წლის 23 დეკემბერს გამოცემული №... შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულება არ მიახლოებოდა იმ სახლს, სადაც მსხვერპლი – ნ. მ. ცხოვრობდა.

2021 წლის 23 დეკემბერს, დაახლოებით 21:50 საათზე, ქალაქ რ-ში, მ- მიკრორაიონის №... კორპუსის მიმდებარედ, გ. ტ-ემ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს პირველი განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ს. თ-ს, რომელიც მონაწილეობას იღებდა მისი ბრალდებულის სახით დაკავებაში, გაუწია წინააღმდეგობა, კერძოდ, იმ მიზნით, რომ ს. თ-ს მისთვის გაეშვა ხელი და არ დაეკავებინა, მუშტი დაარტყა სახის მარცხენა ნაწილში. აღნიშნული ქმედებით ს. თ-მა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2021 წლის 24 დეკემბერს, დაახლოებით 03:30 საათზე, ქალაქ რ-ში, ფ-ს ქუჩა №...-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების რ-ს განყოფილების იზოლატორის №... საკანში გ. ტ-ე თავს დაესხა ამავე იზოლატორის უმცროს ინსპექტორს, პოლიციელ ა. თ-ს, რომელიც დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შინაგანსის დაცვის მოთხოვნით, მოუწოდებდა მას შეენწყვიტა საკანიდან გინება და ლანძღვა, საკნის კარზე ნიხლების დარტყმა, ასევე არ მიეყენებინა თვითდაზიანება. თავდაპირველად, გ. ტ-ემ საკანში შესულ ა. თ-ს რამდენჯერმე მოუქნია მუშტები, შემდეგ კი სვითერსა და პერანგზე ძლიერად ჩამოქაჩა, რა დროსაც ა. თ-მა კისრის მიდამოში განიცადა ფიზიკური ტკივილი, დაუზიანდა მითითებული ტანსაცმელი. გ. ტ-ე ასევე შეეცადა, რომ დაეზიანებინა ა. თ-ის შარვალი და წაექცია იგი, რისი საშუალებაც არ მისცეს ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების რ-ის განყოფილების იზოლატორის თანამშრომლებმა და დაადეს ხელბორკილი.

2021 წლის 24 დეკემბერს, დაახლოებით 03:30 საათზე, ქალაქ რ-ში, ფ-ს ქუჩა №...-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების რ-ს განყოფილების იზოლატორის №... საკანში, გ. ტ-ემ, რომელსაც დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შინაგანსის დარღვევისათვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა – ა. თ-მა, თ. ნ-მა და გ. ბ-ა დაადეს ხელბორკილი, აღნიშნულ პირებს უთხრა, რომ საპატიმრო დაწესებულებიდან გასვლისთანავე დაბრუნდებოდა, რა დროსაც ა. თ-ს, თ- ნ-სა და გ. ბ-ს გაუჩნდათ სიცოც-

ხლის მოსპობის მუქარის საფუძვლიანი შიში.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 2 ივნისის განაჩენით:

2.1. გ. ტ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 11',381'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

2.2. გ. ტ-ის მიმართ მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 353'-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

2.3. გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2021 წლის 23 დეკემბრიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განაჩენით:

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 2 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლაშა მერაბიშვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განაჩენის გაუქმება, გ. ტ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11',381'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 353'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სამართლიანი სასჯელის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლაშა მერაბიშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელია რელევანტური, დასაშვები და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა. სწორედ ამ სამ კრიტერიუმზე დაყრდნობით წყვეტს სასამართლო, გაიზიაროს თუ არა საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულება.

3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა გ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 11',381'-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 353-ე მუხ-

ლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

4. საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გ. ტ-ის ბრალდების ეპიზოდი:

4.1. №... შეტყობინების მიხედვით (ინიციატორია მ. ნ), ყოფილი მეუღლე – ალკოჰოლური სასმელით მთვრალი გ. ტ-ე სისტემატურად მიდიოდა ამ ტერიტორიაზე. ინიციატორი ითხოვდა შემაკავებელი ორდერს. საუბრის დროს წავიდა ეს მამაკაცი, მაგრამ ნ. მ. ვარაუდობდა, რომ კიდევ მივა.

4.2. №... შეტყობინების მიხედვით, რუსთავის საქალაქო სამმართველოდან 19:09 შევიდა შეტყობინება (განმცხადებელი მ. გ-ი), რომ ქ. რ-ი, მალაზია „ო-ს“ მენეჯერმა ნ. მ-მა განაცხადა, რომ მასთან მალაზიაში მისული იყო ყოფილი მეუღლე – გ. ტ-ე, რომელიც ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას და ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რასაც ჰქონდა სისტემატური ხასიათი. სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. საპატრულო ეკიპაჟის მისვლისას გ. ტ-ე ადგილზე არ იმყოფებოდა, რის გამოც შემაკავებელი ორდერი ვერ გამოიცა.

4.3. №... შეტყობინების მიხედვით, 2021 წლის 23 დეკემბერს, რ-ს საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების სამორიგეო ნაწილში, ტელეფონის ნომრით №... დაუკავშირდა ამავე განყოფილების თანამშრომელი დ. ფ-ე. მან განაცხადა, რომ დაუკავშირდა ნ. მ. და უთხრა, რომ მისი ყოფილი მეუღლე – გ. ტ-ე გამოცხადდა მის საცხოვრებელ მისამართზე, რომელიც აბრაზუნებდა კარზე და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რითაც დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობები.

4.4. დაზარალებულმა ნ. მ-მა სასამართლოში ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ შემთხვევის დღეს გ. ტ-ე მასთან სამსახურში მივიდა ნასვამი. მან უთხრა, რომ სახლში წასულიყო, ასევე დარეკა პოლიციაში, თუმცა ამ დროისთვის გ. მალაზიაში აღარ იმყოფებოდა. მან მოითხოვა გ-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რადგან არ სიამოვნებდა მისი ნასვამი სამსახურში მისვლა და ხელს უშლიდა. სახლში მისვლისას დაინახა, რომ გ. ტ-ე სახლთან ახლოს იმყოფებოდა და კვლავ დარეკა პოლიციაში, რომ მან დაარღვია შემაკავებელი ორდერის ვალდებულებები. პოლიციელები მალე მივიდნენ და, როგორც იცის, გ. მამინ დააკავეს. მისთვის არ არის ცნობილი გადაეცა თუ არა მას შემაკავებელი ორდერი და განმარტა თუ არა აკრძალვის შესახებ. პოლიცია იმ მიზნით გამოიძახა, რომ არ სურდა ნასვამ პირთან კომუნიკაცია.

4.5. გ. ტ-ემ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ 2021 წლის 23 დეკემბერს იმყოფებოდა სოფელ კ-ში და უნდოდა მეუღლესთან შეხვედრა. რადგან სამსახურში არ

დახვდა, სახლში მივიდა და მან კარი არ გაუღო. სადარბაზოდან გასვლის დროს პოლიციის თანამშრომლები დახვდნენ და უთხრეს, რომ დაარღვია შემაკავებელი ორდერი და უნდა დაეკავებინათ. ვინაიდან მის მიმართ შემაკავებელი ორდერი არ გამოცემულა და მისთვის აღნიშნული გარემოება არავის უცნობებია, არ დაეთანხმა და დაკავებისას გაუწია წინააღმდეგობა. იგი ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და დაადეს ბორკილები. საკანში მოთავსების შემდეგ აღარ ახსოვს რა მოხდა.

4.6. საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დასჯადია: „შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა ანდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევა ანდა მოძალადის მიერ საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა ანდა მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება, ესე იგი ქმედება, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება“. განსახილველი საჩივრის ფარგლებში, გ. ტ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდების არსი შეეხება შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. ხსენებული დანაშაული წარმოადგენს ამკრძალავ ბლანკეტურ ნორმას, რომელშიც მოცემული არ არის შემაკავებელი ორდერის მოთხოვნებისა და ვალდებულებების არსი და აღნიშნული საკითხი რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, რომელიც აწესრიგებს შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და შედგენის წესს. ამდენად, დანაშაულის ობიექტური მხარის გამოკვლევისას, უნდა დადგინდეს შემაკავებელი ორდერის სათანადო წესით გამოცემის ფაქტი და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით – კონკრეტულად რაში ვლინდება დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევა.

4.7. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (2021 წლის 17 მარტს მოქმედი რედაქცია) მე-10 მუხლის მე-3² ნაწილის თანახმად, შემაკავებელ ორდერს ხელს აწერენ მისი გამოცემის უფლების მქონე პირი, მსხვერპლი და მოძალადე, ხოლო შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მოძალადის გაფრთხილებას ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ; ამავე მუხლის მე-3³ ნაწილის თანახმად: „თუ მსხვერ-

პლი ან/და მოძალადე რაიმე მიზეზის გამო ხელს არ/ვერ აწერს შემაკავებელ ორდერს, მას ხელს აწერს მხოლოდ შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლების მქონე პირი. ამ შემთხვევაში შემაკავებელ ორდერში სათანადო ჩანაწერი კეთდება და მიეთითება მსხვერპლის ან/და მოძალადის მიერ მის ხელმოწერაზე უარის თქმის/მისი ხელმოწერის შეუძლებლობის მიზეზი“. ამავე მუხლის მე-3^ე ნაწილის თანახმად: „შემაკავებელი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე. იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს, ხოლო შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოში“. ამავე მუხლის მე-3^ე ნაწილის თანახმად: „მსხვერპლმა ან მოძალადემ შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაასაჩივროს მისთვის ამ ორდერის გადაცემიდან/ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში“.

4.8. საქმის მასალების თანახმად, 2021 წლის 23 დეკემბერს საქართველოს შს სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს პოლიციის განყოფილებაში შევიდა სამი შეტყობინება. ნ. მ-მა თავდაპირველად პოლიციისგან ითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, როდესაც გ. ტ-ე მასთან მალაზიაში იმყოფებოდა და არ აძლევდა მუშაობის საშუალებას. საპატრულო პოლიციის მისვლისას გ. ტ-ე ადგილზე არ იმყოფებოდა და შემაკავებელი ორდერი ვერ გამოიცა. ბოლო შეტყობინება პოლიციის პირველ განყოფილებაში შესულია დ. ფ-ის მიერ. მისი თქმით, ცვლავ დაუკავშირდა ნ. მ. პირად ტელეფონის ნომერზე და უთხრა, რომ გ. ტ-ემ დაარღვია შემაკავებელი ორდერი და აბრაზუნებდა კარზე. პირველი შეტყობინება შესულია 17 საათსა და 54 წუთზე, მეორე – 19 საათსა და 9 წუთზე, ხოლო მესამე – 21 საათსა და 35 წუთზე.

4.9. საქმეში მოთავსებულია 2021 წლის 23 დეკემბერს, 19 საათსა და 41 წუთზე გამოცემული №- შემაკავებელი ორდერი, რომლის თანახმად, გ. ტ-ეს აეკრძალა ნ. მ-ს საცხოვრებელ სახლსა და სამუშაო ადგილთან მიახლოება და ამასთანავე ნებისმიერი სახის კომუნიკაცია 30 დღის ვადით; ასევე – 2021 წლის 23 დეკემბრით დათარიღებული გ. ტ-ის გაფრთხილების ოქმი, რომელზეც გაფრთხილების დროდ მითითებულია 20 საათი და 55 წუთი. ამ ოქმის თანახმად, გ. ტ-ე გაეცნო შემაკავებელ ორდერსა და ოქმს, თუმცა მან გაურკვეველი მიზეზით უარი განაცხადა ხელის მოწერაზე და არ ჩაიბარა შემაკავებელი ორდერის ასლი.

4.10. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, გ. ტ-ე ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ ბინაში მივიდა 2021 წლის 23 დეკემბერს, დაახლოებით 20:35 საათზე, რითაც მან არ შეასრულა 2021 წლის 23 დეკემბერს გამოცემული №... შემაკავებელი ორდე-

რით გათვალისწინებული ვალდებულება, არ მიახლოებოდა იმ სახლს, სადაც მსხვერპლი – ნ. მ. ცხოვრობდა.

4.11. საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: აღნიშნული ფორმულირების მიხედვით, სახელმწიფო ბრალდება მიიჩნევს, რომ 20 საათისა და 35 წუთისთვის – გ. ტ-ემ უკვე იცოდა მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის არსებობის შესახებ; თუმცა საქმეში არსებული, გ. ტ-ის გაფრთხილების შესახებ ოქმის თანახმად, იგი მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე პოლიციელებმა – დ. ფ-ემ და თ. ფ-ა გააფრთხილეს 2021 წლის 23 დეკემბერს, 20 საათსა და 55 წუთზე. ამდენად, ზემოხსენებული წერილობითი მტკიცებულება ეწინააღმდეგება პირის ბრალდების შესახებ დადგენილებას. აღნიშნული წინააღმდეგობა არ შეიძლება მიჩნეული იქნას უმნიშვნელოდ, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დაადასტურა გ. ტ-ის მიერ ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი.

5. საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გ. ტ-ის ბრალდების ეპიზოდი:

5.1. მოწმის სახით დაკითხულმა, საქართველოს შს სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა დ. ფ-ემ აჩვენა, რომ 2021 წლის 23 დეკემბერს მათთან განყოფილებაში შევიდა შეტყობინება. ქალბატონი, რომელიც მაღაზია „ო-ში“ მუშაობდა, აცხადებდა, რომ ყოფილი მეუღლე აწუხებდა და უნდოდა შემაკავებელი ორდერის გამოწერა. ისინი გამოცხადდნენ მისამართზე, ქალბატონი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, რა დროსაც გ. ტ-ე იმ მისამართზე არ იმყოფებოდა. განყოფილებაში გაესაუბრნენ ქალბატონს, შემდეგ შეავსეს შემაკავებელი ორდერი გ. ტ-ის მიმართ, თუმცა მასთან დაკავშირება და ორდერის თაობაზე გაფრთხილება ვერ მოახერხეს. ზუსტი დრო არ ახსოვს, ქალბატონმა კვლავ დაურეკა და შეატყობინა, რომ გ. ტ-ე მასთან სახლში იყო მისული და აწუხებდა. მოწმის ჩვენებით, იგი თანამშრომელ თ. ფ-ნ ერთად გამოცხადდა მისამართზე, კორპუსის ეზოში ნახეს ნასვამი გ. ტ-ე, აუხსნეს მას მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე. ამ დროს გ-მ ეს აგრესიულად, არასერიოზულად მიიღო, თუმცა მათ (პოლიციელებმა) გაფრთხილების ოქმი მაინც შეადგინეს, რაზეც მან ხელი არ მოაწერა. შემდეგ დ. ფ-ეს დაურეკა ქალბატონმა და შეატყობინა, რომ გ. ტ-ე მასთან სახლში იყო მოსული, კარზე აბრაზუნებდა და ილანძლებოდა. პოლიციის თანამშრომლები წავიდნენ შემთხვევის ადგილზე და გ. დააკავეს.

5.2. მოწმის სახით დაკითხულმა, საქართველოს შს სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელმა თ. ფ-ა აჩვენა, რომ 2021 წლის 23 დეკემბერს, მოქალაქე ნ. მ-ს სატელეფონო ზარის საფუძველზე, ორ თანამშრომელთან ერთად გავიდა შემთხვევის ადგილზე, სადაც კორპუსის ეზოში, სადარბაზოსთან შეამჩნიეს ნასვამი გ. ტ-ე, რომელსაც დაუძახეს და წარუდგინეს თავი, როგორც პოლიციელებმა. იგი გახდა აგრესიული, გაუნია პოლიციელებს წინააღმდეგობა, გორაობდა ძირს, ყვიროდა, იგინებოდა, იქნევდა ხელებსა და ფეხებს, რა დროსაც განზრახ, მიზანმიმართულად, ფიზიკურად იძალადა პოლიციელ ს. თ-ზე. გ. ტ-ის დაკავების საფუძველი იყო იმ დღეს მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების დარღვევა.

5.3. მოწმის სახით დაკითხულმა, საქართველოს შს სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელმა ს. თ-მა განმარტა, რომ 2021 წლის 23 დეკემბერს იმყოფებოდა სამსახურში, რა დროსაც დ. ფ-ეს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა ნ. მ. მან განაცხადა, რომ ყოფილი მეუღლის მიმართ გამოწერილი იყო შემაკავებელი ორდერი და ამის მიუხედავად, მივიდა მასთან სახლში. შეტყობინების საფუძველზე, იგი თ. ფ-ა და დ. ფ-ესთან ერთად, პოლიციის მანქანით, დაუყოვნებლივ გაემართა მისამართზე. ადგილზე მისვლისას დაინახეს გ. ტ-ე, მოუწოდეს შეჩერებისკენ. გ. პოლიციელთა დანახვაზე გახდა აგრესიული, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. თ. ფ-ა განუმარტა, რომ იყო დაკავებული შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო და დაიწყო დაკავების ოქმის შედგენა, გ. ტ-ე კი უფრო აგრესიული გახდა, იქნევდა ხელებსა და ფეხებს, ცდილობდა გაქცევას. ამ დროს მან გამიზნულად მოიქნია ხელი და დაარტყა მოწმეს სახის მარცხენა მხარეს, ლოყის მიდამოში, რის გამოც განიცადა ტკივილი.

5.4. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებული გ. ტ-ე მის მიმართ სისხლისმართლებრივი დევნის დანყების პირველივე ეტაპიდან ამტკიცებდა, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე არავის გაუფრთხილებია, შემთხვევის დღეს იგი მხოლოდ ერთხელ მივიდა ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ ბინასთან და პოლიციის თანამშრომლებიც დაკავებისას ნახა; იგი ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და დაადეს ხელბორკილი. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მსჯელობას, რომლის თანახმად, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნაცვლად იმისა, რომ გ. ტ-ის მიერ გაჟღერებული არგუმენტების გასაბათილებლად გამოძიების ეტაპზევე ჩაეტარებინა გარკვეული საპროცესო და საგამომძიებო მოქმედებები, მოეპოვებინა დამატებითი მტკიცებულებები – ვიდეო-ჩანაწერი, დაეკითხა ნეიტრალური მოწმეები, მოეძიებინა და

ამოელო მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები, ბრალდების მხარე შემოიფარგლა მხოლოდ მსჯავრდებულის დამკავებელი პოლიციის თანამშრომლების დაკითხვით.

5.5. აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების მიხედვით, გ. ტ-ის ბრალდებულად დაკავებას, რომლის დროსაც, თითქოსდა, წინააღმდეგობა გაუწია და ფიზიკურად იძალადა პოლიციელ ს. თ-ზე, ადგილი ჰქონდა საღამოს საათებში, ღია სივრცეში, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, თუმცა პოლიციელთა ჩვენებების გასამყარებლად, ბრალდების მხარეს არ დაუდგენია და გამოუკითხავს ნეიტრალური პირები, რომელთა თვალთახედვის არეში ტარდებოდა ზემოხსენებული მოქმედებები.

5.6. საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობა, ხოლო დამატებით ობიექტს – მისი პირადი უსაფრთხოება. რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, ქმედების მოცემული მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთ ელემენტს, როგორიცაა მიზანი, კერძოდ, ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი კანონიერი საქმიანობის შეწყვეტას.

5.7. საკასაციო სასამართლოს, გასაჩივრებული განაჩენის მსგავსად, მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, გ. ტ-ესა და პოლიციის თანამშრომლებს შორის დაპირისპირების ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, თუმცა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე პირდაპირი (გარდა პოლიციელების ჩვენებებისა), აშკარა და უტყუარი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ პოლიციელები ახორციელებდნენ კანონიერ საქმიანობას, გ. ტ-ის ქმედებები პოლიციის მუშაკების კანონიერი საქმიანობის შეწყვეტასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას ემსახურებოდა.

5.8. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოში მტკიცებულებათა წარმოდგენა მხარეთა კომპეტენციაა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის ფაქტობრივი გარემოების გასარკვევად, ბრალდების მხარეს შეეძლო შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით მოეპოვებინა რელევანტური მტკიცებულებები, დაეკითხა შემთხვევის თვითმხილველი გარეშე პირები, რომლებიც უტყუარობისა და სანდოობის თვალსაზრისით, უფრო სარწმუნოს გახდიდნენ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებებს.

5.9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით მიუთითა, რომ ეროვნული ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა გარკვეულწილად არაერთგვაროვან მიდგომას და ეროვნული ორგანოების გადაწყვეტილებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი დაეყრდნენ, ძირითადად, ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს. პოლიციელთა ჩვენებების უპირობოდ გაზიარება საფრთხეს შეუქმნის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით დეკლარირებულ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას.

5.10. ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს გ. ტ-ის ბრალეულობას საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში და დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი განამტკიცებს *in dubio pro reo* საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რაც ავალდებულებს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილვას შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვეტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

6. სახელმწიფო ბრალმდებელი – ლაშა მერაბიშვილი საკასაციო საჩივრით ასევე ითხოვს მსჯავრდებულ გ. ტ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კასატორის მოსაზრებით, გ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდებები დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით, რაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს.

7. საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი:

7.1. საკასაციო პალატა არ ეთანხმება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ იზოლატორში წინასწარ ბრალდებულად დაკავებული გ. ტ-ის ზოგადი მუქარა, რომ საპატიმრო დანესებულებიდან გასვლის-

თანავე „დაბრიდავდა“ მათ (იზოლატორის თანამშრომლებს) მაშინ, როდესაც დაკავებული რეალურად გათავისუფლების მოლოდინი ობიექტურად არ არსებობდა, ვერ შექმნიდა რეალურად დაზარალებულთა სიმშვიდის დარღვევის, აფორიაქების, დაშინების განცდას, მოსალოდნელი საფრთხის შეგრძნებას. დაზარალებულების პოზიცია მუქარის განხორციელების რეალურობის შესახებ არის აბსტრაქტული, გადაჭარბებული და არ გააჩნია საფრთხის ის ხარისხი, რაც მუქარის განხორციელების საფუძვლიან შიშს შექმნიდა.

7.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებისას ხელმძღვანელობს მტკიცების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით; აღნიშნული სტანდარტი უნდა გამომდინარეობდეს საკმაოდ მყარ, ზუსტ და თანმხვედრ ფაქტებზე დამყარებული ვარაუდიდან ან მსგავსი უტყუარი ფაქტების პრეზუმფციიდან („ულკუ ეკინჯი თურთქეთის წინააღმდეგ“, (Ülkü Ekinci v. Turkey), №27602/95, 16/07/2002, §142). საკასაციო სასამართლომ შეისწავლა რა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები, თითოეული მტკიცებულება შეაფასა სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე გამოკვლეული ყველა მტკიცებულება – გ. ტ-ის დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს გ. ტ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, კერძოდ:

7.3. დაზარალებულ ა. თ-ის ჩვენებით, ქ. რ-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და 2021 წლის 23-24 დეკემბერს პოლიციის თანამშრომლებმა მიიყვანეს დაკავებული გ. ტ-ე. იგი გარკვეული პროცედურების გავლის დროს უწევდა მათ წინააღმდეგობას, კერძოდ, უარს აცხადებდა საკანში მოთავსებაზე და მოუწიათ ძალის გამოყენება. დაკავებულს ცოტა ხანი ეძინა და უკვე დაახლოებით 03:30 საათიდან აბრაზუნებდა კარზე, ყვიროდა და აყენებდა მათ შეურაცხყოფას. უხსნიდნენ, რომ იგი არღვევდა შინაგანაწესს, ამშვიდებდნენ მას, თუმცა არ ჩერდებოდა და ამბობდა, რომ მიიყენებდა თვითდაზიანებებს. საფრთხის თავიდან ასარიდებლად შევიდნენ საკანში; გ. ტ-ე კვლავ არ გაჩერდა, მოიქნია ხელ-ფეხი, შემოიხია ტანისამოსი და იძულებული გახდნენ დაედოთ ბორკილები. გ. არ ჩერდებოდა, აგინებდა და ემუქრებოდა, რომ დანესებულებიდან გასვლისთანავე მოკლავდა მათ. ექიმი გარკვეული პერიოდულობით ნახულობდა მას საკან-

ში, თუმცა მათაც აგინებდა. ბორკილების დადების დროს გ. ტ-ე სწვდა მას კისრის არეში და ტანისამოსი ჩამოქაჩა, იგი დაეკიდა პიჯაკის საყელოზე და ამ მომენტში ტკივილი განიცადა.

7.4. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა დაზარალებულიმა თ. ნ-მა. მან დამატებით განმარტა, რომ გ. ტ-ე დროებითი მოთავსების იზოლატორში იყო აგრესიული, ყვიროდა, აბრაზუნებდა რკინის კარზე, იმუქრებოდა თვითდაზიანებების მიყენებით, აყენებდა მათ შეურაცხყოფას და ხელს უშლიდა იზოლატორის მუშაობას. მისი დამშვიდებისა და ბორკილების დადების მიზნით შევიდნენ საკანში. როდესაც ა. თ-ი მიუახლოვდა მას, გ. ტ-ემ ხელები მოიქნია, თუმცა არავის მოხვედრია. ა-ი შემოეხვია და ამ დროს იგი სწვდა კისრის არეში და მოქაჩა ტანისამოსი. ბორკილების დადების შემდეგ ხან იატაკზე იჯდა, ხან სანოლზე და ემუქრებოდა მათ სიცოცხლის მოსპობით.

7.5. მოწმე მ. მ-ა ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მუშაობს ექიმად და სამედიცინო დახმარებას უწევს იქ მოთავსებულ პირებს. გ. ტ-ე სამსახურის თანამშრომლებს უწევდა წინააღმდეგობას და აყენებდა მათ შეურაცხყოფას, მუშტებს ურტყამდა კარს, ყვიროდა, იყო აგრესიული და იმუქრებოდა. იგი საჭიროებდა ვიზუალურ მეთვალყურეობას, რომ შეუძლოდ არ გამხდარიყო, ამიტომ მასთან უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა საკანშიც და მის გარეთ. ცდილობდა მის დამშვიდებას. პირველადი შემოწმებაც მან ჩაუტარა და ასახა ყველა ის დაზიანება, რაც აღენიშნებოდა.

7.6. გ. ტ-ის მხრიდან სიცოცხლის მოსპობის მუქარა დაადასტურა ასევე დაზარალებულმა გ. ბ-ა, რომელიც თ. ნ-სა და ა. თ-თან ერთად იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში. მანვე განმარტა, რომ გაუჩნდა მუქარის აღსრულების საფუძვლიანი შიში, რადგან დაკავებული იყო აგრესიული, ყვიროდა და აყენებდა მათ შეურაცხყოფას.

7.7. მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მთვრალი გ. ტ-ე დროებითი მოთავსების იზოლატორში არ ემორჩილებოდა შინაგანაწესს, შეურაცხყოფას აყენებდა და წინააღმდეგობას უწევდა თანამშრომლებს. თვითდაზიანებების თავიდან აცილებისა და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, გ. ტ-ეს საკანში დაადეს ბორკილები და ამ მომენტში იგი სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ა. თ-ს, თ. ნ-სა და გ. ბ-ს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გ. ტ-ის აგრესიული ქცევიდან გამომდინარე, გაუჩნდათ მუქარის აღსრულების საფუძვლიანი შიში.

7.8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბა დაწესებულია მუქარისათვის, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ მუქარა მიმართული იყოს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურებისაკენ. ქმედების მუქარად დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტია, რომ მუქარის ადრესატს გაუჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომ მუქარა რეალურად განხორციელდება.

7.9. ამდენად, მუქარის შემადგენლობა სახეზე გვაქვს მაშინ, როცა პირი კონკრეტულ ადამიანს დაემუქრება კონკრეტული ძალადობრივი ქმედების ჩადენით და ეს მუქარა ადამიანს გაუჩნდეს მუქარის აღსრულების საფუძვლიანი შიშს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მუქარა მატერიალური შემადგენლობის დანაშაულია, რომლისთვისაც აუცილებელია, მუქარის შედეგად პირს გაუჩნდეს მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში, ხოლო თუ მუქარას ამგვარი შიში არ გამოუწვევია, ასეთ დროს დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ გვექნება. აქვე მნიშვნელოვანია არამხოლოდ ზოგადად შიშის გაჩენა, არამედ ის, რომ შიში გამოწვეული იყოს კონკრეტული მუქარის შედეგად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დაკონკრეტებულია მუქარის შინაარსი და იგი უნდა გამოიხატებოდეს: ა) სიცოცხლის მოსპობის, ბ) ჯანმრთელობის დაზიანების ან გ) ქონების განადგურების მუქარაში. სხვა სახის მუქარა არ გვაძლევს ამ დანაშაულის შემადგენლობას. შესაბამისად, შიში უნდა გამოიწვიოს კონკრეტულმა მუქარამ, რომელიც უნდა მიემართებოდეს ზემოაღნიშნული სამი სამართლებრივი სიკეთიდან ერთ-ერთს მაინც, სხვა შემთხვევაში მუქარა, თუნდაც იგი იწვევდეს მისი განხორციელების საფუძვლიანი შიშს, მოქმედი კანონმდებლობით არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

7.10. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულებმა – ა. თ-მა, თ. ნ-მა და გ. ბ-ა განმარტეს, რომ აგრესიული გ. ტ-ის მხრიდან განხორციელებული მუქარისას გაუჩნდათ შიში, გარკვეულწილად განიცადეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, ნამდვილად და შესაძლებლად დაუშვეს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასული გ. ტ-ე მათ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნიდა. დამუქრებისას გ. ტ-ის მიზანი იყო მითითებული პირების დაშინება, რათა მისთვის აღარ დაედოთ ბორკილი და მიეცათ არეულობის მოწყობის საშუალება.

7.11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-

თლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება გ. ტ-ისათვის ბრალად შერაცხული ქმედების (სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩინდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში) ჩადენა და იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა იქნეს ცნობილი დამნაშავედ.

8. საქართველოს სსკ-ის საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გ. ტ-ის ბრალდების ეპიზოდი:

8.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტაციას, რომლის საფუძველზეც მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება გ. ტ-ის მიერ მისთვის ბრალად წარდგენილი ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენა.

8.2. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომლის თანახმადაც, გ. ტ-ემ ძალადობა განახორციელა პოლიციელის საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, რადგან მიაჩნდა, რომ არ უნდა მოთავსებულიყო დროებითი დაკავების იზოლატორში და არ სურდა საკანში ყოფნა, არ არის მართებული და არ გამოდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, ესენია დაზარალებულების – ა. თ-ის, თ. ნ-ის ჩვენებები, მოწმე მ. მ-ს ჩვენება, რომლებიც საკასაციო სასამართლომ უკვე მიმოიხილა.

8.3. ასევე სიმთვრალეზე შემოწმების შესახებ №3726 ოქმს თანახმად, ალკოტესტის საშუალებით სიმთვრალე-სიფხიზლეზე გადამოწმდა გ. ტ-ე, რომელსაც დაუდგინდა 3,296 პრომილი ალკოჰოლური თრობა.

8.4. ამოღების ოქმით დაზარალებულ ა. თ-ისაგან ამოღებულ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორის სამსახურებრივი უნიფორმა, მუქი ფერის სვიტერი, რომელსაც წინ მარჯვენა მხარეს აწერია „შსს“, მარცხენა მხარეს „დმი“.

8.5. საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს ტრასოლოგიური ექსპერტიზის №...- დასკვნის თანახმად, ა. თ-ის ტანსაცმლის ზედაპირზე არსებული დაზიანებები ნაკერის განარღვევის, გახევისა და ღილების ამოგლეჯის სახით წარმოქმნილია ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად. სასამართლო ხდომალზე დათვალიერებულდა ზემოაღნიშნული ტანსაცმელი – სვიტერი სამხრებით,

გრძელსახელოიანი მაისური და შარვალი, რომლებსაც აღენიშნებოდა დაზიანებები.

8.6. საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის 2011 წლის 27 იანვრის ბრძანებით ა. თ-ი დაინიშნა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს რ-ს დაცვის პოლიციის სამსახურის ობიექტების დაცვის დანაყოფების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ლილო საბაჟო ტერმინალის დაცვის უმცროს ინსპექტორის თანამდებობაზე „პოლიციის რიგითის“ სპეციალური წოდების მინიჭებით.

8.7. სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ტ-ემ დროებითი მოთავსების იზოლატორში ა. თ-ის მიმართ ძალადობრივი ქმედებით ჩაიდინა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი სამსახურებრივი საქმიანობის შეცვლის/შენეგების მიზნით, ვინაიდან გ. ტ-ე ამ მომენტში იმყოფებოდა პოლიციის დანესებულებაში და პოლიციელი მისგან მოითხოვდა წესრიგის დაცვას, რასაც იგი აპროტესტებდა; მან კისრის არეში მოქაჩვისა და ტანისამოსის დაზიანებით გზით წინააღმდეგობა გაუწია.

8.8. საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია სახელმწიფო მმართველობის დადგენილი წესი, ხოლო დამატებით – პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და საკუთრება. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, კერძოდ, თავდასხმაში. თავდასხმა არის აგრესიული აქტი, რასაც თან ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კრიმინალიზებულია პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მათ სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მათი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კრიმინალიზებულია პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, ანდა მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის ხელყოფა პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება კავშირში უნდა იყოს ხელისუფლების წარმომადგენლის –

პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან. სუბიექტური მხრივ, აუცილებელია ქმედების მოტივის გარკვევა, არსებობს თუ არა კავშირი პოლიციელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და მასზე, ანდა კანონში მითითებულ ობიექტზე განხორციელებულ ხელყოფას შორის.

8.9. საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კრიმინალიზებულია პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარად უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. აღნიშნული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობა, ხოლო დამატებითი ობიექტია – მისი პირადი უსაფრთხოება (ჯანმრთელობა, ხელშეუხებლობა, პირადი თავისუფლება). ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებაში: ა) პოლიციის მუშაკის მიმართ ძალადობით ან ძალადობის მუქარით წინააღმდეგობაში (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით); აგრეთვე ბ) აშკარად უკანონო ქმედებისათვის მის იძულებაში. კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ისეთ ელემენტს, როგორიცაა მიზანი. კერძოდ, ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობის განევა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი კანონიერი საქმიანობის შეწყვეტას ან შეცვლას, აგრეთვე, აშკარად უკანონო ქმედებისათვის მის იძულებას. ამასთან, ქმედება ჩადენილი უნდა იყოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

8.10. საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობებთან მიმართებით განმარტებულია (მაგალითისათვის იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №468აპ-20) შემდეგი: იმისათვის, რათა სამართლებრივად სწორად შეფასდეს დავის საგნად ქცეული ქმედების კვალიფიკაცია, უნდა გაივლოს ზღვარი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობასა და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფას შორის; უნდა გაიმიჯნოს ამ დანაშაულთა შემადგენლობებისთვის სავალდებულო ნიშნები და დადგინდეს, პოლიციელთა ჯანმრთელობის ხელყოფა იყო დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის საშუალება, თუ წარმოადგენდა ხელყოფის უშუალო ობიექტს; მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს მსჯავრდებულთა ქმედებები მიზ-

ნად ისახავდა პოლიციის მუშაკებისათვის საზოგადოებრივი წეს-რიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მათი საქმიანობის შეწყვეტას ან შეცვლას, რასაც თან სდევდა დაზარალებულების მიმართ ფიზიკური ძალადობა, თუ მათი ქმედებები პირდაპირ იყო მიმართუ-ლი, პოლიციელების საქმიანობიდან გამომდინარე, მათი ჯანმრთე-ლობის ხელყოფისაკენ.

8.11. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს აზრით, გ. ტ-ეს ამოძრავებდა შურისძიების გრძნობა, რადგან ა. თ-მა სხვა პირებთან ერთად, პროპორციული ძალის გამოყენებით, შეიყვანა იგი საკანში და შემდეგ მოუწოდა დამშვიდებისკენ. გ. ტ-ე საკანში შესულ ა. თ-ს უეცრად დაესხა თავს და იძალადა მასზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: გ. ტ-ის ქმედება რომ განხორ-ციელებულიყო ხელბორკილის დადების დროს, ან დაკავებისას, მა-შინ შესაძლოა სასამართლოს ემსჯელა მისი მხრიდან წინააღმდე-გობაზე ა. თ-ის საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებებით ეს არ მოხდარა. გ. ტ-ის მი-მართ ჯერ არ მიმდინარეობდა ისეთი ქმედებები, რომ მისგან თა-ვის დასაღწევად მას დასჭირებოდა ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა.

8.12. საკასაციო სასამართლო გ. ტ-ის მიმართ ბრალად წარდგე-ნილი საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის ქმედების სამართლებ-რივი შეფასების შემდეგ ყურადღებას ამახვილებს საქმის არსე-ბით სხდომაზე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით გა-მოკვლეული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და გაანა-ლიზების შედეგად უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოე-ბებზე, რომელთა შეფასებით ნათლად და უტყუარად დადგინდა ის გარემოება, რომ დაზარალებული თავდაპირველად გ. ტ-ეს მოუ-წოდებდა შეენწყვიტა საკნიდან გინება და ლანძღვა, საკნის კარზე წიხლის დარტყმა, ასევე არ მიეყენებინა თვითდაზიანება. ა. თ-ი ძალადობის ობიექტი გახდა მაშინ, როცა თვითდაზიანების საფ-რთხის თავიდან ასარიდებლად პოლიციის თანამშრომლები შევიდ-ნენ საკანში, თუმცა გ. ტ-ე კვლავ არ ჩერდებოდა. მან საკანში შე-სულ ა. თ-ს რამდენჯერმე მოუქნია მუშტები, შემდეგ კი ძლიერად ჩამოქაჩა სვიტერსა და პერანგზე, რა დროსაც ა. თ-მა კისრის მიდა-მოში განიცადა ფიზიკური ტკივილი, დაუზიანდა ტანსაცმელი. გ. ტ-ე ასევე შეეცადა, რომ დაეზიანებინა ა. თ-ი და წაეცია იგი, რისი საშუალებაც არ მისცეს ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების რ-ს განყოფილების იზოლატორის თანამშრომლებმა.

8.13. დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას (ცალცალკე და ერთობლიობაში) ნათლად გამოკვეთილია ის გარე-მოება, რომ მათ მიერ საქმის არსებით სხდომაზე მიცემული ჩვენე-

ბები სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ისინი ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით სასამართლოს აწვდიან იდენტურ ინფორმაციას, რომელთა ურთიერთშეჯერებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად გაანალიზებით ვლინდება საერთო სურათი აღნიშნულ დღეს განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით.

8.14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს ერთმნიშვნელოვნად დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. ტ-ის მიერ პოლიციის თანამშრომლის მიმართ ჩადენილი ძალადობა დაკავშირებული იყო ზოგადად მისი, როგორც პოლიციის თანამშრომლის საქმიანობასთან, რაც უპირობოდ გამორიცხავს მსჯავრდებულის ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობას, რისი გათვალისწინებითაც, უნდა შეიცვალოს მსჯავრად შერაცხული ქმედების კვალიფიკაცია, გ. ტ-ეს მსჯავრი უნდა დაედოს საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და შესაბამისი ცვლილება შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც ამ ქმედების სამართლებრივი შეფასების, ასევე – სასჯელის ნაწილშიც.

9. გ. ტ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის სამართლიანობა:

9.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი ემსახურებოდეს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

9.2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

9.3. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განაჩენით გ. ტ-ე ცნო-

ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით მას განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის განაჩენით გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და შეეფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2020 წლის 27 მაისს.

9.4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

9.5. საკასაციო სასამართლო სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულების პიროვნულ მახასიათებლებს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმესა და ხასიათს, კერძოდ: ჩადენილია მძიმე კატეგორიის დანაშაული; გ. ტ-ე ნასამართლევა და მიაჩნია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით (დანაშაულის რეციდივის მხედველობაში მიღებით) გ. ტ-ეს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უნდა განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ გ. ტ-ეს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დანიშნული სასჯელი სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი და-

ნაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლაშა მერაბიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. გ. ტ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

4. გ. ტ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

5. გ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

6. გ. ტ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (დაზარალებულების – ა. თ-ის, თ. ნ-ისა და გ. ბ-ის ეპიზოდი), 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (დაზარალებულ ა. თ-ის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (დაზარალებულების – ა. თ-ის, თ. ნ-ისა და გ. ბ-ის ეპიზოდი) – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (დაზარალებულ ა. თ-ის ეპიზოდი) – 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ გ. ტ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაენწყოს დაკავების დღიდან – 2021 წლის 23 დეკემბრიდან;

8. ნივთიერი მტკიცებულება – საქმეზე ამოღებული ა. თ-ის ტანსაცმელი დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს;

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

1. საგამოძიებო მოქმედებები

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განცხადების შემთხვევაში იძულების პროცესი უფროსის განმარტების შესახებ

განაჩენი
საქართველოს სახელით

№1284პ-23

5 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თაღუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ს ინ-
ტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ქუ-
თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2023 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1.1. დ. გ-ა ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 177-ე
მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“
ქვეპუნქტით და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ესე
იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინა-
აღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო
შედნევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენო-
ბით) და საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით
(ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლო-
ბა და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა) გათვალისწინებული
დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2022 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით, 18:15 საათზე, დ. გ-ა
სხვა პირებთან ერთად მივიდა ქ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სა-
დაც ც. კ-მ რამდენიმე წამით ადრე გააჩერა კუთვნილი „TOYOTA
RAV4“-ის მარკისა და მოდელის ავტომობილი. დ. გ-ამ ჩაამსხვრია
ც. კ-ს ავტომობილის წინა მარჯვენა გვერდითი მინა, საიდანაც

ფარულად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა მის ხელჩანთას, მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების ც. კ-ს პირადი ნივთებით და 35 ლარით, ასევე შპს „.....“ კუთვნილი 35000 ლარით. დანაშაულის ჩადენისთანავე დ. გ-ამ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაუყოვნებლივ დატოვეს შემთხვევის ადგილი დ. გ-ს კუთვნილი, „LEXUS C....“ მარკისა და მოდელის, სახ. ნომრის მქონე ავტომობილით. დ. გ-ს და მისი თანხმლები პირების ქმედების შედეგად ქონებრივი ზიანი მიაღდა ც. კ-ს, ხოლო შპს „ჯ....“ მიაღდა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.

2022 წლის 9 მარტის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ქ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილების თანამშრომლებს ნება დაერთოთ ბრალდებულ დ. გ-სგან აეღოთ ნერწყვის და სუნის ნიმუშები. მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, 2022 წლის 25 მარტს №2 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა დ. გ-ამ უარი განაცხადა მისგან ნიმუშის აღებაზე.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 8 ნოემბრის განაჩენით, დ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

2.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 8 ნოემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. გ-მ და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ი. ჯ-მ, რომელებმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ დ. გ-ს და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ი. ჯ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 8 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელი.

3.2. 2023 წლის 27 ივლისს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ჯ-მ და ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დააფუძნა არა უტყუარ მტკიცებულებებს, არამედ ვარაუდს. მართალია, განაჩენში ასახულია გამოკვლეული მტკიცებულებები, თუმცა ერთმნიშვნელოვნად არ არის გადმოცემული, თუ რომელ სამხილს დაეყრდნო სასამართლო დ. გ-ს მიმართ ქურდობის ბრალდებით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას. ასევე არ დასტურდება დ. გ-ს მიერ დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად. საქმეზე წარმოდგენილი ერთადერთი მტკიცებულება არის დ. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმი, რომლის მიხედვით, თითქოს დ. გ-ს სახლიდან ამოღებული იქნა დაზარალებულ ც. კ-ს ნივთები. მსჯავრდებულის განმარტებით, კი აღნიშნული ნივთები „ჩაუდეს“ პოლიციის თანამშრომლებმა. ამასთან საგულისხმოა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში არსად იყო მითითებული თუ რა ნივთები ეწყო დაზარალებულს ჩანთაში. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ამოცნობის ოქმი და დაზარალებულის ჩვენების ის ნაწილი, რომელშიც მან ამოიცნო დ. გ-ა, რადგან მაშინ როცა დამნაშავე იყო ნიღბით, მისი ამოცნობა შეუძლებელია. რაც შეეხება, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებას, დაცვის მხარე განმარტავს, რომ დ. გ-სათვის არ იყო განმარტებული სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ გაუწევდა წინააღმდეგობას საექსპერტო კვლევის ნიმუშის აღებას. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ საქმეს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა სა-

ჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, დ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შესახებ.

5.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონიერულ ეჭვს მიღმა ადასტურებს დ. გ-ს მიერ საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ქურდობის ჩადენას.

5.4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას ქურდობის ბრალდებით დ. გ-ს უდანაშაულობის შესახებ და ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულ ც. კ-ს ჩვენებაზე, რომლითაც დადგენილია, რომ იგი მუშაობს შპს „.....“ დისტრიბუტორად და პროდუქციას ანაწილებს დ.... ს-სი. 2022 წლის 18 თებერვალს, მან ზ-ის ბაზარში სხვადასხვა მაღაზიებიდან (მენარმეებისაგან) ამოიღო გარკვეული რაოდენობის თანხა, რომელიც იმისდა მიხედვით, თუ რომელმა მენარმემ მისცა, ცალ-ცალკე ჩაიწყო ხელჩანთაში. თანხის აგროვების შემდეგ, გამოვიდა ზ-ის ბაზრის გვერდითა შესასვლელიდან რა დროსაც შენიშნა პიროვნება, რომელიც დაჟინებით უყურებდა. დაზარალებულს კარგად დაამახსოვრდა აღნიშნული პიროვნების არაჯანსაღი მზერა, მისი სამოსი, კერძოდ, შავი ფერის შარვალი და ქურთუკი, თავზე წამოხურული ე.წ. კაპიუშონი. იგი ზ-იდან წამოვიდა ნ. ხ-ს მანქანით. საკუთარ ავტომანქანში ამ უკანასკნელის სახლში გადაჯდა, ჩაიდო ჩანთა და წავიდა ქ.... მიმართულებით. გზაზე მანქანის საბურავის მაჩვენებელმა აანთო, რის გამოც, სავალი ნაწილიდან გადავიდა, რა დროსაც დაინახა, რომ მის უკან, ოდნავ მოშორებით გაჩერდა ვერცხლისფერი მანქანა – ლექსუსის მარკის ჰენზეკი, სახელმწიფო ნომრით, რომელმაც შემდეგ ნელა ჩაუარა მას გვერდი, ჩავლისას მან დაინახა მძღოლი, რომელსაც ეცვა შავი ფერის ტანსაცმელი, ნახევრად ეკეთა ნილაბი, გვერდით კი ეჯდა ერთი პიროვნება. დაზარალებულმა დეტალურად აღწერა მისი ქ-ი ავტომანქანით მოძრაობის მარშრუტი და აღნიშნა, რომ ავტომანქანა გააჩერა „.....“ მოპირ-

დაპირე მხარეს, გადავიდა მანქანიდან და მხოლოდ ტელეფონი წაიღო. მანქანის გაჩერების მომენტში, მან ისევ დაინახა ზემოხსენებული ლექსუსის მარკის მანქანა. იგი მივიდა სამკერვალოში, რომელსაც ჰქონდა ვიტრინა, საიდანაც კარგად ჩანდა მისი ავტომანქანა. მან დაინახა, რომ ტროტუარიდან წამოვიდა სუსტი აღნაგობის პიროვნება, რომელსაც ეკეთა პირბადე. ეს ის პიროვნება იყო, რომელიც მას შეხვდა ზ-ში. მკერავთან იგი რამოდენიმე წუთით შეყოვნდა. როდესაც გამოვიდა, პულტით შორიდანვე გააღო მანქანა, ჩაჯდა და დაინახა, რომ მინა იყო ჩამსხვრეული, ჩანთა კი – წაღებული. მან მაშინვე დარეკა 112-ში. მანქანიდან წაღებულ მის კუთვნილ შავი ტყავის ჩანთაში ეწყო პირადი მოხმარების ნივთები, რამდენიმე საფულე, პირადობის მოწმობა, ბანკის ბარათები, სათვალის ყავისფერი ბუდე, რომელშიც ედო მანქანის ტექ-პას-პორტი და საწვავის ფასდაკლების ბარათები, წნევის აპატარის კოლოფი და ფულადი თანხა 35000 ლარის ოდენობით. ჩანთაში არსებული თანხიდან მას ეკუთვნოდა მხოლოდ 35 ლარი, ხოლო დანარჩენი იყო მის მიერ მენარმეებისგან აღებული თანხა.

5.5. დაზარალებულის ჩვენება გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: ის ფაქტი, რომ ც. კ-ე 2022 წლის 18 თებერვალს წამდვილად იმყოფებოდა ზ-ს ბაზარში, სადაც ნ. ხ-თან ერთად დაარიგა პროდუქცია სხვადასხვა მაღაზიაში და შემდეგ მენარმეებისგან აიღო თანხა, დადასტურებულია მოწმე ნ. ხ-ს ჩვენებით. ამ უკანასკნელის ჩვენებით ასევე დასტურდება ის გარემოებაც, რომ იმავე დღეს ზ-დან დაბრუნების შემდეგ, ც. კ-ე მისი კუთვნილი ავტომანქანით, რომელიც დატოვებული ჰყავდა ს..... დაბრუნდა ქ-ი. აღნიშნული გარემოებები ასევე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი 112-ის კუთვნილი ვიდეოკამერების ჩანაწერებით, რომლებიც ასახავს ზ-დან ქ-მდე საავტომობილო მაგისტრალზე ავტომობილების გადაადგილებას. კერძოდ, ვიდეო-ჩანაწერში ნანახი იქნა დაზარალებულ – ც. კ-ს და მისი თანამშრომლის – ნ. ხ-ს კუთვნილი ფორდ ტრანზიტის მარკის ავტომობილი (სახელმწიფო ნომრით ...), რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში უკან მისდევდა ლექსუსის ფირმის (სახელმწიფო ნომრით ...) ავტომობილი.

5.6. დაზარალებულ ც. კ-ს ჩვენება, რომ მან სამკერვალოსთან მანქანის გაჩერების მომენტში დაინახა ლექსუსის მარკის მანქანა და ის პიროვნება, რომელიც მას შეხვდა ზ-ში, გამყარებულია 2022 წლის 20 თებერვლის ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმით, რომლის თანახმად, ვიდეო ფაილში ჩანს ქ. ქ-ი, ი-ში მდებარე ა... სახელობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის წინამდებარე ტერიტორია. მითითებულ ჩანაწერში 17:14:27 საათ-

ზე ასახულია, რომ ჩნდება ორი მამაკაცი. ერთ-ერთ მამაკაცს ტანთ აცვია შავი ფერის ქურთუკი, შავი ფერის შარვალი, თავზე ახურავს შავი ფერის ე.წ. კაპიუშონი და პირზე უკეთია მოთეთრო ფერის პირბადე, ფეხზე აცვია შავი ფერის სპორტული ფეხსაცმელი. იგი ფეხით მოძრაობას აგრძელებს ი.... გამზირზე არსებულ ქვეითთა სავალ ბილიკზე და მიდის დასავლეთის მიმართულებით. 17:15:25 საათზე აღნიშნული პირი დასავლეთის მხრიდან გამორბის, რომელსაც ხელში უჭირავს მუქი ფერის ჩანთა და შერბის ვიდეო კამერის ხედვის არეალით, მარჯვენა მხარეს. 17:16:40 საათზე, აღნიშნული შესასვლელიდან გამოდის რუხი ფერის ლექსუს მარკის ავტომობილი, რომლის სანომრე ნიშანი არ იკითხება. აღნიშნული ავტომობილი გადადის ი... გამზირზე, საავარიო სიტუაციას ქმნის ლურჯი ფერის სამგზავრო ავტობუსთან და მიემართება ი... გამზირზე აღმოსავლეთის მიმართულებით.

5.7. მოწმე ნ. გ-ს ჩვენებით კი დადგენილია, რომ მუშაობს ქ.... მუნიციპალური ტრანსპორტის №... სამგზავრო ავტობუსის მძღოლად. 2022 წლის 18 თებერვალს, საღამოს საათებში, მოძრაობდა ქ-ი, ი... გამზირზე, „გ.....“ წინ. რა დროსაც მარჯვენა ჩიხიდან მაღალი სიჩქარით გამოვიდა ავტომანქანა, რომელმაც შექმნა საავარიო სიტუაცია. აღნიშნული ავტომანქანა იყო ვერცხლისფერი ლექსუსი, სახელმწიფო ნომრით – ... ზემოხსენებული გარემოებები აგრეთვე დასტურდება ვიდეოფაილის გახსნისა და დათვალიერების ოქმით.

5.8. 2022 წლის 19 თებერვლის პირის ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით დასტურდება შემდეგი: ამოცნობის დაწყების წინ, ამოცნობა პირმა ც. კ-მ აღნიშნა, რომ 2022 წლის 18 თებერვალს, როდესაც ს... მიმართულებით გადაადგილდებოდა ავტომობილით, მას ნელი სვლით გვერდით ჩაუარა ლექსუსის მარკის ავტომობილმა, რომელშიც შენიშნა მძღოლი და მის გვერდით მჯდომი პიროვნება. მისივე განმარტებით მითითებული ლექსუსის ფირმის ავტომობილი სახ. ნომრით მან შენიშნა ქ-ი ... გამზირზე, როდესაც იგი იმყოფებოდა სამკერვალოში, ხოლო მითითებული პიროვნება გადაადგილდებოდა ც. კ-ს ავტომობილის მიმართულებით. ამის შემდეგ ამოსაცნობ პირს წარედგინა 4 ფოტოსურათი, რომელთაგან მან ამოიცნო რიგით მესამე ფოტოსურათზე გამოსახული პიროვნება. ამომცნობა პირმა ფოტოსურათზე გამოსახული ობიექტი ამოიცნო შემდეგი ნიშნებით: ოვალური პირისახით, ხორბლისფერი კანით, სწორი საშუალო ზომის ცხვირით, თხელი ტუჩებით, შეჭალარავებული, შემელოტებული თმით და შეჭალარავებული წარბებით, საერთო შეხედულებით. №.. ფოტოსურათზე გამოსახული პიროვნება არის დ. დ-ს ძე გ-ა.

5.9. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ გამატყუებელ განაჩენს საფუძვლად არ უნდა დაედოს დ. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ბინის ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე და მასში მონაწილეობას იღებდნენ დ. გ-ა, ასევე მის მიერ მონვეული პირი – ე. ძ-ა. რა დროსაც საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებულ მისაღებ ოთახში მაგიდიდან (სახილედან) ამოღებულ იქნა სათვალის ყავისფერი სათავსო, რომელსაც აქვს მაგნიტური შესაკრავი. მასში დევს ერთი ცალი გალფის, ერთი ცალი ვისოლის, ორი ცალი სოკარის ბარათები და ც. კ-ს ავტომანქანის რეგისტრაციის მოწმობა. საქმეში წარმოდგენილი 2022 წლის 29 აპრილის ნივთის ამოცნობის ოქმით კი დასტურდება, რომ ც. კ-მ მისთვის წარდგენილი სამი ცალი სათვალის სათავსო კოლოფიდან ამოიღო №.. ნიშნულზე განთავსებული სათვალის ჩასადები კოლოფი და განმარტა, რომ მითითებული კოლოფი არის მისი კუთვნილი, რომელიც 2022 წლის 18 თებერვალს მოპარეს ავტომანქანიდან. მისივე ჩვენებით, აღნიშნულ სათვალის კოლოფში ედო მანქანის ტექ.პასპორტი და სანავის ფასდაკლების ბარათები.

5.10. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება ქმედების წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენა და ყურადღებას ამახვილებს, რომ საქმეში წარმოდგენილი ვიდეო ფაილებით დასტურდება, რომ ზ-დან ქ... მიმართულებით და უკანა გზაზეც, დ. გ-ს კუთვნილ მანქანაში იმყოფება ორი პირი. ასევე ქ-ი, ი.... გამზირზე №..... მდებარე ა..... სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოთხოვილი ვიდეოკამერების ჩანაწერებით, რომელზეც ასახულია ქ. ქ-ი, ი-ის წინამდებარე ტერიტორია, დგინდება, რომ 17:14:27 საათზე ჩნდება ორი მამაკაცი, რომლებიც მიდიან დასავლეთის მიმართულებით, 17:15:25 საათზე დასავლეთის მხრიდან გამოვლის პირი, რომელსაც ხელში უჭირავს მუქი ფერის ჩანთა და შერბის ვიდეოკამერის ხედვის არეალით მარჯვენა მხარეს. მეორე პირი, კი გამოვლის მის გამოჩენამდე, რამდენიმე წამით ადრე და შედის იმავე შესასვლელში. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება დ. გ-ს მიერ, დაუდგენელ პირთან ერთად წინასწარი შეთანხმებით ქურდობის ჩადენა.

5.11. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჯგუფური დანაშაულის დეფინიციას მოიცავს საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლი, კერძოდ: ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მი-

ერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილე წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

5.12. რაც შეეხება დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანს – დიდ ოდენობას, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი მიითითებულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10000 ლარის ზევით. მოცემულ შემთხვევაში უტყუარად დადგენილია, რომ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა აღემატება კანონმდებლის მიერ დადგენილი დიდი ოდენობის – 10000 ლარიან ზღვარს.

5.13. სადგომის ცნებაში იგულისხმება შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განსათავსებლად არის გაიზნული. საცავი კი არის ასევე მატერიალური ფასეულობის მუდმივ ან დროებით შესანახად განკუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შემოღობილია ან უზრუნველყოფილია მისი სხვაგვარად დაცვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადგომი ან საცავი უნდა იმყოფებოდეს უძრავ მდგომარეობაში. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ დ. გ-ამ ჩაამსხვრია ც. კ-ს ავტომობილის წინა მარჯვენა გვერდითი მინა, საიდანაც ფარულად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა პირად ნივთებს და თანხას.

5.14. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია საფუძველი ეჭვი შეიტანოს დაზარალებულისა და მონმეთა ჩვენებების სისწორეში, რადგან მსჯავრდებულის მიმართ არ ვლინდება რაიმე დაინტერესების არსებობა. კასატორის მიერ მიითითებული გარემოებები კი არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, არადამაჯერებელია და ვერ გახდება დაზარალებულისა და მონმეთა ჩვენებების, ასევე წერილობითი მტკიცებულებების რელევანტურობასა და უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

5.15. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება დ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

5.16. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი

ნაწილით (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა) დ. გ-ს მსჯავრდება, პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2022 წლის 19 თებერვლის ნიმუშის ალების ოქმის შენიშვნით დგინდება, რომ დ. გ-ამ უარი განაცხადა მისგან ნიმუშის აღებაზე. ამის შემდეგ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის განჩინებით პოლიციის თანამშრომლებს ნება დაერთოთ – დ. გ-სგან ექსპერტის მონაწილეობით აეღოთ ნერწყვის და სუნის ნიმუში. 2022 წლის 25 მარტს დ. გ-ს წარედგინა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის განჩინება, რასაც გაეცნო და გაუგებარი მიზეზით უარი განაცხადა მისგან ნიმუშის აღებაზე, ასევე უარი განაცხადა ოქმსა და განჩინებაზე ხელის მოწერაზე. აღნიშნული ოქმის სისწორე ხელმოწერით დადასტურებული აქვთ, როგორც საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად უფლებამოსილ პირებს, ასევე დ. გ-ს ინტერესების დამცველ ადვოკატს – მ. ა-ს. 2022 წლის 27 მარტს, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა ბრალდებულმა დ. გ-ამ უარი განაცხადა კამერიდან გამოსვლაზე და მისგან ნიმუშის აღებაზე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 აპრილის განჩინებით, საქართველოს შსს ქ... საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლებს ნება დაერთოთ – დ. გ-სგან იძულების პროპორციული ზომის გამოყენებით, ექსპერტის მონაწილეობით აეღოთ ნერწყვის და სუნის ნიმუში. 2022 წლის 18 აპრილს დ. გ-ს წარედგინა ზემოხსენებული განჩინება, რასაც გაეცნო და თანხმობა განაცხადა მისგან ნიმუშის აღებაზე.

5.17. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ-ის) მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით; ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ხსენებული კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება, ხოლო ამავე კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კი თუ პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე, რომელიც არ ინვესტს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, ნი-

მუშის აღება ტარდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

5.18. საკასაციო პალატა ეთანხმება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის, №511აპ-21 განაჩენით დადგენილ პრაქტიკას და განმარტავს, რომ ნერწყვისა და სუნის ნიმუშის აღება არ უკავშირდება ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და დ-ა გ-სგან მათი აღება ნებადართული იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის განჩინებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ განჩინებაში არ იყო მითითება იძულების პროპორციული ზომის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. ამასთან, არც ნიმუშის აღებაზე უფლობამოსილმა პირებმა არ გამოიყენეს მათთვის კანონით მინიჭებული იძულების პროპორციული ზომა, რაც დასაშვებია საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის ანალოგიით. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დ. გ-ა ნიმუშის აღების წინ სათანადოდ არ იყო ინფორმირებული უარის თქმის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, რაც არ შეიძლება განმარტებულ იქნეს მსჯავრდებულის სანაღმდეგოდ და საფუძვლად დაედოს მის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით, მით უფრო იმ პირობებში, რომ მსჯავრდებულმა 2022 წლის 18 აპრილს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 აპრილის განჩინების (რომლითაც ქუთაისის შსს თანამშრომლებს დაერთოთ ნება გამოეყენებინათ იძულების პროპორციული ზომა) შესრულებაზე განაცხადა თანხმობა და მისგან იძულებისა და წინააღმდეგობის გარეშე აღებული იქნა ნერწყვისა და სუნის ნიმუშები.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალ-წარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, რა დროსაც სასამართლო შებოჭილია ვალდებულებით მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტური და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი, იქნება ეს კონკრეტული დაზარალებული თუ საზოგადოება.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს, ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი

ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.3. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნები, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

6.4. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

6.5. სასჯელის დანიშვნისას საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მსჯავრდებულის პირად და ეკონომიკურ პირობებს, ქმედების ჩადენის მოტივს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს და მიაჩნია, რომ დ. გ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც თანაზომიერი და პროპორციულია მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და საშიშროებასთან, ასევე უზრუნველყოფს მომავალში საზოგადოებაში მის უსაფრთხო რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნების მიღწევას.

6.6. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაცვის მხარის, მსჯავრდებულ დ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. გ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებით;

4. დ. გ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. დ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2022 წლის 19 თებერვლიდან;

6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საბამოქიებო მოქმედებები

დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა

განაჩენი
საქართველოს სახელმით

№ 1075აპ-23

25 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თაღუმაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ქორიძისა და მსჯავრდებულ ნ. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ს. ჯ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

1.1. ნ. ნ-ს ბრალად ედებოდა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.2. მ. ა-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.3. ბ. თ-ს ბრალად ედებოდა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით ნ. ნ-ს, მ. ა-სა

და ბ. თ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: ნ. ნ-მ, მ. ნ-მ და ბ. თ-მ გადაწყვიტეს გ. თ-ს შეცდომაში შეყვანის გზით, მოტყუებით დაუფლებოდნენ მის კუთვნილ ნივთებს, რა მიზნითაც დაუკავშირდნენ გ. თ-ს, მოიპოვეს მისი ნდობა და 2020 წლის მარტიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ჯგუფურად დაუფლნენ გ. თ-ს კუთვნილ 29 სულ საქონელსა და ძვირფასეულობას: ქამარ-ხანჯალს, ოქროს ბეჭედსა და საათს, ცხენის სამკერდისს, რის შედეგადაც გ. თ-ს მიაღება დიდი ოდენობით – 45 500 ლარის ოდენობით ქონებრივი ზიანი.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 26 სექტემბრის განაჩენით:

3.1. ნ. ნ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, საიდანაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის საფუძველზე, მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 9 თვით და 15 დღით;

3.1.1. ნ. ნ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან; მასვე, სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2021 წლის 14 ივნისის ჩათვლით;

3.2. ბ. თ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.3. მ. ნ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.4. საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, გამართლებულებს განემართათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის დაკავების 2022 წლის 26 სექტემბრის ოქმის თანახმად, ნ. ნ. დააკავეს 2022 წლის 26 სექტემბერს.

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

5.1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ ქორიძემ, მოითხოვა ბ. თ-სა და მ. ა-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მათთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება, ხოლო ნ. ნ-ს დამნაშავედ ცნობა, მათ შორის, ოქროს ბეჭ-

დის, ცხენის სამკერდისისა და ქამარ-ხანჯლის თაღლითურად დაუფლების ნაწილში.

5.2. ნ. ნ-ს, ბ. თ-სა და მ. ა-ს ადვოკატმა ს. ჯ-მ მოითხოვა ნ. ნ-ს გამართლება, ხოლო ბ. თ-სა და მ. ა-ს მიმართ გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

5.3. პროკურორის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოდგინა ნ. ნ-ს, ბ. თ-სა და მ. ა-ს ადვოკატმა ს. ჯ-მ და მოითხოვა არ დაკმაყოფილდეს პროკურორის სააპელაციო საჩივარი.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 26 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, კერძოდ:

7.1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ ქორიძემ, რომელიც ითხოვს ბ. თ-სა და მ. ა-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მათთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდებას, ხოლო ნ. ნ-ს დამნაშავედ ცნობას, ოქროს ბეჭდის, ცხენის სამკერდისისა და ქამარ-ხანჯლის თაღლითურად დაუფლების ნაწილშიც.

7.2. მსჯავრდებულ ნ. ნ-ს ადვოკატმა ს. ჯ-მ მოითხოვა ნ. ნ-ს გამართლება, ხოლო ბ. თ-სა და მ. ა-ს მიმართ გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

7.3. პროკურორის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოდგინა მსჯავრდებულ ნ. ნ-სა და გამართლებულების – ბ. თ-სა და მ. ა-ს ადვოკატმა ს. ჯ-მ, რომელიც ითხოვს პროკურორის საჩივრის დაუშვებლად ცნობას, ხოლო დასაშვებად ცნობის შემთხვევაში – მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

8. საქართველოს უზენაეს სასამართლოში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან შემოვიდა მსჯავრდებულ ნ. ნ-ს და გამართლებულების – ბ. თ-სა და მ. ა-ს ადვოკატის ს. ჯ-ს 2023 წლის 21 ივლისის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე დამატებითი მასალის დართვისა და აღნიშნული დოკუმენტაციის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

8.1. მსჯავრდებულმა ნ. ნ-მ 2023 წლის 10 აგვისტოს და 15 სექტემბერს განცხადებებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარ-

მოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ქორიძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ნ. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ს. ჯ-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011).

3. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარე ითხოვს ნ. ნ-ს სრულად გამართლებას, ხოლო ბრალდების მხარე – ბ. თ-სა და მ. ა-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილი, საქართველოს სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და მათთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდებას, ხოლო ნ. ნ-ს ნაწილში – მის დამნაშავედ ცნობას ასევე ოქროს ბეჭდის, ცხენის სამკერდისა და ქამარ-ხანჯლის თაღლითურად დაუფლების ნაწილშიც.

3.1. ამდენად, მხარეების შორის დავის საგანია ჩაიდინეს თუ არა მსჯავრდებულმა და გამართლებულებმა ბრალად წარდგენილი ქმედებები, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლნენ თუ არა გ. თ-ს კუთვნილ – 29 სულ საქონელსა და ძვირფასეულობას: ქამარ-ხანჯალს, ოქროს ბეჭედსა და საათს, ცხენის სამკერდის, რის შედეგადაც გ. თ-ს მიადგა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.

4. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მიღებისას. ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს სადავო გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და ის უნდა განისაზღვროს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული ვალდებულება არ მოითხოვს მომჩივ-

ნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, ECtHR, no. 36755/06, § 31; 11/11/2011), გადაწყვეტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ განხილული იქნა საქმის არსებითი საკითხები (*Lobzhanidze and Peradze v. Georgia*, ECtHR, no. 21447/11, no. 35839/11, §65, 66; 27/02/2020).

5. დაზარალებულმა გ. თ-მ განმარტა, რომ მ... და ნ. ნ-ებმა იცოდნენ, რომ მას ჰქონდა მამაპაპისეული ქამარ-ხანჯალი. 2020 წლის თებერვალში მასთან სახლში მივიდა მ. ნ. და უთხრა, რომ ბ. ი-ს დეიდაშვილს სურდა მისი ნივთების შეძენა, რისთვისაც ფოტოსურათები უნდა გადაეღოთ და გადაეგზავნათ. დაუძახეს ნ. ნ-ს, რომელიც იყო სახლის გარეთ. მან გადაუღო ქამარ-ხანჯალს ფოტოსურათები და განაცხადა, რომ უგზავნიდა უ. მ-ს. შუადღის შემდეგ მიაკითხა მ. ნ-მ და უთხრა, რომ ნ. ნ. მიდიოდა ს-ში და გაეტანებინა ქამარ-ხანჯალი, რაზეც მან უარი განუცხადა. დაახლოებით ერთ თვეში მას დაურეკა უცნობმა პირმა ფარული ნომრიდან და უთხრა, რომ იყო უ. მ-ი და მისი (გ. თ-ს) მობილური ტელეფონის ნომერი მისცეს ნ-ებმა. მანვე უთხრა, რომ ქამარ-ხანჯალი დ...გ-ის საკითხის გადასაწყვეტად სჭირდებოდათ პ. ა-თვის საჩუქრად. იმავე დროულად, უთხრა, რომ ბ. თ-ს იცნობდა, რადგან მან მიჰყიდა ფოლთათოფი, და ქამარ-ხანჯალი მისთვის გაეტანებინა. საუბრის შემდეგ გ. თ-მ დაიბარა და ქამარ-ხანჯალი გადასცა ნ. ნ-სა და ბ. თ-ს. საღამოს დაურეკა პირმა, რომელიც ესაუბრებოდა უ. მ-ის სახელით და უთხრა, რომ ბიჭებმა მიუტანეს ქამარ-ხანჯალი, მოენონათ და შეუთანხმდა ფასზე, კერძოდ, 3500 დოლარზე, რომელსაც 2-3 დღეში ანდა მაქსიმუმ მიმდინარე კვირაში პირადად ჩაუტანდა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ დაურეკა უ. მ-მა და სთხოვა დრო, ვინაიდან ნ. ნ-ს ჰქონდა კორონა ვირუსი და მძიმე მდგომარეობაში იყო. იმავდროულად, შეჰპირდა, სახელმწიფო გრანტის ფარგლებში, სესხის აღებაში დახმარებას. აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღებისათვის, მასთან მივიდა ბ. თ. და გ. თ-ს გადაუღო ფოტოსურათი. ბ. თ-ს უ. მ-ისათვის გაატანა ცხენის სამკერდე, ვინაიდან იგი ეხმარებოდა. უ. მ-ი თავდაპირველად ფარული ნომრით ურეკავდა, შემდეგ კი – ნ. ნ-ს ნომრით, რომელიც 54-ით მთავრდება (რომელზეც შემდეგ თავადაც ურეკავდა). უ. მ-მა ზიზნეს გეგმისთვის მოსთხოვა 200 ლარის ა-ს ანგარიშზე ჩარიცხვა, რაც მისთვის საეჭვო იყო და უთხრა, რომ მსგავსი მანიპულაცია არ შეეძლო თუმცა უ. მ-მა შესთავაზა, ბანკში მისულიყო ნ-ს მეზობელ ვინმე ლ-თან და მისთვის მიეცა, რაც გ. თ-მ შეასრულა. ცხენის სამკერდის გაგზავნის შემდეგ, ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა უნაგირი. მან დააკავშირა მეზობელ პ-ს, რომელსაც ჰქონდა უნაგი-

რი, თუმცა დაუბრუნეს, რადგან არ მოეწონათ. აღნიშნულის შემდეგ უ. მ-მა ასევე ჰკითხა, გაყიდდა თუ არა საქონელს (გაიგო, რომ ჰყავდა საქონელი), რომელიც უნდოდა მ. ა-სათვის, როგორც ძველი მესაქონლისათვის, რასაც დასთანხმდა. საბოლოოდ, შესათანხმებლად მასთან მივიდნენ მ... და ნ. ნ-ები. ნ. ნ-ს, იმავდროულად, უ. მ-ს ესაუბრებოდა („იქით უ-ს ელაპარაკებოდა, ასე გამოდიოდა“.). ავიდნენ მთაში, თუმცა ვერ ნახეს საქონელი. მე-3 დღეს კვლავ ავიდა მთაში ნ. ნ-სთან და მის მიერ დაქირავებულ ვინმე ფ-სთან ერთად. ნ. ნ-ს განმარტებით, მ. ნ. პირადი მიზეზის გამო ვერ მივიდა. შეთანხმების თანახმად, 32 სულ საქონელს ატანდა 34000 ლარად, თუმცა, ვინაიდან 3 სული საქონელი მგელმა დაგლიჯა და ნ. ნ-ს ჩააბარა მხოლოდ 29 სული, შეთანხმდნენ 30000 ლარზე. უ. მ-მა დაურეკა და უთხრა, რომ საქონელი ი-ში წაიყვანეს. ნ. ნ-ს ბევრ ინფორმაციას ფლობდა მის შესახებ, შესაბამისად, ჰკითხა, ჰქონდა თუ არა საათი, რადგან ბ. ი-ს ახლობელი კარგ ფასად იბარებდა. დასთანხმდა და მითითების შესაბამისად, კ-ს მისცა საათი, ასევე – თვლიანი ბეჭედი. ამის შემდეგ უ. მ-ს მისთვის აღარ დაურეკავს, თუმცა ნ. ნ-ს ეუბნებოდა, რომ საქმეები ჰქონდა და აუცილებლად დაუკავშირდებოდა. რალაც დროის შემდეგ ნ. ნ-მ სოფელში თქვა (პ-სთვის უთქვამს), თითქოს გასტუმრებული ჰყავდა, რაც ნ. ნ-მ მასთან საუბრისას უარყო. გარდა ამისა, გ. თ-მ დაიბარა ბ. თ-ც („იქ იყვნენ ბიჭებიც“), რომელმაც უთხრა, რომ ნივთები ლომბარდში ჩააბარეს. ძროხებთან მას კავშირი არ ჰქონია, ასევე არ იცოდა ბეჭდისა და საათის შესახებ, მან იცოდა მხოლოდ ქამარ-ხანჯლისა და სამკერდის შესახებ.

5.1. დაზარალებულმა გ. თ-მ დაადასტურა, რომ მას ბ. თ., ნ. ნ. და მ. ნ. ერთად არ უნახავს, თუმცა ენდო მათ. ეუბნებოდნენ, რომ პირი, რომელიც ურეკავდა, იყო უ. მ-ი. შემდეგ, ნ. ნ-მ აღიარა, რომ თავად რეკავდა და ატყუებდა.

5.2. დაზარალებულმა ასევე განმარტა, რომ ბ. თ-მ მიუტანა პლასტიკური ბარათი და უთხრა, რომ უ. მ-მა გამოატანა და მასზე დაერიცხებოდა ფული, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იგი ვადაგასული იყო. შემდგომში კი აღმოჩნდა, რომ პლასტიკური ბარათი მ. ნ-ს ეკუთვნოდა. ამასთან, დაკავებამდე ბ. თ-მ აღიარა, რომ, სინამდვილეში, ნ. ნ-ს დედამ თუ მამამ გადასცა.

5.3. გ. თ-მ განმარტა, რომ ყველა ნივთის ფასზე შეთანხმებული იყვნენ, კერძოდ: ქამარ-ხანჯალი მისცა – 3500 აშშ დოლარად, რაც იმ დროს იყო, დაახლოებით – 12 000 ლარი; საათი – 1000 ლარად, ხოლო ბეჭედი – 1500 ლარად; 29 სული საქონელი – 34000 ლარად, თუმცა, ვინაიდან 3 სული აკლდა, საბოლოოდ შეთანხმდნენ 30 000 ლარზე. მისთვის აღნიშნული თანხა არ გადაუხდიათ, მხოლოდ 200

ლარი დაუბრუნეს. ამასთან, ცხენის სამკერდე საჩუქრად გაატანა ბ. თ-ს უ. მ-თან, თუმცა მან უთხრა, რომ მისი საჩუქარი არ უნდოდა და 500 ლარს მისცემდა, იმავდროულად, გადაიფიქრა ჩუქება, ვინაიდან, როგორც გაირკვა, ატყუებდნენ.

5.4. მსჯავრდებულისა და გამართლებულების მიმართ პრეტენზია არ აქვს, ვინაიდან ზიანი აუნაზღაურდეს ბ-ს ნათესავებმა. ზიანი ჯამში იყო 45 000 ლარი, თუმცა შევიდა მათ მდგომარეობაში და 40 000 ლარი გამოართვა.

6. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი, მოწმე ლ. ფ-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2020 წლის ივნისში, ნ. ნ-მ უთხრა, რომ ჩ-ს რაიონის სოფელ თ... მთებიდან ჩამოსადენი ჰყავდა პირუტყვი და 150 ლარის სანაცვლოდ სთხოვა დახმარება. დილით მასთან მივიდნენ მისი მეზობელი – ზ. ბ., ნ. ნ. და გ. თ., რომლებთან ერთადაც წავიდა მთის მიმართულებით. ნ-სთან და გ-სთან საუბრისას გაარკვია, რომ საქონელი ეკუთვნოდა გ. თ-ს და მათ ყიდვას აპირებდა მესამე პირი, ხოლო ნ. იყო შუამავალი. გ-ს ინფორმაციით, მას ჰყავდა 32 სული საქონელი, თუმცა ადგილზე ნახეს და ნ-ს საკარმიდამო ეზოში ჩადენეს მხოლოდ 29 სული, სამი სული ნადირმა შეჭამა. ორ-სამ დღეში ნ-ს თხოვნით 29 სული პირუტყვი ასვეს სატვირთო ავტომანქანაში, რომელიც გაჩერებული იყო მისი სახლის ჭიშკართან. ეზოში იდგა რამდენიმე უცნობი პირი, მათთან ერთად ასვეე იყო ნ., მამამისი და მათი რამდენიმე მეზობელი, მათ შორის, ზ. ბ.-ც. გ. თ. იქ არ იმყოფებოდა.

7. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი, მოწმე ზ. ბ-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2020 წლის ივნისში დასთანხმდა დისშვილის – ნ. ნ-ს თხოვნას, საქონლის ჩამოსადენად წაეყვანა მთისკენ მიმავალ გზაზე, კერძოდ, ხერგილამდე, რასაც დასთანხმდა. შესაბამისად, ავტომობილით წაიყვანა ნ. ნ., საქონლის პატრონი და მეზობელი ლ. ფ. მოგვიანებით მეზობლებისგან გაიგო, რომ მათ მთიდან ჩამოდენეს დაახლოებით 30 სული საქონელი და შედენეს ნ. ნ-ს ეზოში. ორ-სამ დღეში ნ. ნ-ს ჭიშკართან შენიშნა სატვირთო მიკროავტობუსი და რამდენიმე უცნობი პირი. ნ. ნ-მ უთხრა, რომ საქონელს ყიდიდა, ხოლო მყიდველები უცნობები იყვნენ. ამასთან, საქონლის მეპატრონე ნ. ნ-ს ნაცნობს აძლევდა აღნიშნულ საქონელს, გარანტიის სანაცვლოდ. ნ. იყო შუამავალი.

8. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი, მოწმე ა. თ-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, ბიძაშვილმა გ. თ-მ 2020 წლის ზაფხულში უთხრა, რომ მისი კუთვნილი 29 სული საქონელი, რომელიც ჰყავდა მთაში, 30 000 ლარად მიჰყიდა ვინმე უ. მ-ს, თუმცა აღნიშნული თანხა ჯერ არ ჰქონდა მიღებული. მის კითხვაზე, თუ ვინ იყო უ. მ-ი და რატომ მიჰყიდა საქონელი ისე, რომ წინასწარ თანხა არ გამოართვა, და-

ზარალებულმა უპასუხა, რომ უ. მ-ი იყო ბ. ი-ს დეიდაშვილი, რომელსაც დააკავშირეს მ. და ნ. ნ-ებმა. მოგვიანებით გ-მ ასევე უთხრა, რომ გარდა პირუტყვისა, მას უ-სთვის ნ. ნ-ს და ბ. თ-ს საშუალებით, გაგზავნილი ჰქონდა: ქამარ-ხანჯალი, ოქროს საათი, ოქროს ბეჭედი და ცხენის სამკერდისი, რომელთა საფასურიც ჯერ არ ჰქონდა მიღებული. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გ. მოატყუეს.

9. შპს „....“ და ნ. ნ-ს შორის დადებული 2020 წლის 12 ივლისის კრედიტის ხელშეკრულებით, ძვირფასი ლითონის შეფასებისა და მიღება-ჩაბარების გადაფასების აქტითა და გასავლის ორდერით ირკვევა, რომ ნ. ნ-მ დააგირავა ოქროს საათი, რის სანაცვლოდაც, მიიღო 582 ლარი.

10. ამოღების 2020 წლის 9 ოქტომბრის ოქმის თანახმად, ჩ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ზ. ა-მში მდებარე შპს „.....დან“ ამოიღო 2020 წლის 12 ივლისის ნ. ნ-ს მიერ შპს „....“ დაგირავებული ოქროს საათი და გირავნობის ხელშეკრულება.

11. შპს „.....“ ს-ს ფილიალის მენეჯერ ნ. ს-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2020 წლის 12 ივლისს მოქალაქე ნ. ნ-მ წარადგინა ოქროს საათი სამაჯურის გარეშე და მოითხოვა მისი დაგირავება. ნივთი შეფასდა და შესაბამისად, გაფორმდა ხელშეკრულება 582 ლარზე, რაც ნ. ნ-ს გადაეცა ხელზე.

12. ნივთის ამოცნობის 2020 წლის 14 ნოემბრის ოქმის თანახმად, გ. თ-ს ამოსაცნობად წარედგინა სამი ოქროს საათი, მათ შორის, შპს „ს-იდან“ ამოღებული ოქროს საათი. გ. თ-მ ამოიცნო აღნიშნული საათი და განაცხადა, რომ იგი იყო სწორედ ის, რომელიც მას თაღლითური გზით გამოართვეს ნ. ნ-მ და ბ. თ-მ.

13. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორი ბრალდების მხარის მოთხოვნებს, მსჯავრდებულ ნ. ნ-სა და გამართლებულების – ბ. თ-სა და მ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობის, კერძოდ, 29 სული საქონლის, საათის, ბეჭდის, ცხენის სამკერდისისა და ქამარ-ხანჯლის თაღლითურად დაუფლების შესახებ, და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ბ. თ-სა და მ. ა-ს სრულად გამართლების, ხოლო ნ. ნ-ს – მხოლოდ 29 სულ საქონლისა და საათის თაღლითურად დაუფლებისათვის მსჯავრდების ნაწილში; ამასთან, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აღნიშნული დანაშაულის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენის თაობაზე. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბ. თ-სა და მ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“

ქვეპუნქტებით, ხოლო ნ. ნ-ს, მათ შორის, ოქროს ბეჭდის, ცხენის სამკერდისა და ქამარ-ხანჯლის თაღლითურად დაუფლების ნაწილში დამნაშავედ ცნობისთვის, ასევე – დანაშაულის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენის დასადგენად. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ამ ეპიზოდებთან მიმართებით საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება.

14. ბრალდების მხარემ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის მოთხოვნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივარშია ჩამოყალიბებული. საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული იმ არგუმენტების გამოკრება, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

14.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece (No.2)* no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

15. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება კონკრეტული ზიანის ოდენობა და ითვალისწინებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებით, ეჭვს არ იწვევს, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის (29 სული საქონელი და 582 ლარად დაგირავებული ოქროს საათი) ოდენობა აღემატება საქართველოს სსკ-ის დიდი ოდენობის დადგენისათვის განსაზღვრულ 10 000 ლარს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის №310აპ-23 განჩინება) და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას.

16. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულ განაჩენში მითითებულ მსჯელობას ნ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში, იმ საფუძველით, რომ „დაზარალებულის ჩვენებითა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოება, რომ გ. თ-ს ტელეფონით უკავშირდებოდა პირი, რომელიც მას გაეცნო, როგორც უ. მ-ი და რომელიც მას ჰპირდებოდა ნივთის და საქონლის ღირებულების გადახდას, რაც ადასტურებს იმას, რომ ნ. ნ. დანაშაულებრივი განზრახვის დროს არ მოქმედებდა მარტო“.

16.1. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. საქართველოს სსკ-ის მე-17

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. ამდენად, წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აღწერა (როგორც გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №230აპ-13 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.1.2.; 2022 წლის 12 სექტემბრის №781აპ-22 განჩინება; 2022 წლის 7 სექტემბრის №748აპ-22 განჩინება).

16.2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, სახელმწიფო ბრალდება ნ. ნ-ს ედავება დანაშაულის მ. ა-სა და ბ. თ-სთან ერთად, და არა – სხვა, დაუდგენელი პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენას. ამასთან, მ. ა-სა და ბ. თ-ს ბრალდების დასამტკიცებლად საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება; სხვა გარემოებითი ან ირიბი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა აღნიშნული პირების შემხებლობას დაზარალებულის მიერ მითითებულ დანაშაულთან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი საქართველოს სსსკ-ით დადგენილი მტკიცებითი სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ დაზარალებულმა გ. თ-მ სასამართლოში დაკითხვისას არაერთხელ დაადასტურა, რომ მისი ინფორმაციით, ნ. ნ-მ აღიარა, რომ დაზარალებულს თავად ურეკავდა უ. მ-ის სახელით და ატყუებდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია ნ. ნ-ს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითობის ჩადენისათვის მსჯავრდების შესაძლებლობას და იგი ამ ნაწილში უნდა გამართლდეს.

16.3. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, გამომძიებელი ვალდებულია, გამოძიება

ანარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. „ბრალდების მხარის იმპერატიული ვალდებულებაა სისხლის სამართლის საქმეზე სრულყოფილი გამოძიების წარმოება, მტკიცებულებათა მოპოვება, მათი გამყარება და პირის ბრალეულობის დასადასტურებლად იმგვარი სამხილების წარმოდგენა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა, თავისთავად, ზრდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შეცდომის, თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-103).

17. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დაზარალებულის ჩვენების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა (გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ) და საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის (მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ) გათვალისწინებით, ასევე იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის ჩვენების გარდა სხვა ვერცერთი (პირდაპირი ან/და ირიბი) მტკიცებულების წარმოდგენა, რაც დაადასტურებდა მ. ა.სა და ბ. თ.-ს მიერ დანაშაულის ჩადენას. პროკურორის მტკიცება, რომ მ. ნ.მ და ბ. თ.-მ ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ნ. ნ.-მ – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები; ისევე, როგორც ნ. ა.-ს მიერ თაღლითობის ჩადენა ოქროს ბეჭდის, ცხენის სამკერდისისა და ქამარ-ხანჯლის ნაწილში, არის მხოლოდ ვარაუდი. საკასაციო სასამართლო კი კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცე-

ბულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალ-ფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

18. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას მსჯავრდებულ ნ. ნ-ს სრულად გამართლების შესახებ და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ საქმეში წარმოდგენილი საქმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით (მათ შორის: დაზარალებულ გ. თ-ს ჩვენებით, მოწმეების ნ. ს-ს, ლ. ფ-ს, ზ. ბ-ს და ა. თ-ს გამოკითხვის ოქმით, ასევე სალომბარდე ხელშეკრულებით, ნივთის ამოღებისა და ამოცნობის ოქმებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ნ. ნ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, საათისა და 29 სული საქონლის ნაწილში.

19. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების პოზიციას საგამოძიებო მოქმედებასთან – ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, კერძოდ, ბრალდების მხარეს სასამართლოს ნებართვა გააჩნდა ინფორმაციის გამოთხოვაზე (№... და №... განჩინებები), თუმცა აღნიშნულის ნაცვლად გამოძიებელმა ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება – ამოღება, რაც გამოიხატა მისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში, არა ელექტრონული სახით კომპიუტერული სისტემიდან, არამედ – ამობეჭდილი ფურცლების მატერიალურად მიღებაში. აღნიშნული კი წარმოადგენს არა ინფორმაციის გამოთხოვას, არამედ – ამოღებას, რომლის ჩატარების არც ნებართვა ჰქონია საგამოძიებო ორგანოს და არც გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული აღნიშნული მოქმედების კანონიერებაზე უმსჯელია სასამართლოს.

19.1. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 136-ე მუხლის დანაწესის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი, დაცვის მხარე უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

19.2. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარემ სასამართლოს მიმართა სს „ს-დან“ (№...) და სს „ს...დან“ (№...) შესაბამისად, კონ-

კრეტული ტელეფონის ნომრის დემოგრაფიული მონაცემისა და კონკრეტული პლასტიკური ბარათის მესაკუთრის ვინაობის თაობაზე, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია **a priori** ინახება კომპიუტერულ სისტემაში. სასამართლოს მიერ გაცემული აღნიშნული განჩინებების თანახმად, განჩინების შესრულება დაევალა შესაბამისად, ერთ შემთხვევაში – სს „ს-ს“, ხოლო მეორე შემთხვევაში – სს „ს-ს“ შესაბამის უფლებამოსილ პირს; მოპოვებულ ინფორმაციას უნდა გაცნობოდა და გადასცემოდა ჩ-ს რაიონული სამმართველოს გამომძიებელს.

19.3. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის დანაწესი და შესაბამისად, არც სადავო განჩინებები არ ითვალისწინებს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ინფორმაციის დამუშავების პროცესში გამომძიებლის უშუალო მონაწილეობას, მით უფრო, რომ კონკრეტული საგამომძიებო მოქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული ინფორმაციის მოძიება და განჩინების მიზნებისთვის მისი დამუშავება (მოთხოვნილი ინფორმაციის მხარისათვის გადაცემის მიზნით შეგროვება)/გადმონერა, შესაძლებელია, მათ შორის, მოითხოვდეს სპეციალურ ცოდნასა და უნარებს, ხოლო არასწორად განხორციელების შემთხვევაში – ქმნიდეს მონაცემთა ბაზაში არსებული აღნიშნული ან/და სხვა მასალის დაზიანების/განადგურების საფრთხეს. აქედან გამომდინარე განჩინებების შესრულება ევალება შესაბამისი ორგანიზაციის „შესაბამის უფლებამოსილ პირს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოტივაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ 2020 წლის 16 ნოემბრის ოქმების თანახმად, საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას სს „ს-ის“ ოფისსა და სს „ს-ის“ ფილიალში გამომძიებელს გადასცეს გამოსათხოვი ინფორმაცია მატერიალურად, დოკუმენტის სახით, კერძოდ, სს „ს-ის“ ოფისში ერთ, ხოლო სს „ს-ს“ ფილიალში – 4 ფურცლად, გამომძიებლის მიერ ჩატარდა არა გამოთხოვა, რისი ნებართვაც ჰქონდა მას, არამედ საგამომძიებო მოქმედება – ამოღება, რის გამოც მოპოვებული ინფორმაცია ვერ იქნება გაზიარებული.

19.4. რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში საგამომძიებო მოქმედება – გამოთხოვა, გამომძიებელმა სს „ს-ს“ შემთხვევაში ჩაატარა ზ. ტ-თან, ხოლო სს „ს-ს“ შემთხვევაში ხ. ქ-თან, მაშინ როცა სს „ს-დან“ გამოთხოვილი

მატერიალური სახით წარდგენილი დოკუმენტი ხელმოწერილია კომპანიის შიდა კონტროლისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის – გ. ნ-ს, ხოლო სს „ს-დან“ გამოთხოვილი დოკუმენტები – პასუხისმგებელი პირის, ნ-ს მიერ და სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულან უშუალოდ ინფორმაციის მომპოვებელი და დამმუშავებელი პირები, საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ითვალისწინებს, რომ სადავო განჩინებების თანახმად, განჩინებების შესრულება ევალუბათ ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირებს/ვისაც განსაზღვრავს შემსრულებელი (ინფორმაციის შემნახავი) მხარე, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკას და კვლავაც აღნიშნავს, რომ „საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლი პირის დაკითხვას უკავშირებს იმპერატიულად განსაზღვრულ ორ მიზანს: დოკუმენტის ავთენტიკურობისა და წარმომავლობის დადგენას; ზოგადად, დოკუმენტის ავთენტიკურობის და წარმომავლობის დასადასტურებლად საკმარისია ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი პირის (პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა ან/და რომელთანაც სასამართლოსთვის წარდგენამდე ინახებოდა დოკუმენტი) დაკითხვა, თუმცა იმის არჩევა, ვინ უნდა დაიკითხოს, დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე (მათ შორის, დოკუმენტის სახეზე, დოკუმენტის მოპოვების ვითარებაზე, დოკუმენტის წარმომდგენი პირის მიერ ჩვენების მიცემაზე და ა.შ.), რათა მიღწეულ იქნეს დაკითხვის ორი კუმულაციური მიზანი – დადგინდეს მტკიცებულების ავთენტიკურობა და წარმომავლობა“ (მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 7 ივლისის №99აპ-20 განჩინება). მოცემულ შემთხვევაში ასეთი შეიძლება ყოფილიყვნენ სწორედ მატერიალური სახით წარდგენილი დოკუმენტების შემდგენელი (ინფორმაციის მომპოვებელი და დამმუშავებელი) პირები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულან.

20. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.

20.1. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმეში არ არის წარმოდგენილი დაზარალებულის თანხმობა (მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მსჯავრდებულს ამავე კანონით დადგენილ ფარგლებში შეუმსუბუქოს შეფარდებული სასჯელი.

20.2. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების, დანაშაულის ხასიათის და მიყენებული ზიანის მოცულობის, ქმედებაში გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნების გათვალისწინებით ნ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს მინიმუმთან მიახლოებული ხანგრძლივობის სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის საფუძველზე უნდა შეუმცირდეს და საბოლოოდ განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის, 9 თვისა და 15 დღით, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსა-ვალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს და მუხლით გათ-ვალისწინებული სანქციის ფარგლებშია.

21. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემო-ებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტი-ლება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

22. საქართველოს უზენაეს სასამართლოში დაცვის მხარის განცხადებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთი-თებს, რომ საქართველოს სსკ-ი არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების დაშვებისა და გამოკ-ვლევის სამართლებრივ საფუძველს; „საქართველოს უზენაეს სა-სამართლოში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, შეუძლებელია ახალი მტკიცებულების წარდგენა, მისი გამოკვლევა და სასამართლოს მიერ გამოყენება, აგრეთვე – მოწ-მეთა დაკითხვა“ (მაგ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს: 2021 წლის 18 ნოემბრის №484აპ-21, 2021 წლის 18 ოქტომბრის №326აპ-21, 2015 წლის 7 ივლისის №95აპ-15 განჩინებები).

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრი-ლის კანონით და

დაადგინა:

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ქორიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მსჯავრდებულ ნ. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ს. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
4. ნ. ნ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;
5. ნ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, რაც „ამ-ნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის საფუძველზე შეუმცირდეს და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 9 თვითა და 15 დღით;
6. ნ. ნ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 26 სექტემბრიდან; მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2021 წლის 14 ივნისის ჩათვლით.
7. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge